საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№15 (297)
29 აპრილი - 5 მაისი, 2015
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

არეულობები ბალტიმორში — გაქარწყლული ქალაქი და კომენდანტის საათი 3

4



«ისლამური სახელმწიფოს» სახელით სირიაში მებრძოლი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები უკრაინაში გადაჰყავთ»



«საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო, პრეზიდენტის რეზიდენცია ავტორიტარული რეჟიმის მუზეუმად გადაქცეულიყო» 11

პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერები: აშშ დემოკრატიული ქვეყანა აღარ არის 2

«დღევანდელი სკოლა არის ბავშვის გამხრწნელი. სკოლაში არაფერს ასწავლიან!» 10

«კახა კალაძე ელ-ჯი-ბი-ტეს კბილებით იცავს!» 10

# «როცა ონიანი ზონდერობდა, ჭიკაიძე რას აკეთებდა, პირჯვარს იწერდა?!» 5

«გოგა ონიანის უშუალო ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭიკაიძე იყო»

პაპი ფრანცისკე — ცხვრის ტყავში გახვეული მგელი თუ გულკეთილი სკლეროტიკი? 12

ლევან მამალაძე:

## ამერიკიდან უკრაინაში იარაღის შეტანას სააკაშვილი ლობირებს!



«მიშას დასაჭერთა სიაში ადამიანები შეჰყავს და თანხის გადახდის შემდეგ უგვარებს საკითხებს» 6



«აბა, ვინმე ნატოელი «აპატურაი» ჩამოხეტებულიყო?!» 7

«ისლამური სახელმწიფოსთვის» არ არსებობს მშვიდობიანი მოსახლეობა, ისინი მზად არიან, აფეთქონ ყველა 14

რატომ ვერ ბედავს ხელისუფლება შვეიცარიის ელჩისთვის საკადრისი პასუხის გაცემას? 9



«მოვითხოვთ ქალს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად საქართველოში!» 8



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოში საწვავი გაძვირდა




**საქართველოში საწვავის ფასმა 5 თეთრით მოიმატა. როგორც კომპანია „ვისოლის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა რუსუდან კბილაშვილმა განაცხადა, 26 აპრილიდან „ვისოლის“ ქსელში ფასებმა 5 თეთრით მოიმატა ეკონომპროდუქტებზე.** ამჟამად „ვისოლის“ ქსელში საწვავის ფასები ასეთია: ეკოსუპერი — 1.99 ლარი, ეკოპრემიუმი — 1.94 ლარი; ეკორეგულარი — 1.81 ლარი; ეკოდიზელი — 1.94 ლარი; ეკოსუპერი 100 — 2.20 ლარი; ევრორეგულარი — 1.78 ლარი; დიზელენერჯი — 1.79 ლარი; 5 თეთრით გაძვირდა „ლუკოილის“ ქსელში არსებული ყველა პროდუქტიც.



## თბილისის მერია «სითი პარკთან» ხელშეკრულების შეცვლის მიზნით მოლაპარაკებებს იწყებს

**„იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, მოხდეს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხრივ კი, არ იზარალოს ქალაქმა, თბილისის მერია უახლოეს დღეებში კომპანიასთან მოლაპარაკებებს დაიწყებს, ხოლო მიღწეულ შეთანხმებებს გაასაჯაროებს.** ვინაიდან საკითხი დელიკატურია, თბილისის მერია მოუწოდებს პოლიტიკოსებს, შეწყვიტონ პოლიტიკური სპეკულაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და არ შეიყვანონ მოსახლეობა შეცდომაში. დედაქალაქის მერია თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებს იმისათვის, რომ თბილისელთა ინტერესი სახეცვლილ ხელშეკრულებაში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული“, — ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

მოლაპარაკებებზე მერია ხელშეკრულებაში 4 ძირითადი ცვლილების შეტანის საკითხს დააყენებს, კერძოდ: **1.** შეეზღუდოს „სითი პარკს“ ავტომანქანების საჯარიმო სადგომზე გადაყვანის უფლება, ვინაიდან არასწორად გაჩერებული მანქანა ხშირად მოძრაობას ხელს არ უშლის. კომპანიას ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ იგი მოძრაობას შეაფერხებს; **2.** შეიცვალოს შემოსავლების უთანასწორო განაწილების წესი, რომელიც წლების განმავლობაში დედაქალაქს შემოსავალს აკარგვინებდა. აღნიშნული ცვლილება თბილისის ბიუჯეტს დამატებით თანხებს გაუჩენს, რომლითაც სხვადასხვა პროექტი განხორციელდება; **3.** შეიზღუდოს ტროტუარებზე პარკირება, რომელიც ქვეითად მოსიარულეებს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას მისცემს. პარალელურად, თბილისის მერია აპირებს, უახლოეს მომავალში გამოაცხადოს ინტერესთა გამოხატვა ინვესტორთათვის დედაქალაქში პარკინგების მშენებლობასთან დაკავშირებით; **4.** გაუქმდეს ხელშეკრულების ის მუხლი, რომლითაც წლების განმავლობაში „სითი პარკს“ პარკირების მოწყობისა და ადმინისტრირების ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. თბილისის მერიაში მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ცვლილება ბაზარზე სხვა კომპანიების გაჩენის შესაძლებლობას შექმნის, კონკურენტული გარემო კი აღნიშნულ სფეროში სერვისს გააუმჯობესებს.

რაც შეეხება კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების გაწყვეტას, ამ შემთხვევაში, დედაქალაქის მერიას კოლოსალური ჯარიმის გადახდა მოუწევს, რაც ხელშეკრულების შესწავლის შემდეგ საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანია Ernst&Young-მაც დაადასტურა. ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში, თბილისის მერიას „სითი პარკისთვის“ არანაკლებ 25 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრება.



## ირაკლი ღარიბაშვილი ლარის დევალვაციის ტენდენციას კვლავ საგარეო ფაქტორებს უკავშირებს

**„პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 3,1%. ეს არის მართლაც გამონაკლისი — გადახედეთ რეგიონში მიმდინარე სიტუაციას. ეს არის დამსახურება ჩვენი ეფექტური მინისტრების, როგორიც იყო, მაგალითად, შავლიაშვილი, რომლის უწყებამ პირველ კვარტალში გეგმის 107%-იანი შესრულება აჩვენა. ეს არის სხვა სამინისტროების დამსახურებაც. ძალიან კარგად იმუშავა ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც საგადასახადო შემოსავლებში მოლოდინს 13,2%-ით გადააჭარბა, ასე რომ, ზრდა არის და გვაქვს სტაბილური მონაცემები“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება ლარის კურსს, პრემიერმა ეროვნული ვალუტის დევალვაციის ტენდენცია კვლავ საგარეო ფაქტორებს დაუკავშირა.

**„ეს არის საგარეო ფაქტორებით განპირობებული. ეს არის რეგიონში მიმდინარე მოვლენების და მასთან დაკავშირებული პროცესების ანარეკლი. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ეკონომიკური ზრდა. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ“,** — აღნიშნა პრემიერმინისტრმა.




## ბიძინა ივანიშვილი: საქართველოში განათლების დონე დაბალია

**საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეგადაცემა „2030“-ის ეთერში განაცხადა, რომ საქართველოში განათლების დაბალი დონეა.**

„ჩვენი განათლების ხარისხი კარგად მოგვეხსენება, რამდენიც არ უნდა ვიამაყოთ, დონე ძალიან დაბალი გვაქვს. აუცილებელია განათლება, რადგან გაუნათლებელ ადამიანს შორი გზა არ აქვს. დღეს ეკონომიკა და განათლება ერთ კონტექსტში მოიხსენიება. თუ გვინდა ეკონომიკის აღორძინება, მას განათლება სჭირდება და განათლებას სჭირდება ეკონომიკა. თუ გვინდა, საქართველოში სერიოზული ინვესტიციები შემოვიდეს, მას აუცილებლად სჭირდება პროფესიული კადრები. როდესაც სერიოზული კომპანიები ქვეყანაში ინვესტიციებით შემოსვლას გეგმავენ, იქ ძირითადი კითხვაა საშუალო ხელფასი, შემდეგ — როგორია საკადრო პოლიტიკა, როგორი განათლება აქვს საზოგადოებას და შეიძლება თუ არა სერიოზული წარმოების დაფუძნება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

## ივანიშვილის რეზიდენციის შუშის კარის ჩამტვრევისთვის «ნაციონალური მოძრაობის» წევრი დააკავეს

**ყოფილი პრემიერმინისტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის — ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია ინციდენტებით წარიმართა.**

აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბესიკ გაზდელიანმა ივანიშვილის ბიზნესცენტრის მინის კარს მძიმე საგანი ესროლა და ჩაამტვრია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გაზდელიანი ადგილზე დააკავეს. მის წინააღმდეგ საქმე სსკ 187-ე მუხლით აღიძრა, რომელიც სხვისი ქონების განზრახ დაზიანებას გულისხმობს. დაკავებული ბესიკ გაზდელიანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია და საპარლამენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა.





## ცოცხები კიევშიც პოპულარულია

**კიევში უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მეშახტეთა საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები, ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის მინისტრების განთავისუფლებისა და ხელფასების მომატების გარდა, სოციალურ გარანტიებსაც მოითხოვდნენ.** პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, სადაც აქცია იმართებოდა, აქციის მონაწილეებმა ცოცხები მიიტანეს. მთავრობის ადმინისტრაციიდან აქციის მონაწილეებს არავინ შეხვედრია. როგორც უცხოური მედია იტყობინება, მშვიდობიანი აქცია ეგრეთ წოდებულმა „მარჯვენა სექტორის“ წევრებმა დაარბიეს.

## პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერები: აშშ დემოკრატიული ქვეყანა აღარ არის

**„აშშ, არ შეიძლება, დემოკრატიულ ქვეყნად ჩაითვალოს, რადგან იქ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ არა ამერიკელთა უმრავლესობის ნებით, არამედ ეკონომიკური ელიტის ინტერესების გათვალისწინებით“, — ამ დასკვნამდე მივიდნენ პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერები.**

გერმანული გამოცემა Diutshe Wirtschafts Nachrichten წერს, რომ აშშ-ის თავგამოდებული მომხრეების მტკიცებით, ისინი, ვინც ამერიკის პოლიტიკას აკრიტიკებენ, ღალატობენ „მსოფლიოს უძველეს და უძლიერეს დემოკრატიას“, რადგან სწორედ აშშ-ისა და რუსეთის კონფლიქტში მიმდინარეობს ბრძოლა „დასავლური ფასეულობების“ დასაცავად. ამასთანავე, რუსეთს წარმოადგენენ „ფაშისტურ სახელმწიფოდ“. მაგრამ პრინსტონის უნივერსიტეტის უახლესი კვლევა აჩვენებს, სინამდვილეში ვის ინტერესებს ემსახურებიან ამერიკელი პოლიტიკოსები. ნაშრომის ავტორები **მარტინ გილენსი** და **ბენჯამინ პეიჯი** ასკვნიან, რომ **„ეკონომიკურ ელიტებსა და ორგანიზებულ ჯგუფებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ამერიკის მთავრობაზე, ჯგუფები კი, რომლებმაც ამერიკელთა უმრავლესობის ინტერესები უნდა დაიცვან, აშშ-ის პოლიტიკაზე უმნიშვნელო გავლენას ახდენენ.**

**აშშ-ს უმრავლესობა არ მართავს,** ყოველ შემთხვევაში, არა იმ თვალსაზრისით, რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოსახლეობასა და კანონმდებლობას შორის. თუ უმრავლესობა მხარს უჭერს მოსაზრებას, რომელიც განსხვავდება ეკონომიკური ელიტების ან ორგანიზებული ჯგუფების მოსაზრებისგან, მაშინ უმრავლესობა მარცხდება. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას გადაწყვეტილებისადმი მორჩილება აშშ-ის კონსტიტუციით არის განსაზღვრული, მისი რეალიზება პრაქტიკაში თითქმის არ ხდება“.

**როგორც DIUTSHE WIRTSCHAFTS NACHRICHTEN წერს, გამოკვლევის შედეგები ევროპელებისთვის გამაფრთხილებელი უნდა იყოს. რადგან ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს ხშირად გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ქმნიან, რომლებიც ადამიანების ვიწრო წრის ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურებიან.**



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე: ვემიჯნები ყველაფერს, რასაც უწინ უკრაინის მხარდაჭერაზე ვამბობდი!



**პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გენერალ ვოლდემარ სკშიპჩაკის მწვავე რეაქცია უკრაინის უმაღლესი რადის მიერ უკრაინის აჯანყებულთა არმიის წევრების განდიდების შესახებ კანონის მიღებამ გამოიწვია. ამ არმიის წევრებს 1943-44 წლებში 100 ათასი მშვიდობიანი პოლონელის დახოცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ.** „ვემიჯნები ყველაფერს, რასაც უწინ უკრაინის მხარდაჭერაზე ვამბობდი!.. ამ არმიამ მოკლა ბიძაჩემი, ფარდულის კარზე მიალურსმა, ის მხოლოდ სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. უკრაინელებმა პოლონელების დახოცვა არა 1943 წელს, არამედ 1939 წლის სექტემბერში დაიწყეს... უკრაინელები უნდა გათავისუფლდნენ ნაციონალიზმისგან, სხვაგვარად მათი თანამშრომლობა პოლონელებთან ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელი იქნება“, — განაცხადა პოლონელმა გენერალმა.

# არეულობები ბალტიმორში — გაძარცვული ქალაქის მერმა კომენდანტის საათი გამოაცხადა

**აშშ-ის ქალაქ ბალტიმორის 15 პოლიციელი არეულობებში დაშავდა. დაპატიმრებულია 27 ადამიანი. ბალტიმორის მერმა სტეფანი როლინგს-ბლეიკმა ქალაქში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ განაცხადა — ერთი კვირის განმავლობაში, დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე. ბალტიმორში წესრიგის დასაცავად მერილენდის შტატის ნაციონალური გვარდია შევიდა.**

ბალტიმორში წესრიგის პრობლემები 12 აპრილს შეიქმნა, როცა სამართალდამცველებმა 25 წლის შავკანიანი ამერიკელი ფრედი გრეი დააკავეს, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მას ზურგზე დაზიანებები აღენიშნებოდა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ბრალს პოლიციას სდებენ და დამნაშავეების დასჯას მოითხოვენ.

მშვიდობიანი დემონსტრაცია სწრაფად გადაიზარდა არეულობებში: საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გაძარცვეს მაღაზიები, ცეცხლი წაუკიდეს შენობებსა და ავტომობილებს, პოლიციელებს ესროდნენ ქვებსა და ბოთლებს, სამართალდამცველებმა ცრემლმდენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს.

ბალტიმორის სიტუაცია ძალიან ჰგავს ვითარებას, რომელიც შეიქმნა შარშან, ზაფხულის ბოლოს, მეორე ამერიკულ ქალაქ ფერგიუსონში. იქაც ყველაფერი პოლიციელთა თავნებობის გამო მშვიდობიანი საპროტესტო აქციით დაიწყო, როცა სამართალდამცველებმა შავკანიანი ყმაწვილი გამოასალმეს სიცოცხლეს. მოგვიანებით კი ფერგიუსონი არეულობამ მოიცვა. ხელისუფლებამ წესრიგის დასამყარებლად კომენდანტის საათი შემოიღო. ფერგიუსონში არეულობებით გამოწვეულმა ზარალმა 12,5 მლნ დოლარი შეადგინა.







**მშვიდობიანი დემონსტრაცია სწრაფად გადაიზარდა არეულობებში: საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გაძარცვეს მაღაზიები, ცეცხლი წაუკიდეს შენობებსა და ავტომობილებს, პოლიციელებს ესროდნენ ქვებსა და ბოთლებს, სამართალდამცველებმა ცრემლმდენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს**



## უკრაინელთა მესამედს თავის ქვეყანაში ცხოვრება არ სურს

**უკრაინულმა სოციოლოგიურმა კომპანია Research & Bronding Group-მა უკრაინის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, უკრაინელთა მესამედი მზად არის, ქვეყანა დატოვოს.**

2015 წლის მარტში გამოკითხული უკრაინელების 30 პროცენტზე მეტმა დადებითად უპასუხა კითხვას — „გსურთ თუ არა ქვეყნიდან წასვლა?“ ერთი თვით ადრე ემიგრაციის მსურველი უკრაინელების რაოდენობა 28% იყო.

„ეს დაუჯერებლად მაღალი მაჩვენებელია; როდესაც მოქალაქეების მესამედს არ სურს თავის ქვეყანაში ცხოვრება, ეს ბევრ რამეზე მიანიშნებს!“ — განაცხადა კომპანია Research & Bronding Group-ის სოციოლოგმა ევგენი კოპატკომ.

სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ ემიგრაციის დიდი ტალღა მაიდნის შემდეგ აზვირთდა. დონბასში საომარი მოქმედებების შემდეგ 2,4 მლნ კაცი რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა, ხოლო დასავლეთ უკრაინაში — დაახლოებით მილიონი. უკრაინელი მამაკაცების გამგზავრების მიზეზი არის ჯარში გაწვევისა და ომში მონაწილეობის საფრთხის შიში, ქალები კი ქვეყანას ეკონომიკური მიზეზებით ტოვებენ — უკრაინაში საშუალო ხელფასი 400-დან 130 დოლარამდე შემცირდა.

უკრაინის სტატისტიკური უწყების მონაცემებით, 2015 წლის 1 მარტს უკრაინაში 42,7 მლნ ადამიანი ცხოვრობდა (დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მცხოვრებთა გამოკლებით). 2001 წლის აღწერით კი, უკრაინის მოსახლეობის რაოდენობა 48,2 მლნ იყო.

# «დახმარების» 5 წელიწადი: «სამეულს» ევროპის ქვეყნების ეკონომიკის დანგრევაში ადანაშაულებენ



**2010 წელს ევროპის კომისიამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომლებიც ევროპული კრედიტორების „სამეულის“ სახელითაა ცნობილი, გადაწყვიტეს, ფინანსურად დახმარებოდნენ იმ ქვეყნებს, რომლებიც 2007-2008 წლების მსოფლიო კრიზისის გამო ფინანსურ სირთულეებს განიცდიდნენ. სანაცვლოდ კი ამ სახელმწიფოებისგან მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარება მოითხოვეს.**

5 წლის შემდეგ ეკონომიკა საბერძნეთისა — ყველაზე დაზარალებული ქვეყნისა — კვლავ ნანგრევებშია, საბერძნეთის ახალ მთავრობას კი თავისი პოლიტიკის გატარების საშუალებას არ აძლევენ.

აი, როგორ შეაფასა შექმნილი ვითარება გერმანელმა ჟურნალისტმა და მწერალმა **ჰაროლდ შუმანმა** ტელეარხ Russia Today-ის გადაცემა In the Now-ში გამოსვლისას:

„როგორ მიმდინარეობს ევროპის ეკონომიკის აღდგენის პროცესი? **ევრო და დოლარი, პრაქტიკულად, ტოლია; უმუშევრობის დონემ მოიმატა, ბევრი ფიქრობს, რომ სამუშაოს ძებნა ევროკავშირის გარეთ დაიწყოს. ზოგიერთის აზრით, არავითარი აღდგენა არ მომხდარა, ასე განსაკუთრებით ისინი ფიქრობენ, ვინც „სამეულს“ დაუჯერა. კრედიტორები ეკონომიკას უნდა დაეხმარონ, რეალურად კი ღუპავენ.**

„სამეულში“ შედიან: ევროკომისია, ევროპის ცენტრალური ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ფინანსთა მინისტრებმა ევროკავშირის ქვეყნებისა, რომლებიც ევროს იყენებენ, ე.წ. ევროჯგუფმა ამ სამ დაწესებულებას დაავალა კონტროლი კრიზისში მყოფ სახელმწიფოებზე: ირლანდიაზე, პორტუგალიაზე, კვიპროსსა და საბერძნეთზე. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ, როგორ ასრულებდნენ ეს ქვეყნები „სამეულის“ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ვალის გასტუმრებას და დაფუძნებულია მოძველებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონცეფციაზე, რომლის არსიც ვალების მქონე ქვეყნების ბალანსის კონსოლიდაციაა გასავლების შემცირებისა და გადასახადების გაზრდის გზით. მაგრამ ეს კონცეფცია ძირშივე მცდარია, რადგან სიცოცხლისუუნაროა, როგორც ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა **პოლ კრუგმანმა** განაცხადა, „თქვენი გასავლები — ეს არის ჩემი შემოსავლები, ჩემი გასავლები — თქვენი შემოსავლები. თუკი თქვენცა და მეც შევეცდებით ეკონომიას, მაშინ ჩვენი შემოსავლები შემცირდება“.

**კრედიტორი ქვეყნები, სახელდობრ, გერმანია, კრედიტორ დაწესებულებებთან — ევროკომისიასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად საბერძნეთის ამჟამინდელი ხელისუფლებისგან მოითხოვენ იმ კურსის გაგრძელებას, რომელიც ათენს თავს მოახვიეს 5 წლის წინათ. ზომები საბერძნეთს ვერ დაეხმარა, პირიქით — ქვეყნის ეკონომიკა გაანადგურა. ამის მიუხედავად, კრედიტორმა ქვეყნებმა მოითხოვეს, რომ ბერძნებს განეგრძოთ მოცემული კურსი. ახალი ხელისუფლება კი იმიტომ აირჩიეს, რომ ბოლო მოეღო მოძველებული კონცეფციისთვის და ქვეყნის გადარჩენის სხვა მეთოდები მოესინჯა.** აი შექმნილი ჩიხური მდგომარეობის მიზეზი.

შეიძლება გვეფიქრა, რომ კომპრომისის შანსი არსებობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, **ევროპის სხვა ქვეყნებს არ სურთ, რომ საბერძნეთის მემარცხენე მიმართულების მთავრობამ ევროზონაში კრიზისს თავი დააღწიოს ახალი მეთოდებითა და მკაცრი ეკონომიკის ღონისძიებებზე უარის თქმით. ასეთ შემთხვევაში ხომ ეს სამაგალითო იქნება დანარჩენი ქვეყნებისთვის, მაგალითად, ესპანეთისთვის, პორტუგალიისთვის, ირლანდიისა და კვიპროსისთვის?!“** — განაცხადა ჰაროლდ შუმანმა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბელარუსმა იმდენი მოახერხა, რომ რუსულ გაზს ნახევარ ფასში იღებს. ლუკაშენკომ აღადგინა კრემლთან ურთიერთობა, ამიტომ ლუკაშენკოს ნათქვამი, რომ შეეცდება ქვეყნებს შორის ხიდების აღდგენას, ლიტონი სიტყვები არ არის. მან თქვა, დავიწყოთ ურთიერთობა და ვნახოთ, რა იქნება, მომავალი დაგვანახვებს, როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობაო. თუმცა საკითხავია, მოგვცემს თუ არა ამის უფლებას აშშ და ევროკავშირი“.**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: «ისლამური სახელმწიფოს» სახელით სირიაში მებრძოლი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები უკრაინაში გადაჰყავთ

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის შს მინისტრის მოადგილე სერგეი ჩებოტარი ფინეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს. ჩებოტარი სხვა სახელითა და გვარით, სხვა სახელმწიფოს მოქალაქის პასპორტით ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან ტრანზიტული რეისით ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში მიემგზავრებოდა. საქართველოსა და უკრაინას შორის პარალელს ხშირად ავლებენ და აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ნოემბერში ანალოგიური რამ საქართველოს ექსპრემიერმა და ყოფილმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმაც ჩაიდინა. ის ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დაიკითხა კიდეც. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოში „ნაციონალების“ ცხრაწლიანი მმართველობა უკვე ბევრს გაახსენა...**

**„საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრება.**



**«დიალოგი რუსებთან აუცილებელია და მე ვერ გავიზიარებ ფანჯიკიძისა და ზოგიერთი «ქოცის» ან «ნაცის» მოსაზრებას, რომ რუსეთთან პირდაპირი ლაპარაკი დასავლეთის ჩარევის გარეშე არ შეიძლება. აგრეთვე, განცხადება იმისა, რომ, თუ რუსეთი არ უარყოფს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მასთან სალაპარაკოდ არ დავსხდებითო, განწირულის პოზიციაა. რუსეთთან დიალოგი საქართველომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა დაიწყოს»**

— სპეცსამსახურების თანამშრომლები ხშირად ატარებენ რამდენიმე პასპორტს. ეს გასაკვირი არ არის, თუმცა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს შესაბამისი ინფორმაცია აქვთ ხოლმე და კოლეგას საზღვარზე ყოველგვარი ექსცესისა და დაკავების გარეშე უშვებენ, მაგრამ, როდესაც ეს შეუთანხმებლად ხდება, გართულებებს იწვევს. უნდა ითქვას ისიც, რომ ერთია, როდესაც რამდენიმე პასპორტი სპეცსამსახურის თანამშრომელს აქვს, და სულ სხვაა, როდესაც მინისტრი ან მისი მოადგილე ატარებს რამდენიმე პასპორტს; რადგან მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა, სასურველია, მსგავს შემთხვევებს თავი აარიდოს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს არ არის დიდი დანაშაული, დანაშაული არის ის, რასაც უკრაინის მთავრობა აკეთებს. კერძოდ კი, დასავლეთ უკრაინაში უკრაინელ ჯარისკაცებს ინტენსიურად წვრთნიან, ვინაიდან **აშშ მოწადინებულია, მაქსიმალურად აუაროს გვერდი მინსკის შეთანხმებას და უკრაინა ისე „დაქოქოს“, რომ რუსეთს უკრაინის მხრიდან მუდმივი პრობლემები ჰქონდეს. მართალია, სიტყვიერად მხარი დაუჭირეს, მაგრამ სინამდვილეში ამერიკელებს სულაც არ აძლევთ ხელს მინსკის შეთანხმება და ამას ასობით ამერიკელი ექსპერტისა და სამხედრო სპეციალისტის უკრაინაში ჩასვლაც ადასტურებს.**

როდესაც საქართველო-უკრაინის ურთიერთობებსა და ორ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს შორის პარალელებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი მომენტი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება რატომღაც ყურადღებას არ აქცევს. დღეს უკრაინის რადას წევრია ყირიმელი თათრების ლიდერი **მუსტაფა ჯამილოვი.** ის დიდი გავლენით სარგებლობს. **ყირიმელი თათრები, რომლებიც საკმაოდ ექსტრემისტულად არიან განწყობილი რუსეთის წინააღმდეგ, „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულ ძალებში ირიცხებიან და, სხვათა შორის, სირიაში მთავრობის წინააღმდეგაც იბრძვიან.** სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით მებრძოლი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები უკრაინაში ეტაპობრივად გადაჰყავთ.

**— ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ყველა ქრისტიანულ ქვეყანას ემუქრებიან. უკრაინას, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, რისთვის სჭირდება ეს ყველაფერი?**

— უკრაინაში ახლა ამას ყურადღებას არ აქცევენ. ამჟამად **უკრაინაში „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით სირიაში მებრძოლი უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და უკრაინელი ფაშისტების კონსოლიდაცია მიმდინარეობს.** ისეთმა ფაშისტურმა დაჯგუფებებმა, როგორებიცაა „აიდარი“ და „აზოვი“, საერთო ენა გამონახეს „ისლამური სახელმწიფოს“ მეომრებთან. უკრაინაში ეს კავშირები ჯამილოვის ხელშეწყობით უკვე არსებობს. „ისლამური სახელმწიფოც“ აშშ-ის შექმნილია და ამის დამადასტურებელი ფაქტებიც არსებობს.

**— უკრაინას, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, მომავალში ეს ცუდად არ დაუბრუნდება?**

— ჯერჯერობით ამაზე უკრაინაში არავინ ფიქრობს, ახლა მათი პირველი მტერი რუსეთია. **ამას წინათ უკრაინის რადამ მიიღო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, სტალინიზმი და ფაშიზმი ერთმანეთს გაუთანაბრა და ეს ყველაფერი იმ უკრაინელების შვილებისა და შვილიშვილების ხელშეწყობით მოხდა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტების მხარეს იბრძოდნენ.** ისინი ანტისაბჭოური, ანტირუსული განწყობით იზრდებოდნენ. მაგალითად, როგორც ჩემთვის ცნობილია, ფაშისტების მხარდამხარ მებრძოლი **რომან შუხევიჩის** შვილიშვილი რადას წევრია და სწორედ მისი იდეა იყო ბანდერელთა გმირობის დაფასება და ფაშიზმისა და სტალინიზმის გათანაბრება.

ბანდერასა და შუხევიჩის რაზმები, რომლებიც ფაშისტების მხარეს იბრძოდნენ, უკრაინაში გმირებად გამოაცხადეს, ხოლო უკრაინელების განცხადება, ბანდერა ფაშიზმსაც ებრძოდაო, სიცრუეა. სტეპან ბანდერა თავიდანვე მხარს უჭერდა ფაშისტურ იდეოლოგიას, უბრალოდ, მას ისე გაუტკბა ძალაუფლება, რომ ჰიტლერის მისამართით პრეტენზიები გამოთქვა და განაცხადა, როდესაც ჰიტლერი გაიმარჯვებს, მზად ვარ, ჩავიბარო არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მოლდოვისა და მთელი კავკასიის მმართველობაო, რაც ბუნებრივია, ჰიტლერის გეგმებში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ ბანდერა ცოტა ხნით დააპატიმრეს.

**საქართველოს ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც უკრაინის ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა. შეცდომაა, როდესაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინის ფაშისტურ და დამნაშავე ხელისუფლებას ეახლება მაშინ, როცა უკრაინის ხელისუფლება „ნაციონალებს“ ნიშნავს თანამდებობებზე და საქართველოს ხელისუფლების თხოვნას ანგარიშს არ უწევს. როდესაც აქედან ჩასულ პარლამენტის თავმჯდომარეს პრეზიდენტი არ ხვდება, ეს ნიშნავს, რომ მათ ჩვენთან ურთიერთობა არ სურთ. არ ვამბობ, რომ დიპლომატიური კავშირი გავწყვიტოთ, მაგრამ არ უნდა მიეძალო და ასეთი საჯარო განცხადებებისგანაც თავი უნდა შეიკავო.** არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს პრეზიდენტი არ შეხვედროდა. **დავით უსუფაშვილი უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ არ მიიღო.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით უსუფაშვილი უკრაინაში სააკაშვილს შეხვდა...**

— დიახ, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა. არ არის გამორიცხული, უსუფაშვილი სააკაშვილს მართლაც შეხვედროდა, რადგან გვახსოვს, უსუფაშვილმა სააკაშვილს ახალი წელიც მიულოცა. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, გამოდის, რომ „ნაციონალებსა“ და რესპუბლიკელებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ.

**— კიევში, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე მონაწილეებმა ცოცხები მიიტანეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინელი საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებაში ქართველების მასობრივი დანიშვნებით უკვე უკმაყოფილოა.**

— ბუნებრივია, უკრაინაში ქართველების დანიშვნა გულზე არ ეხატებათ. ამხელა უკრაინაში, სამმილიონიან საქართველოში გამოჩეკილი „ნაციონალების“ გარდა, უკეთესი კადრი როგორ ვერ მოიძებნა?! მაგრამ საქმე ის არის, რომ **„ნაციონალებს“ თანამდებობებზე უკრაინელები კი არ ნიშნავენ, არამედ ამერიკელები თავს ახვევენ „ნაციონალებს“ უკრაინელებს.** „ნაციონალები“ უკრაინაში სამუდამოდ არ დარჩებიან და მათ ან ისევ საქართველოში დააბრუნებენ, ან სხვა რომელიმე ყოფილ საბჭოთა სივრცეში გადაისვრიან, სადაც მორიგი „ყვავილოვანი რევოლუცია“ მოხდება. **ესენი არ არიან ქართული კადრები, ესენი არიან საქართველოდან წასული ამერიკული კადრები. აქედან გამომდინარე, უკრაინელებს შეუძლიათ, რამდენიც უნდათ, იმდენი ცოცხი მიიტანონ, მაგრამ ამით უკრაინის ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებენ, რადგან მას ამერიკა და ევროკავშირი მფარველობს.**

**— უკრაინაში წარმატებული ონკოლოგი იგორ შეპოტინი ოპერაციის მსვლელობისას დააკავეს. ბევრს ამან საქართველოს ყოფილი ხელისუფლების საჩვენებელი ტელედაჭერები გაახსენა. შეიძლება ითქვას, რომ „ნაციონალების“ დასჯის მეთოდები უკრაინაშიც მეორდება?**

— დიახ, ეს ზუსტად იმავე დასჯის მეთოდებია, რომლებსაც „ნაციონალები“ საქართველოში იყენებდნენ. **აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა — ექიმი ოპერაციის მიმდინარეობისას დაიჭირეს, ხოლო ერთ-ერთ თანამდებობის პირს პირდაპირ მთავრობის სხდომაზე დაადეს ბორკილები. მართალია, ეს კაცი მალე გაათავისუფლეს, რადგან მისი დაპატიმრების არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ, მაგრამ, რაც მთავარია, საჩვენებელი დაჭერა შედგა.**

გახშირდა მკვლელობის ფაქტებიც. უკრაინაში, ფაქტობრივად, ყოველდღე ვიღაცას კლავენ. ცოტა ხნის წინათ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსი **ოლეგ კალაშნიკოვი** და ჟურნალისტი **ოლეს ბუზინა** მოკლეს, რომლებიც დაუფარავად აკრიტიკებდნენ უკრაინის ახალ ხელისუფლებას. ისინი მოკლეს დანარჩენების დასაშინებლად. მაგრამ მხოლოდ ეს ორი შემთხვევა არ არის, **უკრაინაში გაცილებით მეტი მკვლელობა ხდება, მაგრამ არ ხმაურდება...**

გვახსოვს, არასასურველ ადამიანებს საქართველოშიც ასე იშორებდნენ.

**— საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ბელარუსის პრეზიდენტი იმყოფებოდა. ალექსანდრე ლუკაშენკომ საქართველო-ბელარუსისა და რუსეთის მეგობრობაზე ისაუბრა და ერთი დიდ ოჯახში დაბრუნებაც ახსენა. ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ ლუკაშენკოს ვიზიტის ნამდვილი მიზანი თბილისსა და მოსკოვს შორის შუამავლის როლის შესრულება იყო...**

— თუ საქართველოს ხელისუფლებას ჭკუა შერჩა, ამ ვიზიტს უნდა ჩაებღაუჭოს, რადგან სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ გვაქვს. **ევროკავშირში არასდროს მიგვიღებენ და თავისუფალი ვაჭრობის დაწყების შემთხვევაში ქართული პროდუქცია ავტომატურად გაძვირდება. თუ არ აღვადგინეთ მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტები რუსეთთან, ჩვენი საქმე წასულია.**

რთულია პირდაპირ თქმა, ლუკაშენკო რამდენად ასრულებდა პუტინის დავალებას, ვინაიდან თვითონ ლუკაშენკო ლამის ყოველდღიურად ვაჭრობს პუტინთან. სამაგიეროდ, **ბელარუსმა იმდენი მოახერხა, რომ რუსულ გაზს ნახევარ ფასში იღებს. ლუკაშენკომ აღადგინა კრემლთან ურთიერთობა, ამიტომ ლუკაშენკოს ნათქვამი, რომ შეეცდება ქვეყნებს შორის ხიდების აღდგენას, ლიტონი სიტყვები არ არის. მან თქვა, დავიწყოთ ურთიერთობა და ვნახოთ, რა იქნება, მომავალი დაგვანახვებს, როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობაო. თუმცა საკითხავია, მოგვცემს თუ არა ამის უფლებას აშშ და ევროკავშირი.**

პირდაპირი **დიალოგი რუსებთან აუცილებელია და მე ვერ გავიზიარებ ფანჯიკიძისა და ზოგიერთი „ქოცის“ ან „ნაცის“ მოსაზრებას, რომ რუსეთთან პირდაპირი ლაპარაკი დასავლეთის ჩარევის გარეშე არ შეიძლება. აგრეთვე, განცხადება იმისა, რომ, თუ რუსეთი არ უარყოფს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მასთან სალაპარაკოდ არ დავსხდებითო, განწირულის პოზიციაა.** რუსეთთან დიალოგი საქართველომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა დაიწყოს და ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ერთი და ორი შეხვედრით აფხაზეთსა და ოსეთს არ დაგვიბრუნებენ. ეს საკითხები ხანგრძლივი დიალოგისა და მსჯელობის საგანია.

**— საზოგადოებაში კითხვის ნიშნები გაჩნდა, რატომ არ დახვდა ლუკაშენკოს საქართველოს პრეზიდენტი ან პრემიერი?**

— პროტოკოლის მიხედვით, პრეზიდენტისა და პრემიერის აეროპორტში დახვედრა აუცილებელი არ არის, თუმცა ღონისძიებები იმართება პრეზიდენტის სასახლეში. ლუკაშენკოს ვიზიტისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის სასახლეს. წლების განმავლობაში რესპუბლიკის პროტოკოლის ხელმძღვანელი ვიყავი და მინდა, ვთქვა, რომ ყველა ხელისუფლების დროს სტუმრების მიღება და გამასპინძლება დიდი პრობლემა იყო. როგორ შეიძლება სტუმრების მიღების ცერემონია პარლამენტის შენობის ეზოში, ხოლო პრეზიდენტის სახელით დაგეგმილი წვეულების სასტუმროში გამართვა?!

ეს დაუშვებელია.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

„ამ საკანონმდებლო ინიციატივას სამი მიზანი აქვს: პირველი — ხელისუფლებას სურს, ადვოკატების დამორჩილება და ყველა ადვოკატის, ფაქტობრივად, „ჩამშვებად“ გადაქცევა; მეორე — ფინანსური ბერკეტები მთლიანად ხელისუფლების ხელში იყოს და ტოტალური კონტროლი დაწესდეს ნებისმიერ ინვესტიციაზე; მესამე და მთავარი მიზანია წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიებისთვის ყოველგვარი ფინანსური რესურსის გადაკეტვა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ზაზა ხატიაშვილი:

# როცა ონიანი ზონდერობდა, ჭიკაიძე რას აკეთებდა, პირჯვარს იწერდა?!

## «გოგა ონიანის უშუალო ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭიკაიძე იყო»

**„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა“ ზაზა ხატიაშვილმა საქართველოს პარლამენტის წინ ბორკილები დაიდო და ადვოკატების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები, კერძოდ, „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ“ კანონპროექტში შესატანი ცვლილებები გააპროტესტა. „საქართველო და მსოფლიოს“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:**

— თითქმის ოცი წელია, საადვოკატო საქმიანობას ვეწევი და, სიმართლე გითხრათ, **არ მახსოვს, ხელისუფლებას შემოეგდოს ასეთი, სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონპორექტი, რომელიც არა მხოლოდ გაანადგურებს ქვეყანაში ადვოკატის ინსტიტუტს, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივას.**

კერძოდ, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსს შეუძლია, ადვოკატს დაურეკოს და მოსთხოვოს, რომ კლიენტს გარიგება შეუჩეროს. არგუმენტი კი მხოლოდ ის იქნება, რომ ფინანსური სამსახურის უფროსი ამას საჭიროდ მიიჩნევს. საქართველომ დაახლოებით ერთი წლის წინათ უკვე მიიღო „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ალკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტი, რომლითაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გარკვეული უფლებები მიენიჭა და, თუ ადვოკატს აქვს ინფორმაცია, რომ სადმე ფული „თეთრდება“ ან ტერორიზმის საფრთხეა, ვალდებულია, აცნობოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონფიდენციალურობის პრინციპს ადვოკატსა და კლიენტს შორის. ეს კანონი დემოკრატიის საფუძვლებთან ახლოს იყო, მაგრამ ვილაცას უცებ ამ კანონში ცვლილებების შეტანის სურვილი გაუჩნდა. **6 აპრილს პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ დაადო რეზოლუცია, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ კანონპროექტში შესწორებაო, და სასწრაფოდ განიხილეს, შემდეგ კი განაცხადეს, კანონპროექტი კარგიაო. ეს კანონპროექტი არის ერთ-ერთი სამარცხვინო ლაქა საქართველოს უახლეს ისტორიაში.** საყურადღებოა, რომ ორი დღის განმავლობაში ადვოკატს უფლებაც არ აქვს, გააფრთხილოს კლიენტი და ის რჩება ადვოკატის გარეშე, ამ პერიოდში კი შეიძლება, მილიონები დაკარგოს. პარალელურად ცვლილება შედის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება, თუ კლიენტს გააფრთხილებს, ანუ **ადვოკატი ორ ცეცხლს შუაა: თუ კლიენტს ეტყვის, დაიჭერენ, არ ეტყვის და — ეთიკის კოდექსს დაარღვევს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საქართველო მიდის ფეოდალიზმისკენ.**

ხელისუფლებას რომ ჰკითხო, სურს, საქართველოში ინვესტიციები შემოვიდეს, მაგრამ იმ ქვეყანაში, რომელშიც არსებობს ორგანო, რომელსაც შეუძლია 50-მილიონიანი გადარიცხვა ერთი ზარით შეაჩეროს, ნორმალური ინვესტორი შემოვა?

**— რა მიზანი აქვს ხელისუფლებას, რატომ აკეთებს ამას?**

**— ამ საკანონმდებლო ინიციატივას სამი მიზანი აქვს: პირველი — ხელისუფლებას სურს, ადვოკატების დამორჩილება და ყველა ადვოკატის, ფაქტობრივად, „ჩამშვებად“ გადაქცევა; მეორე — ფინანსური ბერკეტები მთლიანად ხელისუფლების ხელში იყოს და ტოტალური კონტროლი დაწესდეს ნებისმიერ ინვესტიციაზე; მესამე და მთავარი მიზანია წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიებისთვის ყოველგვარი ფინანსური რესურსის გადაკეტვა.** მაგალითად, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ფული რომ გადაურიცხოს მსურველმა, ამ თანხას ფინანსური მონიტორინგის სამსახური ისე შეაჩერებს, სასამართლო არ დასჭირდება. აქედან გამომდინარე, საარჩევნოდ ვერც ერთი სუბიექტი თანხას ვერ მიიღებს, მიკვირს, რატომ არიან ჩუმად პოლიტიკური პარტიები? ეჭვი მიჩნდება, რომ თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ივანიშვილს გაურიგდა ან, უბრალოდ, კანონპროექტი ვერ წაიკითხეს.

**— თქვენ მწვავედ აკრიტიკებთ ხელისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლებასაც აკრიტიკებდით, ხშირად ამბობთ, რომ სააკაშვილის მთავრობაზე უარესი მივიღეთ, რომ დღეს უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე ადრე იყო. მიესალმებით ხელისუფლებაში „ნაციონალების“ კვლავ დაბრუნებას?**

**— იმით, რომ ივანიშვილი არ ვარგა, სააკაშვილი, ბუნებრივია, კარგი ვერ გახდება.** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო ავტორიტარული რეჟიმი და როგორ შეიძლება მე, უფლებადამცველი, ასეთი რეჟიმის დაბრუნებას მივესალმო ან მასზე დადებითი აზრი მქონდეს?!



**«რაც უნდა მარწმუნოს ივანიშვილმა, ქვეყანა მიყვარსო, ნოდარ ხადურს რომ ფინანსთა მინისტრად დანიშნავ, არა მგონია, ქვეყანა გიყვარდეს. დაბრუნდეს და მართოს საქართველო. მე ივანიშვილს მივეცი ხმა და არა ხადურსა და ღარიბაშვილს»**

**დღეს ის ადამიანები მაკრიტიკებენ, რომლებიც მაშინაც მაკრიტიკებდნენ, როცა სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდი, ანუ ლაქიები, რომლებიც ყველა ხელისუფლებაში არიან შემძვრალნი. ჯალალედინი რომ გააცოცხლო, ეს პროკურორები და პოლიციელები იმასაც მოემსახურებიან, ოღონდ ადგილი შეინარჩუნონ.**

ზაზა ხატიაშვილს ერთი ხინკალი არ შეუჭამია არც სააკაშვილთან და არც ივანიშვილთან. **როცა სააკაშვილს ვებრძოდი, მას ივანიშვილი აფინანსებდა. რადგან ამ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, მე დღეს „ნაციონალი“ ვარ და, მარიკა ვერულაშვილი რომ გაჩუმდა და ბიძინას ტაში დაუკრა, „ქართული ოცნების“ მომხრეა?**

სააკაშვილმა ძალმომრეობითი რეჟიმი შექმნა, ივანიშვილმა — ფინანსური რეჟიმი.

**— ფიქრობთ, რომ გრძელდება ბიზნესმენების დატერორება?**

— **დღეს რომელიმე ბიზნესმენმა რომ თქვას, ჩემზე ზემოქმედებენო, ფეხებით დაკიდებენ. ეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ბიზნესზე ზეწოლას კი არა, მის განადგურებას ნიშნავს. ეს არის ნებისმიერი ფულადი გადარიცხვის, ნებისმიერი ხელშეკრულების ტოტალური კონტროლი. აუცილებელი ხომ არ არის, ბიზნესმენს დაურეკო და ფული მოსთხოვო?!**

ის ხალხი, რომელიც მოსაკლავად დაგვდევდა, როდესაც სააკაშვილის ქმედებებს ვაპროტესტებდით, ის ხალხი, რომელიც ბიზნესმენებს ფულსართმევდა და ატერორებდა, ამ ხელისუფლებამ დააწინაურა. მაგალითად, ფინანსური პოლიციის კადრი გიორგი ბადაშვილი მთავარ პროკურორად დანიშნეს.

**— ბატონო ზაზა, თქვენც გიყენებენ პრეტენზიას, რომ „ნაციონალების“ ზონდერები, მაგალითად, გოგა ონიანი, ამოიყენეთ მხარში და მას იცავთ.**

— ადვოკატობა თავისუფალი პროფესიაა. მე არ დამინიშნავს გოგა ონიანი რაიმე თანამდებობაზე. ონიანმა ჩააბარა გამოცდა და კანონმა მას ადვოკატობის უფლება მისცა. ადვოკატთა ასოციაციაში წევრებს იღებს აღმასრულებელი საბჭო, რომელმაც ონიანი თავდაპირველად არ მიიღო, მაგრამ მან გვიჩივლა და სასამართლოს გადაწყვეტილებით გახდა ორგანიზაციის წევრი. ყველა პროცესი მოგვიგო. რა უნდა მექნა? მას თავისი კლიენტები ჰყავს და რა უფლება მაქვს, ვინმეს ვუთხრა, ონიანი ადვოკატად არ აიყვანოს?!

ადვოკატთა ასოციაციას შეუძლია, ონიანი გააგდოს, თუ მან კლიენტი არ დაიცვა. ხოლო, როდესაც ხელისუფლება არღვევს ონიანის, როგორც ადვოკატის, უფლებას, მე, როგორც უფლებადამცველს, არ მაქვს უფლება, ხმა არ ამოვიღო. **გოგა ონიანის უშუალო ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭიკაიძე იყო და, როცა ონიანი ზონდერობდა, ჭიკაიძე რას აკეთებდა, პირჯვარს იწერდა? მაქვს ინფორმაცია, რომ ონიანს ეს ხელისუფლება მინისტრის მოადგილეობასა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას სთავაზობდა, გარკვეული გარიგების სანაცვლოდ, მაგრამ უარი თქვა.**

რადგან ხელისუფლებას ვამხელ და მწვავედ ვაკრიტიკებ, სხვა მიზეზი ვერ მომიძებნეს; რადგან ფული არავისგან ამიღია და არავისთან გავრიგებულვარ, ამიტომ ახლა დამაბრალეს, გოგა ონიანს იცავსო.

ონიანს უსუსური ბრალი წაუყენეს, ედავებოდნენ, კანონიერი დაკავების უკანონო ორგანიზატორი ხარო. ასეთი უტვინოა პროკურატურა. არადა, ბევრს ეგონა, ზონდერობასა და ადამიანების დარბევისთვის წაუყენეს ბრალი და მე ვიცავდი.

დღეს სააკაშვილსა და სხვა ძებნილებს რომ არ გადმოსცემენ საქართველოს, სწორედ ივანიშვილისა და ღარიბაშვილის დამსახურებაა. ეს ხელისუფლება თანამიმდევრული რომ ყოფილიყო, სხვა ვითარება იქნებოდა.

**— ბოლო პერიოდში საქართველო მკვლელობების სერიამ მოიცვა. რას მიაწერთ მკვლელობების გახშირებას?**

— ეს არის ქვეყანაში დამკვიდრებული უსამართლობის შედეგი. ბიძინა ივანიშვილი რასაც ამბობდა და გვპირდებოდა, ყველაფერი საწინააღმდეგოდ გააკეთა და ქვეყანაში მართვის მექანიზმი მოიშალა. ერთი ნაწილი რომ გაფუჭდება, ყველაფერი იშლება და უფსკრულისკენ მიდის.

რაც უნდა მარწმუნოს ივანიშვილმა, ქვეყანა მიყვარსო, ნოდარ ხადურს რომ ფინანსთა მინისტრად დანიშნავ, არა მგონია, ქვეყანა გიყვარდეს. დაბრუნდეს და მართოს საქართველო. მე ივანიშვილს მივეცი ხმა და არა ხადურსა და ღარიბაშვილს.

**— გინდათ, დაბრუნდეს ივანიშვილი ხელისუფლებაში?**

— დიახ, მინდა, დაბრუნდეს და ყველაფერზე დაიკისროს პასუხისმგებლობა. ვფიქრობ, არჩევნების წინ დაბრუნდება კიდეც. საარჩევნოდ ხალხის ნაწილი ისევ დაიჯერებს დაპირებებს, ნაწილი ისევ გაიყიდება და, ალბათ, ხუთი წელიწადი მაინც კიდევ მოგვიწევს იმ უბედურებაში ყოფნა, რომელსაც „ქართული ოცნების“ მმართველობა ჰქვია.

**— იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გია სოსანაშვილის ადვოკატის განცხადებით, „ეფ-1“ ხელყუმბარა საფლავზე არ აუფეთქებიათ და იქ შეცვლილი ფალია მიიტანეს. ხოლო იური ვაზაგაშვილი, შესაძლებელია, დისტანციური ასაფეთქებელი მოწყობილობის საშუალებით მოკლეს, რომელიც მხოლოდ სპეცდანიშნულების რაზმს აქვს. ბრალდების მხარეს მტკიცებულებების გაყალბებაში ადანაშაულებენ. რა შეუსაბამობას ხედავთ ექსპერტიზის დასკვნაში?**

— იური ვაზაგაშვილი ჩემთვის ძმასავით იყო და მისი დაღუპვა დიდი ტრაგედიაა. ზურა ვაზაგაშვილის საქმე მე გავგზავნე სტრასბურში, მისი ადვოკატი ვიყავი, თუმცა, ვინაიდან საქმის მასალებს დეტალურად არ ვიცნობ, კომენტარისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, ძალიან მეწყინა, სოსანაშვილის ადვოკატმა ასეთი ბინძური რალაცები რომ გაავრცელა მასზე. როგორ შეიძლება კაცს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების სახე იყო, ასეთი რალაცები დააბრალო... დღე და ღამე შვილის საფლავზე დადიოდა.

**— დე-ენ-ემ-ის ან ექსპერტიზის დასკვნის გაყალბება შესაძლებელია?**

— საზოგადოდ, ყველაფრის გაყალბება შეიძლება. როდესაც მოქმედი ადვოკატი ვიყავი, პროკურატურა სამიდან ორ საქმეს აყალბებდა, მაგრამ ამ საქმისადმი იმხელა საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, არა მგონია, ყალბი მტკიცებულებების წარდგენა გაბედონ. ვფიქრობ, საქმის გაყალბებით თვითონ პროკურატურა არ არის დაინტერესებული.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**P.S. 27 აპრილს მთავრობამ პარლამენტიდან „ადვოკატთა შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები გაიწვია.**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თინა ხიდაშელმა და კომისიაში შეგზავნილმა არასამთავრობოებმა, პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების განთავისუფლების ნაცვლად, გარედან შეკვეთილი ბრძანებები შეასრულეს და კომისიაში თავიანთი ხმები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენეს. აშშ-ის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის დაჟინებული მოთხოვნით შეიყვანეს კომისიაში ხიდაშელ-უსუფაშვილის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა ადამიანების ბედის განსაზღვრა“.**

ლევან მამალაძე:

# ამერიკიდან უკრაინაში იარაღის შეტანას სააკაშვილი ლობირებს!

## «მიშას დასაჭერთა სიაში ადამიანები შეჰყავს და თანხის გადახდის შემდეგ უგვარებს საკითხებს, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობასაც სააკაშვილს უკავშირებენ»

2013 წლის 13 იანვარს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ის პატიმარები გათავისუფლდნენ, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 5 დეკემბერს მიღებული დადგენილების საფუძველზე პოლიტიკურ პატიმრებად აღიარა — სულ 190 პირი. ეს თემა დავისა და კამათის საგნად იქცა, რადგან პოლიტმატიმართა და პოლიტდევნილთა სიაში ბევრი ვერ მოხვდა ან სულაც ამოიღეს იქიდან. რამდენიმე დღის წინათ კი უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ ზოგიერთი პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი სიიდან ამერიკის ელჩმა ამოიღო. ნანა კაკაბაძის განცხადებას, რომ პოლიტიკური პატიმრების სიის შედგენის პროცესში აშშ-ის ელჩი ერეოდა, ბრალდების ადრესატი რიჩარდ ნორლანდი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, რაზე საუბრობს ნანა კაკაბაძე. ერთ-ერთი პოლიტდევნილი, რომელიც სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძეა, რომელსაც რამდენიმე შეკითხვა დავუსვით.



**«ყველგან, სადაც სამართლიანობის აღდგენის საკითხი ოფიციალურად დგება და სააკაშვილის პასუხისმგებლობა იკვეთება, ხიდაშელი და უსუფაშვილი ხელს უშლიან და პროცესს აჩერებენ. საერთაშორისი დონეზე სისხლიანი რეჟიმის მხილებასაც თინამ შეუშალა ხელი»**

**— რამდენიმე დღის წინათ ნანა კაკაბაძემ განაცხადა, პოლიტპატიმრების სიიდან ზოგიერთი გვარის ამოღება ამერიკის ელჩის დავალებით მოხდაო... ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ შემთხვევაშიც ამერიკის ელჩი იყო ჩარეული?**

— ნანა კაკაბაძე პოლიტპატიმართა სიის დამდგენი კომისიის სიბინძურეებს შეეწინააღმდეგა, რადგანაც **თინა ხიდაშელმა და კომისიაში შეგზავნილმა არასამთავრობოებმა, პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების განთავისუფლების ნაცვლად, გარედან შეკვეთილი ბრძანებები შეასრულეს და კომისიაში თავიანთი ხმები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენეს. აშშ-ის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის დაჟინებული მოთხოვნით შეიყვანეს კომისიაში ხიდაშელ-უსუფაშვილის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, სწორედ ისინი წყვეტდნენ ადამიანების ბედს.** მათ რეალობა არ აინტერესებდათ, ვინც ხელს არ აძლევდათ, ციხეში დატოვეს, პოლიტდევნილები კი საქართველოში არ ჩამოუშვეს. მიშა სააკაშვილის პირადი მძევალი იყო ქალბატონი ნორა კვიციანი, მას პოლიტპატიმრის სტატუსი დღემდე არ მიანიჭეს, ემზარ კვიციანი კი სიიდან ამოიღეს. ასეთი ფაქტები ბევრია. კომისიამ თავიდანვე ხელი შეუშალა სამართლიანობის აღდგენის პროცესს.

**— თქვენ თინა ხიდაშელს ადანაშაულებთ, მაგრამ იქნებ ხიდაშელმა ამერიკის საელჩოს მოთხოვნა შეასრულა, ამაზე არ გიფიქრიათ?**

— არაფერს გამოვრიცხავ. ამერიკის წინა ელჩთან, რიჩარდ მაილსთან, კარგი ურთიერთობა მქონდა, ამჟამინდელს არ ვიცნობ. ეს პრობლემები უფრო ღრმაა, ვიდრე ზოგს ჰგონია. აშშ მსოფლიოში წამყვანი ზესახელმწიფოა და ლეგიტიმაციის ბერკეტები ხელთ უპყრია. სააკაშვილის ჩაჩოჩება და „ოცნების“ გამარჯვებაც მათი ტექნოლოგიებით იყო კორექტირებული. კოაბიტაცია მაგათი პროექტია და თვითონვე აკონტროლებდნენ. **სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებულთა სიის შედგენაში ამერიკის ელჩის ჩარევა, ვფიქრობ, ჩვეულებრივი მოვლენაა დღევანდელი საქართველოსთვის. თინა ხიდაშელი კი იმთავითვე უცხოთა ინტერესებს ემსახურებოდა... გადახედეთ მის პოლიტიკურ საქმიანობას და დარწმუნდებით. ამას წინათ კომიტეტის თავმჯდომარეობაც კი უზოძეს.**

ასე რომ, არაფერია გამორიცხული, თინამ სიიდან ყველა ის ადამიანი ამოიღო, რომელთა რეაბილიტაციაც ხელს არ აძლევდა.

**— აპირებთ თუ არა, პასუხი მოსთხოვოთ პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლეს იმის გამო, რომ, როგორც ამბობთ, თქვენი გვარი პოლიტპატიმართა სიიდან ამოიღო?**

— **თინა ხიდაშელს პასუხი ისედაც მოეთხოვება სააკაშვილის რეჟიმის „გაპრავებისთვის“. ხიდაშელმა პარლამენტისა და მთავრობის დარბევა, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და უზენაესი სასამართლოს დატერორება, „ხალხის კანონიერ ამბოხად“ გამოაცხადა. 26 მაისის მომიტინგეთა დარბევის მისეული შეფასებაც გემახსოვრებათ...** ვაპირებდი, მეპატიებინა, მაგრამ დააკვირდით მის ტონს, როგორ „ბობოქრობს“. **ყველგან, სადაც სამართლიანობის აღდგენის საკითხი ოფიციალურად დგება და სააკაშვილის პასუხისმგებლობა იკვეთება, ხიდაშელი და უსუფაშვილი ხელს უშლიან და პროცესს აჩერებენ. საერთაშორისი დონეზე სისხლიანი რეჟიმის მხილებასაც თინამ შეუშალა ხელი.**

ამა წლის 21 მარტს მიშას 50 ათასი კაცი რომ გამოეყვანა, დაინახავდით, ვისთან გადასკუპდებოდა ხიდაშელი. სააკაშვილს ამჟამინდელ ხელისუფლებაში თინათინ ხიდაშელის სახით ერთგული დამცველი ჰყავს. რატომ არის მიშას დამცველი „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ამერიკის საელჩოს უფრო ეცოდინება.

ამიტომ ამომიღო სიიდან და ამიტომ გაურბის ხიდაშელი ჩემთან პირდაპირ ეთერს.

**— ბატონო ლევან, ბოლო ხანს სოციალურ ქსელებში გავრცელდა თქვენი ერთ-ერთი გამოსვლის ვიდეო, სადაც სააკაშვილს ამხელთ. იმხანად არ დაგიჯერეს და ახლა „აღმოაჩინეს“, რომ მართალი ყოფილხართ. სააკაშვილის მამხილებელი ფაქტები საიდან და როგორ მოიძიეთ და შევარდნაძემ რატომ არ მიიღო შესაბამისი ზომები?**

— 2003 წელს მთავრობის გაფართოებული სხდომის ტრიბუნიდან რაც ვთქვი, ყველაფერი ასრულდა. სააკაშვილი ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეობისას გაურიგდა ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებს და საქართველოში ხელისუფლების შეცვლის გეგმა შეიმუშავა. მიშა სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებაში ვამხილე. **შევარდნაძემ კი სააკაშვილს ჯერ იუსტიციის მინისტრობა, შემდეგ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა უბოძა. სააკაშვილმა ყველგან კორუფციული სქემები შექმნა, მილიონობით საბიუჯეტო თანხა ჩამოწერა, შეიარაღებული დაჯგუფებები ჩამოაყალიბა. ეს მასალები კონტროლის პალატამ ოფიციალურად წარმოადგინა, მაგრამ ედუარდ შევარნაძე მიშას ხელს აფარებდა, ეგონა, მას არავინ შეეხებოდა.** სააკაშვილმა დიდძალი თანხა დახარჯა იმისთვის, რომ პრესისა და ტელევიზიების საშუალებით ჩემთვის სამაგიერო გადაეხადა. რა ჭორი არ მომიგონა, თავიდან რომ მოვეშორებინე. როგორც კი ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, ჩემი და ჩემი ოჯახის რეპრესიები დაიწყო, ამას შეეწირა მამაჩემისა და ბიძაჩემის სიცოცხლე.

**— დღეს თითქოს დეჟავიუ გვაქვს ქართველებს — სააკაშვილის გუნდი ხელისუფლებაში დაბრუნებას იმავე მეთოდებით ცდილობს, რომლებიც 2003 წელს გამოიყენა. რაიონებში ისევ ისეთი დაპირისპირებები დაიწყეს, როგორიც იმხანად... კარგად გვახსოვს ბოლნისში ზურაბ ჯაფარიძისა და სააკაშვილის ჩხუბი. როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნებას?**

— სააკაშვილმა კიევს შეაფარა თავი და იქიდან გეგმავს რევანშით დაბრუნებას. **უკრაინაში მიშას მერკანტილური ინტერესები ამოძრავებს, ამერიკიდან იარაღის შემოტანას ლობირებს, დასაჭერთა სიაში ადამიანები შეჰყავს და თანხის გადახის შემდეგ უგვარებს საკითხებს, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობასაც სააკაშვილს უკავშირებენ.**

21 მარტს თბილისში ხალხი რომ ვერ შეაგროვეს, რაიონებში გადაინაცვლეს. ახლა იქ აწყობენ პროვოკაციებს, როგორც 2003 წელს. მაშინ ბოლნისში ჩხუბი იმიტომ მოაწყვეს, რომ წინა დღით პასპორტებით სავსე მანქანა დავაკავეთ — მიშამ ბოლნისელები მოატყუა, შაქარს დაგირიგებთო და პასპორტები გამოართვეს, რაც არჩევნებში „კარუსელების“ მოსაწყობად სჭირდებოდათ. ეს თემა ტელევიზიით რომ გადაეფარათ, ბოლნისში პროვოკაცია მოაწყვეს. **„იმედის“ ეთერში მიშას ვუთხარი, — გაგვეცი პასუხი, მოსახლეობას რატომ მოპარე პასპორტები-მეთქი. მან ცოფები ყარა და გაიქცა პირდაპირი ეთერიდან. სწორედ მაშინ ვთქვი, — ვისაც პარლამენტარობა უნდა, ფსიქიატრიული ტესტი გაიაროს, წამო, მიშა, ასათიანზე ერთად წავიდეთ, არ შეშინდე-მეთქი. ვიდრე ჰალსტუხის ჭამა არ დაიწყო, მიშას სიგიჟე არავინ დაიჯერა.**

სააკაშვილს დაბრუნება გაუჭირდება, ისე გააწამა ხალხი და დახლიჩა ქვეყანა, მის ნათქვამ სიმართლესაც აღარ მოისმენს საზოგადოება. „ნაციონალურ მოძრაობას“ კი, თუ სააკაშვილის პორტრეტის ჩამოშორება მოახერხა, შესაძლოა, პერსპექტივა გაუჩნდეს.

**— ზოგიერთი თვლის, რომ ახალი ხელისუფლება უუნაროა და ისინი წინა ხელისუფლებასთან რაღაც** ▶

**ამ „ნასკის მქსოველ“ პლასტელინს, რაც დრო გადის, თავი მართლა პრეზიდენტი ჰგონია და არა ბიძინა ივანიშვილის მიერ გაპრეზიდენტებული „ფინია“, რომელიც „სტოიკებს“ აქ, შინ უჭერს ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს და „პრინციპულად“ არ გამოდის სააკაშვილის სასახლიდან, თორემ ქვეყნის გარეთ მართლა „დვარნიაშკასავით“ იქცევა.**

ავი მესაიჯი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფორმით გარიგებულები არიან...**

— ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმისგან გაათავისუფლა საზოგადოება, მაგრამ საკადრო შეცდომებმა ყველაფერი გადაფარა. მარგველაშვილი პრეზიდენტად დანიშნეს და უღალატა, კბილაშვილმა დაპირებული სამართლიანობის აღდგენა არ დაიწყო, რამდენი მინისტრი გაიქცა უკვე ოპოზიციაში? სამწუხაროდ, ხელისუფლება ეკლექტური რჩება, იქ ბევრია სააკაშვილის მხარდამჭერი. ამის გამო ვერ ხერხდება სამართლიანობის აღდგენა და რეფორმების გატარება. ირაკლი ღარიბაშვილს მეტი თანადგომა სჭირდება, რათა აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები გაატაროს. განწყობა, რომ მიშას პარტია არავის უნდა, ალტერნატივა არ გვყავს და ხალხი ისევ ჩვენ აგვირჩევს, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს მმართველი ძალისთვის.

**— გაქვთ იმედი, რომ სამართლიანობა აღდგება და თქვენ საქართველოში ისე ჩამოხვალთ, რომ დროებით საპყრობილეში ყოფნა არ მოგიწევთ ისე, როგორც ეს ემზარ კვიციანის შემთხვევაში მოხდა?**

— ემზარ კვიციანი მოატყუეს. კაცი, რომელიც კოდორს ინარჩუნებდა, სამართლიანობისთვის დაბრუნდა სამშობლოში და ციხეში ჩასვეს. 13 წელი მიუსაჯეს და, ხალხი ქუჩაში რომ გამოვიდა, ეს ვადა 11 თვით შეცვალეს. ემზარი გამოუშვეს, მაგრამ სამართლიანობა არ აღდგენილა. იური ვაზაგაშვილმა და ბესიკ ხარძიანმა, როცა კბილაშვილის პროკურატურის იმედი დაკარგეს, თავიანთი საქმეები თვითონ გამოიძიეს, მკვლელებისა და მოძალადეების სახელები დაადგინეს და პროკურატურას გადასცეს, რის გამოც ამ ყველაფერს შეეწირნენ კიდეც.

ჩემი საქმეც ჩვენი ძალებით გამოვიძიეთ, გამოიკვეთა კონკრეტული პროკურორების გვარები, რომლებმაც ძალადობით, ფალსიფიკაციით, ცემა-მუქარითა და ზეწოლით შეკერეს საქმე, რათა ჩემთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ. **ყველაფერი გადაქექეს, მიშას მიერ მოგონილი „ოქროს ზოდები“ და „ნიანგები“ რომ ვერ იპოვეს, ჩემი დეკლარაცია უკანონოდ გამოაცხადეს. მანქანის შეძენასა და სამი წლის განმავლობაში ბარათზე 18 ათასი ლარის ბრუნვაში მედავებიან.** გამოძიებაში მონაწილე პროკურორებს საქმის შედგენისას სისხლის სამართლის კოდექსის 16 მუხლით აქვთ დანაშაული ჩადენილი. სააკაშვილს კი, როგორც პოლიტიკური რეპრესიების შემკვეთს, რასაც ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა, სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ მე-11 მუხლით ჩადენილ დანაშაულში ედება ბრალი. ახლა გამოჩნდება, რამდენად თავისუფალია პროკურატურა და არის თუ არა მზად, მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები დააკავოს. ჩემი ჩამოსვლა და სააკაშვილის გასამართლება ერთი იქნება, ღია სასამართლოს იხილავს ქართველი საზოგადოება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# აბა, ვინმე ნატოელი «აპატურაი» ჩამოხეტებულიყო?!





## იმიტომ, რომ გვარი «კო»-ზე მთავრდება, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ფეხბურთელ ანდრეი შევჩენკოში ხომ არ აგერიათ, კახა კალაძეს რომ ჩაახუტეთ?

**პრეზიდენტ ლუკაშენკოს პირველი ვიზიტი საქართველოში ისე დაიწყო, ვიფიქრე, ბელარუსების „ბატკა“ ტრაპიდან ფეხსაც არ ჩამოდგამდა და მინსკში გაბრუნდებოდა, რადგან მაღალი სტუმრის დახვედრის დონე აშკარად დაბალი იყო, ვიდრე ეს „ევროპის უკანასკნელ დიქტატორს“ შეეფერებოდა! რამდენი ისეთი ევროპელი თუ ამერიკელი მეათეხარისხოვანი ჩინოსნის ვიზიტები გვახსოვს, როდესაც მთელი მინისტრთა კაბინეტი, „პო სტოიკე — სმირნა“ დახვედრიან? ბატკას კი საგარეო მინისტრი ბერუჩაშვილი, რომლის მუდამ პირქუში გამომეტყველება უნებურად გძაბავს, და „ლამბერსექსუალი“ ენერგეტიკის მინისტრი დაახვედრეს...**

ჯერ კიდევ სააკაშვილისდროინდელი პროტოკოლით უცხო ქვეყნის პრეზიდენტები მიჰყავდათ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, სადაც სამხედრო ყარაულთან ერთად მათ პატივით ხვდებოდა პრეზიდენტი. ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო პროტოკოლის მხრივ ძალიან ცუდად მიიღეს, ჯარისკაცის საფლავის შემკობისას მარტო იყო. პროტოკოლს თავი რომ დავანებოთ, ეთიკის საკითხია, არსად წერია, რომ პრეზიდენტს ეკრძალება სტუმრის დახვედრა. პრეზიდენტებს არ ეკრძალებათ, პატივისცემა გამოხატონ სტუმრის მიმართ. ამ საქციელმა კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ ქვეყანაში ჯანსაღი ვითარება არ არის.

თქვე შობელბუნდღლებო!

**იმიტომ, რომ გვარი „კო“-ზე მთავრდება, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ფეხბურთელ ანდრეი შევჩენკოში ხომ არ აგერიათ, კახა კალაძეს რომ ჩაახუტეთ?**

სხვა რაში უნდა გამოიყენოს ქვეყანამ გიორგი მარგველაშვილი თუ არა მსგავს ცერემონიებში?!

**მაგრამ არა — ამ „ნასკის მქსოველ“ პლასტელინს, რაც დრო გადის, თავი მართლა პრეზიდენტი ჰგონია და არა ბიძინა ივანიშვილის მიერ გაპრეზიდენტებული „ფინია“, რომელიც „სტოიკებს“ აქ, შინ უჭერს ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს და „პრინციპულად“ არ გამოდის სააკაშვილის სასახლიდან, თორემ ქვეყნის გარეთ მართლა „დვარნიაშკასავით“ იქცევა.**

მაგის პრინციპულობა თუნდაც ევროპარლამენტში ვნახეთ, როდესაც ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებისას დარბაზში სააკაშვილის გამოჩენა კი არა, საპატიოდ წამოსკუპება არათუ გააპროტესტა, ტაშიც კი შემოსცხო!

**ლუკაშენკოს მიმართ არასათანადო დახვედრა, ცხადია, გზავნილი იყო ჩვენი „დასავლელი მეგობრებისა“ და „ნაცებ-ქოცების“ ამერიკელი პატრონებისადმი — ნუ გეშინიათ, ბელარუსის პრეზიდენტს არად ვაგდებთ, მისგან რუსეთის შესაძლო გზავნილებსაც არ შევისმენთ და, მოკლედ, თქვენს მონობას ამქვეყნად არაფერი გვირჩევნიაო!**

ეს რომ ასეა, დასტურად იმის გახსენებაც კმარა, როგორ ასწრებდნენ ერთმანეთს „ნაცებ-ქოცები“ ხელების სავსავს (ჩვენ არსად დაბრუნებას არ ვაპირებთ, ევროპა-ნატოში მივდივართო) ლუკაშენკოს მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის ნათქვამის კომენტირებისას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ერთმორწმუნეობისა და „ძველებურად ერთ ოჯახში ცხოვრების“ შესახებ...

**ერთი მასტერკლასი მაინც ჩაგვიტარა ბატკამ — 10 წლის შვილთან ერთად ვაკის პარკში გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი, რითაც პატივი მიაგო დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეომრებს** (და არა, მეორე მსოფლიო ომში, როგორც ცდილობენ საქართველოში (და არამხოლოდ) ადამიანებისთვის ტვინების გამორეცხვას დასავლეთის ნეოტროცკისტი ლიბერალები, **რაც, რატომღაც დარწმუნებული ვარ, პროტოკოლს მიღმა, პირადად ლუკაშენკოს ინიციატივას უფრო ჰგავდა!**

**აქედან გამომდინარე, ჩემთვის საინტერესო არის ის, როგორ, როდის და რა ფორმით აღნიშნავს ჩვენი ხელისუფლება ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავს:**

**8 მაისს, როგორც მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხებას, რითაც ოკეანისგაღმელ თუ ევროპელ პატრონებს აამებენ და შესაბამისად, დაღუპული ქართველი მებრძოლების მოსკოვიდან ბერლინამდე განფენილ საფლავებში ჩააფურთხებენ, თუ ეყოფათ გამბედაობა და გვაზეიმებენ 9 მაისს, როგორც დიდ სამამულო ომში სტალინის მთავარსარდლობით გამარჯვებას...**

რა გზავნილი შეიძლებოდა ჩამოეტანა ბატკას და რა გაატანეს აქედან?

ამაზე ახლა დიდი მარჩიელობაა გამართული და მეც შევეცდები მკითხაობას...

დავიწყოთ იქიდან, რომ მხოლოდ ბრიყვი თუ დაიჯერებს იმას, რომ ლუკაშენკოს ვიზიტი საქართველოში თვითინიციატივა იყო და ბატკა მხოლოდ ტურისტად ჩამოფრინდა!

უკრაინაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, გლობალური პოლიტიკის კონტექსტში თუ განვიხილავთ ლუკაშენკოს ვიზიტს და იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ბელარუსი ევრაზიული კავშირის რიგითი წევრი არ არის, ცხადია, რომ **ლუკაშენკოს ვიზიტი არ იყო შემთხვევითი და მას რაღაც მნიშვნელოვანი გზავნილი უნდა ჩამოეტანა და წაეღო კიდეც!**

საინტერესო და სიმბოლურია ის, რომ ლუკაშენკოს ვიზიტის პარალელურად, ვლადიმერ პუტინიც აქვე, ყურისძირში, ჩვენს მოძმე და ევრაზიული კავშირის წევრ სომხეთში იმყოფებოდა, სომხების გენოციდის 100 წლისთავის ღონისძიებაზე!

ეს ფაქტი, სიმბოლურობასთან ერთად, ისტორიულ პარალელებს მახსენებს:

**2005 წლის 9 მაისს, როდესაც თბილისი პრეზიდენტ ბუშს ფეხქვეშ გაეგო, ვლადიმერ პუტინი სწორედ ერევანში და, უფრო მეტიც — გიუმრიში არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე აღმოჩნდა „შემთხვევით“, რაც სერიოზულმა ანალიტიკოსებმა, დამთხვევად კი არა, რუსეთის პირდაპირ გზავნილად აღიქვეს, რომ ისინი ამერიკელებისთვის სამხრეთ კავკასიის და კონკრეტულად საქართველოს დათმობას არ აპირებდნენ და აკი არც დაუთმეს 2008 წლის აგვისტოში.**

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მჯერა, რომ ყველა გზავნილის რეზიუმე, „კოტ ლეოპოლდის“ ენით თუ ვიტყვით, **იქნება:**

**„Ребята, довайте жыть дружно!“, ხოლო ქართულად „ნათარგმანები“** ბოლო გაფრთხილებაა საქართველოსთვის, რადგან უკრაინაში, სადაც, „დემოკრატიული დასავლეთის“ ჭინთვების მიუხედავად, არათუ რამე დააკლეს რუსეთს, არამედ პირიქით — ყირიმი შეჰმატეს და **უკრაინაში სიტუაციის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტა, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა. მერე კი, თუ გონს არ მოვეგებით, საქართველოს ჯერიც დადგება!**

ამის პასუხად კი, როგორც ჩანს, რეალურ პოლიტიკას აცდენილი ჩვენი იდიოტი პოლიტისტებლიშმენტისთვის ჩვეული გზავნილი გავატანეთ ლუკაშენკოს — **„ჯერ აფხაზეთი და ცხინვალი დაგვიბრუნეთ!“.**

ყირიმი ვახსენეთ და აი, მივადექით კიდევ ერთ თემას: ნინო ბურჯანაძეს სადღაც უთქვამს, ყირიმი რუსეთის შემადგენელი ნაწილია დღესო!

ამისთვის „ნაცებ-ქოცების“ ლიბერასტულმა ნაწილმა და, აგრეთვე, ე.წ. არასამთავრობოებმა — „ნაცების“ სატელიტებმა, ლამის ცოცხლად დამარხეს...

**არა, ქალბატონო ნინო!**

ყირიმი არათუ დღეს არის რუსეთის შემადგენელი ნაწილი, არამედ, თუ არ ჩავთვლით გასული საუკუნის 50-ან წლებში ტუტუცი ნიკიტა ხრუშჩოვის ავანტიურას, როდესაც საბჭოთა რუსეთის ყირიმი დიდსულოვნად აჩუქა ასევე საბჭოთა უკრაინას, ყირიმის ნახევარკუნძული, ეკატერინე დიდიდან მოყოლებული, ყოველთვის რუსეთის შემადგენელი ნაწილი იყო!

**ყირიმიდანვე, სევასტოპოლიდან იწყება რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო დიდება: მხოლოდ 1855 წელს, საფრანგეთ-ბრიტანეთის ერთობლივი სამხედრო აგრესიისას, სევასტოპოლის დაცვას 200 ათასი (!) რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა!**

ყირიმივე იქცა რუსეთის კიდევ ერთ კულტურულ ცენტრად! ასე რომ, შარშან ვლადიმერ პუტინის ძალისხმევის შედეგად, რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის დაბრუნებით ისტორიული სამართლიანობა აღდგა!

**თუ ჩვენ ისტორიული მოტივით სოხუმ-ცხინვალის დაბრუნებას ვითხოვთ რუსეთისაგან, კიევში ბოევიკებს კი არ უნდა ვგზავნიდეთ, არამედ რუსეთის მიერ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას პატივი უნდა ვცეთ და ვაღიაროთ!**

ვერც იმაში დავეთანხმები ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომ ყირიმის უკრაინაში დაბრუნებას მხოლოდ გრძელვადიან რეალურ პოლიტიკაში აქვს პერსპექტივა, რადგან, პოლიტიკა გრძელი იქნება თუ მოკლე, ყირიმი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაბრუნდება კიევის იურისდიქციაში:

**თუ თანამედროვე რუსეთში დიდი ოქტომბრის რევოლუციის მსგავსი ე.წ. ფერადი რევოლუციის შედეგად რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ნიკიტა ხრუშჩოვის კლონი გახდება.**

ეს კი, თუ ცნობილ ქართულ მძაფრ გამოთქმას გამოვიყენებთ, მაშინ მოხდება, როცა ვირი ხეზე ავა!

**დავით მხეიძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უკვე ყველასათვის ნათელია, — რატომ, ვისი დაკვეთითა და, ალბათ, დაფინანსებითაც გადაურბინა ამას წინათ საქართველოს უაღრესად ტუტუცური აქციების ტალღამ მთავარი ლოზუნგით „მეტი ქალი — პარლამენტში!“; თუმცა მაინც საინტერესოა, საიდან აკეთებენ ეს კრებითი „ნორლანდები“ დასკვნებს, რომ „ბევრი ქართველი ქალი მსხვერპლად სწირავს საკუთარ კარიერას ოჯახის გამო...“**

# მოვითხოვთ ქალს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად საქართველოში!

ფემინიზმის, უფრო ზუსტად კი, ამ მოვლენის თუ მოძრაობის ჩვენთვის დამახინჯებული ფორმით მოწოდების შესახებ კიდევ ერთხელ დაწერის სურვილი ნამდვილად აღარ მქონდა, რომ არა... ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში! დიახ, დიახ, დღევანდელი ჩემი „მუზა“ სწორედ რიჩარდ ნორლანდია; დავაზუსტებ — პატივცემული ელჩის მიერ ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში დაბეჭდილი სტატია, რომელშიც იგი პირველივე ფრაზით, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ ქალებს მიმართავს!



**„მე ამ სტატიას ყველა იმ ქართველ ქალს ვუძღვნი, რომლებიც წარმატებული არიან სამსახურსა და სახლში, ასევე იმათ, ვინც ამის მიღწევას ცდილობენ“,** — ამ ფრაზით იწყებს ბატონი ნორლანდი (ბრჭყალებში მოტანილია ციტატა და, შესაბამისად, სტილიც დაცულია. იქ დაშვებული გრამატიკული შეცდომა, ბატონი ელჩის მიერ ქართულის გაუმართავად ფლობას დაბრალდება თუ მისი პუბლიკაციის დამბეჭდავი მედიასაშუალების მესვეურთა ქართული გრამატიკის არასრულყოფილად ცოდნას, მკითხველმა გადაწყვიტოს). შემდეგ დაწვრილებით გვაცნობს მის მიერ გაკაფულ ბილიკებს იმ ჩვენთვის ჯერაც „გაუკვალავ და უღრან“ ტყეში, რომელსაც ცოლ-ქმარს შორის ჯანსაღი ურთიერთობა ჰქვია.

**ბატონი ნორლანდი ფრიად შთამბეჭდავად მოგვითხრობს, როგორ აიღო მან აშშ-ის საგარეო სამსახურში შვიდთვიანი შვებულება ანაზღაურების გარეშე, რათა მის ცოლს იურისტის კარიერის გაკეთებაში ხელი არ შეშლოდა.** ამას მოსდევს, ასე ვთქვათ, „იდეალური ქმრისა და მამის“ როლში საკუთარი თავის წარმოსაჩენად მოყოლილი ათასგვარი ტყუილ-მართალი და ყოველივე ეს მხოლოდ ბატონი ელჩის მიმართ სიმპათიის გამოწვევას რომ ისახავდეს მიზნად, კიდევ არაფერს ვიტყოდით...

ბოლოს და ბოლოს, თავისი საქმისა ყველამ თვითონ იცის — კაცმაც და ქალმაც. თუ სურს, შვიდთვიან შვებულებას აიღებს ცოლის ხათრით და თუ სურს, საერთოდაც წამოწვება შინ, ტახტზე იგორავებს და თავს ცოლს არჩენინებს მთელი ცხოვრება. ვისი რა საქმეა?!

მაგრამ, რა ვუყოთ ბატონი ელჩის ისეთ ციტატებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბრალდებების წაყენებას საქართველოს, როგორც „ქალთა მჩაგვრელი“ ქვეყნის, მიმართ?

აი, მაგალითად:

**„საქართველოში ქალებს ხშირად სოციალური ნორმები ზღუდავს, რომელთა გამოც კარიერულ წინსვლას ოჯახური მოვალეობების შესრულებას ამჯობინებენ“.**

ან კიდევ:

**„საქართველოს სამთავრობო უწყებებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლებს შორის ყოველდღიურად ბევრ ნიჭიერ და ჭკვიან ქალს ვხვდები. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე შეუსაბამოდ მცირე რაოდენობის ქალი მუშაობს“.**

ამ ყველაფერს მოსდევს პროცენტებში მოყვანილი მაგალითები, თუ როგორ იჩაგრება ქალი საქართველოში, რა დასანანია, რომ საქართველოში **„ქალებს ოჯახისთვის მსხვერპლად შეწირვა უწევთ“** და სხვ.

მოკლედ, ეს **„საქართველოში,“ „საქართველოში,“ „საქართველოში,“ „საქართველოში“** იმდენჯერ არის ხაზგასმული, რომ, ვიდრე სტატიის შუამდე მიაღწევდეს, ნებისმიერი მკითხველი ქართველი ქალი საკმაოდ დაიბოღმება თავის „ჩაგრულ“ მდგომარეობაზე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ქალებთან შედარებით და ოთახში შემოსულ ქმარს, რომელსაც ამ დროს სულაც არ აქვს მის მიმართ „მჩაგვრელური“ ზრახვები, შეიძლება, ეს გაზეთი სახეშიც კი სთხლიშოს!

პუბლიკაციის შუაწელში კი აი, რა ხდება:

**„აქვთ თუ არა თანაბარი შესაძლებლობები ქართველ ქალებს? საქართველოში ამ კუთხით ჩატარებული კვლევების შედეგები მსოფლიოს ბევრ სხვა სახელმწიფოში მიღებული შედეგების მსგავსია, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით“.**

აი, თურმე რა ყოფილა!

ბატონ ელჩს, ასე თუ ისე, მაინც ეშინია, ემანდ, არავინ გამომიჭიროს აშკარა ტყუილშიო და, როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ჩატარებულ კვლევებსა და სტატისტიკაზე საუბრობს, ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ქალების ასეთი „განუკითხავი ჩაგვრა“ სულაც არ ყოფილა „წმინდა ქართული ფენომენი“ — მის მშობლიურ და მსოფლიოში ყველაზე „თავისუფალ“ ქვეყნად აღიარებულ ამერიკაშიც კი ეს **„პრობლემა“** თითქმის ზუსტად იმავე დონით მდგარა, რა დონითაც — „ჩამორჩენილ“ საქართველოში!

**რატომ არავის მოსდის აზრად, რომ ბატონი ელჩის მიერ ხსენებულ გამოკითხვებში ასეთი ჩვენებების მიმცემი ქალბატონების რეალური ინტელექტის დონე, მათი უნარ-ჩვევები და სხვა პიროვნული მახასიათებლები შეამოწმოს და მხოლოდ შემდეგ დაასკვნას, მათი ეს მოდური წუწუნი რეალობასთან ახლოს დგას თუ არა?**

მაშ, რა საჭიროა, ვიდრე პუბლიკაციის შუაწელამდე ჩავიდოდეს მკითხველი, მისი ასე გალიზიანება და ასე და ამდენგზის ხაზგასმა სიტყვისა „საქართველოში“?

ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ **უკვე ყველასათვის ნათელია, — რატომ, ვისი დაკვეთითა და, ალბათ, დაფინანსებითაც გადაურბინა ამას წინათ საქართველოს უაღრესად ტუტუცური აქციების ტალღამ მთავარი ლოზუნგით „მეტი ქალი პარლამენტში!“**

**თუმცა მაინც საინტერესოა, საიდან აკეთებენ ეს კრებითი „ნორლანდები“ დასკვნას, რომ „ბევრი ქართველი ქალი მსხვეპრალდ სწირავს საკუთარ კარიერას ოჯახის გამო...“**

თურმე, ნუ იტყვით და, ბატონ ელჩს ასეთი დასკვნები თვითონ ქალების გამოკითხვის საფუძველზე გაუკეთებია!

წელან ქალების ჩაგვრაზე საუბრისას სიტყვა „პრობლემა“ ბრჭყალებში ჩავსვი და, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ყოფილა შემთხვევითი.

**არის თუ არა რეალურად „პრობლემა“ ის, რომ თურმე ქალების დიდი ნაწილი „მსხვერპლად“ წირავს თავს ოჯახს და ამიტომ ვერ აღწევს წარმატებას კარიერაში?**

აბა, ჰკითხეთ იმ მამაკაცებს, რომლებსაც ცხოვრებაში რაღაცის მიღწევა სურდათ და ვერ მიაღწიეს, რისი და ვისი ბრალია ეს? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მათი მხოლოდ 10-15 პროცენტი თუ დაადანაშაულებს საკუთარ თავს და მიაწერს წარუმატებლობას არასაკმარის გონებრივ განვითარებს, არაშესაბამის უნარებს, ხასიათსა და სხვა მსგავს ფაქტორებს. არა! მათი აბსოლუტური უმრავლესობა დაასახელებს რაიმე, თუნდაც ყველაზე წარმოუდგენელ გარეშე „ხელისშემშლელ“ ფაქტორს, იმ რაიმე მიზნის მიუღწევლობა საკუთარ თავს რომ არ დააბრალოს!

ეს ზოგადი ადამიანური თვისებაა!

**ჰოდა, აბა, გამოიცანით, კარიერაში წარუმატებელი ქალებისთვის ყველაზე იოლი „ხელშესახოცი“ მიზეზი თავისი „წარუმატებლობისთვის“ რა არის? რა თქმა უნდა, „გათხოვება“!**

**„მე მსხვერპლად შევეწირე ოჯახს, თორემ ამას მივაღწევდი, იმას ვიზამდი და ამას გავაკეთებდი“ — ეს რეალობაა თუ ასეთი ქალების ყველაზე საყვარელი პოზა?**

**აი ამ კითხვის დაუსმელად, ასე უაპელაციოდ ცდილობს ბატონი ელჩი, კარიერაუწყობელი ქალების აბსოლუტურად სუბიექტური ჩვენება ობიექტურ რეალობად წარმოაჩინოს.**

## საიდან აკეთებენ ეს კრებითი «ნორლანდები» დასკვნას, რომ «ბევრი ქართველი ქალი მსხვეპრალდ სწირავს საკუთარ კარიერას ოჯახის გამო...»

სინამდვილეში, შემიძლია, პირდაპირ გითხრათ — ჩემი ნაცნობი 100 ქალიდან, რომლებიც მსგავს „არგუმენტს“ იშველიებენ თავიანთი კარიერული წარუმატებლობის ასახსნელად, სულ ცოტა, 80-ს არანაირად არ აქვს ინტელექტუალური რესურსი და სხვა უნარები იმისათვის, რომ კარიერაში რაიმე ტიპის წინსვლა ჰქონოდა.

**რატომ არავის მოსდის აზრად, რომ ბატონი ელჩის მიერ ხსენებულ გამოკითხვებში ასეთი ჩვენებების მიმცემი ქალბატონების რეალური ინტელექტის დონე, მათი უნარ-ჩვევები და სხვა პიროვნული მახასიათებლები შეამოწმოს და მხოლოდ შემდეგ დაასკვნას, მათი ეს მოდური წუწუნი რეალობასთანა ახლოს დგას თუ არა?**

მეტიც, **ბევრი ქალი, რომელსაც მსგავს საუბარში შეჰყვები, საბოლოოდ მიდის იქამდე, რომ მას არათუ შინაგანი რესურსი, არამედ სურვილიც კი არ ჰქონია, კარიერა აეწყო და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულიყო! თქმა იმისა, რომ ის „მსხვერპლი“ კი არ არის, არამედ ქალების უმრავლესობის ბუნებაა ასეთი, რომ მათ ყოველგვარ კარიერას შვილებთან კონტაქტი და შინ ტრიალი ურჩევნიათ, რატომღაც „დამამცირებლად“ ითვლება და ისინი ასეთი „მოდის“ გამო ამბობენ ფრაზას: „კარიერის აწყობა მინდოდა, მაგრამ ოჯახს მსხვერპლად შევეწირე“.**

მათ ჰგონიათ, რომ, თუკი სიმართლე თქვეს და აღიარეს, რომ არანაირი კარიერა არ სურდათ და ერჩივნათ, მშვიდად გაძღოლოდნენ საოჯახო საქმეებს, მათ სხვა „პრადვინუტი“ ქალები და კიდევ ვინმე „ნორლანდები“ უწოდებენ „ჩამორჩენილებს“, „ბნელებს“, „სულელებს“ და ასე შემდეგ. ამიტომ ამბობენ ელემენტარულ მოდურ ტყუილს და მეტს არაფერს!

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მგონი, უკვე ყველასათვის გასაგებია, რასაც ემსახურება ბატონი ელჩის ასეთი გამოხდომა ქართული პრესის ფურცლებზე. თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ ყველაზე სხარტად, სარკასტულად და დამსახურებულად გამოეხმაურა ბატონ ელჩს ერთი ქართველი ინტერნეტმომხმარებელი „დილმელის“ ფსევდონიმით, რომლის კომენტარს, ბატონი ნორლანდის სტატიაზე უცვლელად გთავზობთ:

**„ეს კომენტარი ეძღვნება ამრიკელ ქალებს! დროა, დასრულდეს უსამართლობა და ამერიკის ელჩებად სხვადასხვა ქვეყანაში დაინიშნონ ქალები! დროა, ამერიკელებმა შეიგნონ, რომ აუცილებელია ქალი პრეზიდენტი! სირცხვილია ბოლოს და ბოლოს, ბატონო ნორლანდ! ამხელა დემოკრატიული ქვეყანა ხართ, მთელი მსოფლიო თქვენ შემოგყურებთ და ქალი პრეზიდენტი ჯერ არ გყოლიათ! ამ დროს აგერ, ჩამორჩენილ აზიურ პაკისტანს წლების განმავლობაში მართავდა ბენაზირ ბჰუტო! რა დააშავა ამერიკელმა ქალმა? მარტო სრიპტიზბარებში ჯოხზე ტიტველა ტრიალი** ►

**ღარიბაშვილის მხრიდან შვეიცარიის ელჩთან აგულაშვილის წარგზავნა იმას ნიშნავდა, რომ მთავრობის მეთაური დასავლელ ემისარს ყველა დირექტივის ზედმიწევნით განხორციელებას ჰპირდება. სინამდვილეში უცხოელ ინვესტორებს არანაირი უკანონო გადასახადების გადახდა არ უწევთ და, რაც უწევთ, სწორედაც კანონიერია. თვითონ ბეხლერის სამშობლო შვეიცარიაშიც ანალოგიური შეზღუდვები აქვს გარედან შემოსულ ინვესტიციებს და ბატონმა ელჩმა ძალიან კარგად იცის, რომ ყველა ნორმალურ, სუვერენულ სახელმწიფოში მსგავსი რეგულაციები ჩვეულებრივი ამბავია.**

**რეპლიკა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ხომ არ არის ამერიკელი ქალის საქმე, ბატონო რიჩარდ?“**

მგონი, სავსებით გასაგები ირონიაა და, როდესაც ეს კომენტარი ჩემს „ფეისბუქკედელზე“ გავაზიარე, ერთმა მეგობარმა „აზიელი დაჩაგრული ქალების“ ისეთი სია გადმომიგზავნა, ველარაფერს დავამატებ. აი, **ბატონი ნორლანდის ადგილას რომ ვიყო, ამის წაკითხვის შემდეგ ნებაყოფლობით გავიკეთებდი ენის ამპუტაციას:**

**„ნიტოკრისი, ნეფრუსებეკი, იახოტეპი** — ეგვიპტის ქალი-ფარაონები; **კლეოპატრა** — ელინისტური ეგვიპტის დედოფალი; **შამმურამატი (სემირამიდა)** — ასირიისა და ბაბილონის დედოფალი; **დიდონა** — კართაგენის დამაარსებელი; **ნისა** — კაპადოკიის დედოფალი; **გოფოლია** და **სალომეა ალექსანდრა** — იუდეის სამეფოს დედოფლები; **თამარი** და **რუსუდანი** — საქართველოს დედოფლები; **ქუ-ბაბა** — შუმის სამეფოს (მესოპოტამიის (ერაყის) ტერიტორიაზე) დედოფალი; **ლაოდიკა** — პონტოს სამეფოს დედოფალი; **თეოდორა** — ბიზანტიის დედოფალი; **დოუ მიაო, ვან ჩენ ძიუინი, ვან იუანძი, ლიუი ჰოუ, ვანჯუნი, ლიუნიუი, ცი სი და ჰუ** — ჩინეთის იმპერატრიცები; **გოსაკურამატი, ძიტო, გემეი, კოკენი, მეისიო, სუიკო, მიტიკო** — იაპონიის იმპერატრიცები; **აზერმედოხტი** და **ბორანდოხტი** — სპარსეთის დედოფლები; **სიუიუმბიკე** — ყაზანის სახანოს დედოფალი; **ზინგა ნგოლა** — ანგოლის დედოფალი; **სუნ ცინლინი** — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე; **თანსუ ჩილერი** — თურქეთის პრემიერმინისტრი; **ინდირა განდი** — ინდოეთის პრემიერმინისტრი; **სირიმავო ბანდანარაიკე** — შრი ლანკის პრემიერმინისტრი; **ბენაზირ ბჰუტო** — პაკისტანის პრემიერმინისტრი; **მეგავატი სუკარნოპუტრი** — ინდონეზიის პრეზიდენტი; **ჩან სანი** — სამხრეთ კორეის პრემიერმინისტრი; **ლუიზა დმოგუ** — მოზამბიკის პრემიერმინისტრი; **კორასონ აკინო** — ფილიპინების პრეზიდენტი; **ხალედა ზია** — ბანგლადეშის პრემიერმინისტრი; **პრატიბჰა პატილი** — ინდოეთის პრეზიდენტი; **როზა ოტუნბაევა** — ყირგიზეთის პრეზიდენტი“.

მოდი და, ამ სიის შემდეგ თქვი, — აზიელ (მათ შორის, ქართველ) ქალებს ვინმე რამეს უკრძალავს, ხელს უშლის და „მსხვერპლად“ შეწირვას სთხოვს, როდესაც მათ, მართლა სურთ კარიერაში წინსვლა ან რამეს მიღწევა!

მოკლედ, გამგები ყველაფერს გაიგებს...

თუმცა ერთი რამ მაინც ვერ გავიგე — **სად არის და რას საქმიანობს ამასობაში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო უწყების წარმატებული მოხელის, საქართველოში აშშ-ის ელჩის ცოლი, რომლის კარიერული წინსვლის გამო მისმა „ძალიან პრადვინუტმა“ ქმარმა თურმე თავის დროზე კარიერა „გაწირა“ და შვიდთვიანი უფასო შვებულება აიღო?**

**P.S. ეს „ჩაგრული და სამზარეულოში გამომწყვდეული“ ქართველი ქალები, ორიოდე დღის წინათ, მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ჭადრაკში.**

# რატომ ვერ ბედავს ხელისუფლება შვეიცარიის ელჩისთვის საკადრისი პასუხის გაცემას?

**შვეიცარიის ელჩმა საქართველოში გიუნტერ ბეხლერმა გამოცემა „ფაინენშელთან“ ინტერვიუში სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ქართულ სამართალწარმოებაში კორუფციული გარიგებები ხდება და უცხოელ ინვესტორებს უსამართლო გადასახადები უწესდებათ: „უცხოელი ინვესტორები ჩივიან, რომ მათ აიძულებენ, გადაიხადონ გადასახადები ან ჯარიმები, რომლებიც გაუმართლებელია ან დაკავშირებულია წინა ხელისუფლების გაურკვეველ საგადასახადო დავებთან... უცხოელი ინვესტორები ჩივიან, რომ სასამართლოში საქმეს აგებენ ძალიან უცნაური გარემოებებით“.**





გიუნტერ ბეხლერი

იმავე ინტერვიუში დიპლომატმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, შეისწავლოს და სწრაფი რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ფაქტებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული გარემოება ხელს შეუშლის ხელისუფლების მცდელობას, მიიწვიოს მეტი ინვესტორი და მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია.

**...მიმდინარე პოლიტიკური ბაკქანალიისა და „ნაცების“ მხრიდან გამუდმებული კიჟინის ფონზე, რომ ხელისუფლება უნიათოა, შვეიცარიის ელჩის ეს განცხადება „ქოცებისთვის“ ნამდვილი ელდა აღმოჩნდა. მთავრობა უმალ დაფაცურდა — მმართველ გუნდში ატყდა ქოთქოთი და ალიაქოთი, არიქა, ევროკავშირმა შარი არ მოგვდოსო.** მთავრობის სხდომაზე პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა და საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილს საგულდაგულოდ დაავალა, იმავე დღეს შეხვედროდა ბატონ ბეხლერს. მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ჩართვისკენ შს მინისტრ ვახტანგ გომელაურსაც მოუწოდა და თავადაც გამოთქვა ელჩთან შეხვედრის სურვილი: „ბოლო ორი წლის განმავლობაში მოვიპოვეთ აღიარება, რომ ვართ ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე და ნაკლებად კორუმპირებული მთავრობა, ზოგადად, ხელისუფლება, ქვეყანა. ასე რომ, ჩემთვის თითოეული კითხვის ნიშანი არის მნიშვნელოვანი...“

პრემიერის ამ განცხადების შემდეგ უკმაყოფილო ელჩს არა მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი, არამედ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინათინ ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი ეახლნენ. **უცნობია, კონკრეტულად რა საკითხზე ისაუბრეს და რაზე გაამახვილეს ყურადღება „ქოცებმა“ ამ შეხვედრაზე, მაგრამ შეხვედრიდან გამოსული შვეიცარიის ელჩი აშკარად მოჯადოებული ჩანდა. მოკლედ, რესპების მიგზავნით ხელისუფლებამ იმის დემონსტრირება სცადა, რომ მისი პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად „ლიბერალურია“, „მეოცნებეების“ კურსი — პროდასავლური და მზად არიან, მათი ნებისმიერი დირექტივა უსიტყვოდ შეასრულონ.**

რაც შეეხება ბეხლერის ბრალდებებს, უკმაყოფილო და „უსამართლო“ გადასახადებით დატანჯულ ინვესტორებში მან ის ფულიანი უცხოელები იგულისხმა, რომლებსაც თავის დროზე სასოფლო-სამეურნეო მიწის შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა დისკომფორტი შეუქმნათ. მოგეხსენებათ, **ეს ცვლილება უცხოელებისთვის ნაკვეთების მიყიდვაზე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა, რომლებიც ქართულ მიწას მეტ-ნაკლებად იცავდა გადამთიელთა ეკონომიკური ექსპანსიისგან. ალბათ, ისიც გახსოვთ, რა ამბავი ატეხეს მაშინ ამაზე რესპუბლიკელებმა, კერძოდ, ვახტანგ ხმალაძემ და გიგლა აგულაშვილმა. სწორედ აგულაშვილი იყო იმ დრაკონული კანონპროექტის ავტორი, რომელიც ზემოაღნიშნული ცვლილებების გაუქმებას და უცხოელი ინვესტორებისთვის შეზღუდვების მოხსნასა ითვალისწინებდა.** აი, სად მარხია ძაღლის თავი — **ღარიბაშვილის მხრიდან შვეიცარიის ელჩთან აგულაშვილის წარგზავნა იმას ნიშნავდა, რომ მთავრობის მეთაური დასავლელ ემისარს ყველა დირექტივის ზედმიწევნით განხორციელებას ჰპირდება.** სინამდვილეში უცხოელ ინვესტორებს არანაირი უკანონო გადასახადების გადახდა არ უწევთ და, რაც უწევთ, სწორედაც კანონიერია. **თვითონ ბეხლერის სამშობლო შვეიცარიაშიც ანალოგიური შეზღუდვები აქვს გარედან შემოსულ ინვესტიციებს და ბატონმა ელჩმა ძალიან კარგად იცის, რომ ყველა ნორმალურ, სუვერენულ სახელმწიფოში მსგავსი რეგულაციები ჩვეულებრივი ამბავია.** თუმცა ეს არ არის მთავარი, უბედურება არის ის, რომ ამ ხელისუფლებას ტვინი არ აქვს და ხან ნორლანდის ჭკუით დადის, ხანაც ვილაც ბეხლერის. თანაც ნახეთ, როგორ რეაგირებენ მის განცხადებაზე, — კაცს სულის მოთქმა არ აცალეს, შეხვედრებს შეხვედრებზე უწყობენ. აბა, წარმოიდგინეთ, **რამდენი ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რომ ღარიბაშვილი ანალოგიურად დაფაცურდეს? ათი და ოცი ათასი საკმარისი რომ არ არის, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამართული აქციების მაგალითზე ვნახეთ. მაშ, რა გამოდის, მისთვის ათიათასობით ქართველის მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი ერთი უცხოელი დიპლომატის დირექტივაა?!** როგორც ჩანს, ასეა — ხელისუფლებას არ აინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი „ნაცკრიმინალების“ დაუსჯელობაზე, გახმაურებული საქმეების გამოუძიებლობაზე, წართმეული ქონების დაუბრუნებლობასა და, საზოგადოდ, დაპირებების შეუსრულებლობაზე. სამაგიეროდ, საკმარისია, ვილაც ბახალა ბეხლერმა სადმე ინტერვიუში ორი სიტყვით გააკრიტიკოს „ქოცები“, მეორე დღესვე მის ოფისთან მთავრობის წარმომადგენელთა რიგი დგება...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, **ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ მართლა უნიათოებისა და უგერგილოების ჯოგია. მათ ისიც არ შეუძლიათ, რომ გამოვიდნენ და საკადრისი პასუხი გასცენ ინტრიგან დიპლომატს. არადა, მართლა რა მწარე პასუხი შეიძლება, გაეცეს ამ კაცს; თუნდაც იმის შეხსენება რად ღირს, ცხრა წლის განმავლობაში „ნაცრეჟიმი“ ტყავს რომ აძრობდა ბიზნესმენებს, ელჩებს კი პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. მკვლელობები, წამებები... ეს ყველაფერი ხომ სწორედ მაშინ ხდებოდა, დასავლეთმა დემოკრატიის შუქურა რომ უწოდა სააკაშვილს?! სად ბრძანდებოდა იმ პერიოდში ბატონი ბეხლერი ან მისი წინამორბედი, რატომ მაშინ არ საუბრობდნენ უსამართლობაზე?!**

ცხადია, ბეხლერისთვის ამის შემხსენებელი არავინაა — არც პრემიერი, არც პარლამენტის თავმჯდომარე და, მით უფრო, არც რომელიმე მინისტრი. ასეთი პასუხის გაცემას ერთი ადგილი სჭირდება...

რაც შეეხება პრეზიდენტს, მისთვის უმაღლესი მთავარსარდლის სკიპტრა მხოლოდ და მხოლოდ გასართობია. სავარძელი, კაბინეტი, რეზიდენცია... ეტყობა, მას ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია, ეს ყველაფერი რას ნიშნავს. ასე რომ არ იყოს, გამოვიდოდა და კომენტარს გააკეთებდა, განცხადებას მაინც გამოაქვეყნებდა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და ხალხს აუხსნიდა, რასთან გვაქვს საქმე, მართლა კორუფციაში ვართ ჩაძირული თუ ცრუ ბრალდებები მოვისმინეთ. ყოველ შემთხვევაში, ასე უფრო დაამტკიცებდა და გაუსვამდა ხაზს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ვიდრე ოლიგარქთან კინკლაობით. ნათქვამია, საქმემან შენმა გამოგაჩინოსო! საქმით კი ეს კაცი ჯერჯერობით მათრახს ნამდვილად იმსახურებს...

**ჯაბა ჟვანია**

**კოალიცია «ქართული ოცნება» მართლა უნიათოებისა და უგერგილოების ჯოგია. მათ ისიც არ შეუძლიათ, რომ გამოვიდნენ და საკადრისი პასუხი გასცენ ინტრიგან დიპლომატს. არადა, მართლა რა მწარე პასუხი შეიძლება გაეცეს ამ კაცს; თუნდაც იმის შეხსენება რად ღირს, ცხრა წლის განმავლობაში «ნაცრეჟიმი» ტყავს რომ აძრობდა ბიზნესმენებს, ელჩებს კი პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. მკვლელობები, წამებები... ეს ყველაფერი ხომ სწორედ მაშინ ხდებოდა, დასავლეთმა დემოკრატიის შუქურა რომ უწოდა სააკაშვილს?! სად ბრძანდებოდა იმ პერიოდში ბატონი ბეხლერი ან მისი წინამორბედი, რატომ მაშინ არ საუბრობდნენ უსამართლობაზე?!**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღევანდელ ტელევიზიებში ათასი სულელური გადაცემა გადის, „რუთავი 2“-ზე — „გააცინე და მოიგე“, „იმედზე“ — ჯაჯანიძის გადაცემა „გარყვენი და ძალიან მოგებული დარჩები“, პლუს პოლიტიკური თოქშოუები; შემეცნებითი გადაცემები საერთოდ არ არის. აი, რას უყურებს და რაზე იზრდება ჩვენი მომავალი თაობა“.**



მამა ელიზბარი (დიაკონიძე):

# დღევანდელი სკოლა არის ბავშვის გამხრწნელი. სკოლაში არაფერს ასწავლიან!

**საქართველოს განათლების სფეროში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიოს“ მამა ელიზბარი (დიაკონიძე) დაუკავშირდა, ვინაიდან მიაჩნია, რომ მომავალი თაობა დაღუპვის გზაზე დგას, ერი და ბერი კი დუმს.**

— როგორ შეიძლება, პირველკლასელს უცხო ენა მშობლიურივით ასწავლო, ასე ხომ მისი აზროვნება ინგრევა? მეხუთე კლასიდან რომ გვასწავლიდნენ კომუნისტები უცხო ენებს, სულელები კი არ იყვნენ. რა, ვერ ისწავლა იმ თაობამ უცხო ენები? ორი-სამი უცხო ენა ყველამ ვიცით. უცხო ენის ნაადრევი სწავლებით კი ის შედეგი მივიღეთ, რომ დღეს ინგლისური ყველა ბავშვმა იცის, ქართული — ძალიან ცოტამ. როგორ შეიძლება პირველკლასელ ბავშვს კომპიუტერი დაუდგა კლასში, როცა ჯერ მისი აზროვნება ჩამოყალიბებული არ არის და აუცილებლად გაექცევა თვალი კომპიუტერული თამაშებისკენ?! ამიტომაც დაკარგეს ახლანდელმა ბავშვებმა სიხალისე, იუმორი, სპორტული ჟინი, მთლიანად კომპიუტერულ თამაშებზე არიან გადართულნი, ლოგიკური აზროვნების უნარი არ აქვთ. **დღეს ვერც დეკლამაციის უნარით, ზეპირსიტყვიერებით მოგაწონებთ ბავშვი თავს. წიგნებს არ კითხულობენ. მშობლებსაც იმდენი ეკონომიური პრობლემები აქვთ, ბავშვისთვის აღარ სცალიათ. მოძღვარიც კი ტაძარში ზის და ელოდება, როდის მიხვალ, რომ ორი კაპიკი წაიღოს შინ.**

დღევანდელ საზოგადოებაზე უკვე ველარ იტყვი, ნიჰილიზმითაა დაავადებულიო, საზოგადოება უკვე იხრწნება. სწორედ ეს უნდათ — რაც უფრო გახრწნილია თაობა, უფრო ადვილად სამართავია.

მოძღვარი დღეს გამოდევნილია სკოლიდან. კახა ლომაიამ თავი გაიგიჟა, — რა უნდა მოძღვარს სკოლაშიო. არადა, თუ სასულიერო პირებს შორის ისეთები, რომლებიც ადრე პედაგოგებად მუშაობდნენ, მათ ისევ უნდა მისცენ უფლება, სკოლაში ასწავლონ.

**— სასულიერო პირებს თავისი მოვალეობები აქვთ; მათ სცალიათ, სკოლებში პედაგოგებად იმუშაონ?**

— ამაზე უკეთესი რა უნდა გააკეთონ?! რას ვაქნევთ ტყუილად ეკლესიაში ჯდომას და ბუზების ყლაპვას!

**«გველისმჭამელის» პერსონაჟ მინდიას გავაიგივებდი ჩვენს ეკლესიასთან, რომელმაც სიბრძნე დაკარგა. «და მეც დღესხვალეობითა, ცოტ-ცოტა ნელაობითა, დავიწყე თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა». გავავლოთ პარალელი ეკლესიასთან. საკუთარ რწმენასთან ცბიერი მოპყრობით იგივე დაემართა ეკლესიასაც»**

**— რელიგიის გაკვეთილები თავის დროზე იმ მიზეზით გააუქმეს, სხვა რელიგიური მრწამსის ბავშვები თავს უხერხულად იგრძნობენო...**

— როდესაც ვასწავლიდი საშუალო სკოლაში, მახსოვს, ორი ბავშვი სწავლობდა მუსლიმანური ოჯახიდან, მათ არავინ სთხოვდათ პირჯვრის გადაწერასა და ლოცვას. მყავდა იეღოვას მოწმეებიც. მხოლოდ გაკვეთილის ცოდნას ვთხოვდი მათ, ლოცვას არავინ აძალებდა.

დღევანდელ მშობლებს ჰგონიათ, რომ, თუ შვილებს აჭმევენ და ჩააცმევენ, საკმარისია, აღზრდა თუა საჭირო, აღარ ახსოვთ. არც უმაღლეს სასწავლებლებშია უკეთესი მდგომარეობა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ზაფხულობით მივყავდით და გვამუშავებდნენ — ფიზიკურ შრომას გვაჩვევდნენ, მცირე ხელფასსაც გვიხდიდნენ. სხვათა შორის, ტექნიკურ უნივერსიტეტსაც ჰქონდა რამდენიმე წლის წინათ ეს პროგრამა, — ზაფხულობით მონასტრებში აგზავნიდნენ ბავშვებს სამუშაოდ. სხვა უნივერსიტეტებმა არც კი მიბაძეს, არ დაინტერესდნენ.

მომავალი თაობის განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისთვის. იცით, რომ ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითად, **ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში, წინასწარმეტყველურ ფრაზებს აღმოაჩენთ? მაგალითად, „გველისმჭამელის“ პერსონაჟ მინდიას ჩვენს ეკლესიასთან გავაიგივებდი, რომელმაც დაკარგა სიბრძნე.**

**„და მეც დღესხვალეობითა, ცოტ-ცოტა ნელაობითა, დავიწყე თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა“.**

**გავავლოთ პარალელი ეკლესიასთან. საკუთარ რწმენასთან ცბიერი მოპყრობით იგივე დაემართა ეკლესიასაც.**

„ამნაირ ყოფას მერჩივნა, გავთილიყავი ▶

# კახა კალაძე ელ-გე-ბე-ტეს კბილებით იცავს!

**ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ სახელწოდებით „17 მაისი“ და ამავე სახელწოდების ჟურნალმა, რომელიც ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების წარმომადგენელი ვაჭარაძისა და მისი სულიერი დებისა თუ ძმების ინკუბატორია, ცოტა ხნის წინათ კარდაკარ დაუარა ყველა მინისტრს შეკითხვით — „არის თუ არა ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა?“ მოგვიანებით მათ ანალოგიური შეკითხვა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებსაც დაუსვეს და, ფაქტობრივად, ვერც ერთმა „მეოცნებემ“, მათ შორის, ვერც მათ, ჩოხა-ახალუხით რომ ცხადდებიან ხოლმე სხდომებზე, ვერ გაბედეს, პირდაპირ ეთქვათ, დიახ, მესაჯდომეობა ავადმყოფობაცაა და უმძიმესი ცოდვაცო.**

მოკლედ, ვაჭარაძის კრიახმა მთავრობა და პარლამენტი დააფრთხო, ვაითუ „დემოკრატიულმა დასავლეთმა“ ჰომოფობიაში დაგვადანაშაულოსო და „ქოცკოლონამ“ სოდომისტებს ხოტბა შეასხა. მეტიც, ზოგიერთი მინისტრი იმის თქმასაც არ მოერიდა, რომ თურმე ქართველი საზოგადოების აზროვნება ძირფესვიანად შესაცვლელია. მაგალითად, **ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ზემოაღნიშნულ ჟურნალს („17 მაისი“) ვრცელი ინტერვიუ მისცა და პირდაპირ განაცხადა, — ერის ცნობიერებაში არის უამრავი სტერეოტიპი, რომლებიც უნდა დაიმსხვრესო.**

...ღმერთი, რჯული, ამ კაცზე ცუდის თქმა არ მინდოდა, პირიქით, თუკი მთავრობაში ვინმეს მიმართ სიმპათია შემრჩა, სწორედ ეს ადამიანი იყო, მაგრამ, რაც მან იმ ინტერვიუში ილაპარაკა, მტრისას! **ქათამ ვაჭარაძეს ხომ გული მოფხანა, სრულიად ერი ბნელ და მოძალადე მასად გამოაცხადა.** ჟურნალისტის შეკითხვას — რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად? — აი, როგორ პასუხს სცემს იგი: **„ვფიქრობ, რომ ცნობიერებაა სრულიად შესაცვლელი და არა მარტო მამაკაცებში, ზოგადად, საზოგადოებაში. ამ ძალადობის ტალღამ ისე შემძრა, რომ ყველა ინ-**



**ფორმაციას ვეცნობოდი და სამწუხარო რეალობა დავინახე — ჩვენი მოქალაქეების უმეტესობა, გენდერისა და სოციალური კუთვნილების მიუხედავად, ოჯახში ძალადობას, ბავშვზე, ქალზე, ზედაპირულად უყურებს და ეს მხოლოდ მოძალადისა და მსხვერპლის პირადი საქმე ჰგონიათ. აი, აქ უნდა გავაქტიურდეთ ყველანი — ცნობიერებაა შესაცვლელი“.**

შემდეგი შეკითხვა ე.წ. სექსუალურ უმცირესობებს შეეხებოდა. ჟურნალისტმა 2013 წლის 17 მაისი გაიხსენა და ვიცეპრემიერს გულწრფელი შეფასება სთხოვა, იყო თუ არა სასულიერო პირების ქმედება სწორი: „წარსული შეცდომები გავაცნობიერეთ და მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ ყველამ, რათა ამჯერად არ იქნას გამეორებული. რაც შეეხება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, ეს საკამათო ან სადისკუსიო თემაც კი არ უნდა იყოს. ეს არის კონსტიტუციური მოცემულობა, რომელსაც ამ ქვეყანაში ყველა უსიტყვოდ ემორჩილება, ხელისუფლებიდან დაწყებული, შეკრების მსურველი, თუნდაც რამდენიმეკაციანი ჯგუფით დამთავრებული“.

მიაქციეთ ყურადღება სიტყვებს: **„წარსული შეცდომები გავაცნობიერეთ და მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ ყველამ, რომ ამჯერად არ იქნას გამეორებული“,** ამით **ბატონი ვიცეპრემიერი გვაფრთხილებს, რომ წელს, 17 მაისს, თუ ვინმე გაბედავს, მესაჯდომეებს მსვლელობაში ხელი შეუშალოს, იმას, ოჯახის სიწმინდის კი არა, წმინდა მარტინის დღე გაუთენდება. როგორც ჩანს, ხელისუფლება ძალოვანებს სერიოზულად ამზადებს და „ისტორიული არჩევანისკენ“ კიდევ ერთ გიგანტურ ნახტომს გააკეთებთ.**

რაც შეეხება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, **ბატონო კახა, მესმის, რომ თქვენი პოლიტიკური დღეგრძელობა დიდწილადაა დამოკიდებული „ლიბერასტების“ შეშფოთების კოეფი-** ▶

**ბატონო კახა, მესმის, რომ თქვენი პოლიტიკური დღეგრძელობა დიდწილადაა დამოკიდებული «ლიბერასტების» შეშფოთების კოეფიციენტზე, მაგრამ წამით დაივიწყეთ თანამდებობა და დაფიქრდით: რომელ გამოხატვის თავისუფლებაზე საუბრობთ, როცა ორი ვაჟი გეზრდებათ?! 17 მაისს ვაჭარაძე და მისი ქათმები კურტუმოების თამაშით რომ ჩაივლიან თქვენს სახლთან და თქვენი შვილები ამას აივნიდან დაინახავენ, რას ეტყვით, ვინ არიანო — სოდომური ცოდვით შეპყრობილი ავხორცები თუ ნორმალური, ჯანმრთელი, უცოდველი ადამიანებიო?!**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**28 მილიონ ლარად გარემონტდა ათონელის ქუჩაზე პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია, ამაზეც პასუხია მოსათხოვი მთავრობისთვის. ულატაკეს ქვეყანაში ამხელა თანხა რატომ დახარჯეს? ეს შეკითხვა, მარგველაშვილი რომც გადავიდეს ათონელზე, მაინც უნდა დაისვას.**

◀ მეხითა, დაკარგულ ვეღარ მიუხვდი ვერანაირი ხერხითა“.

**საბრძოლველად გასულ ხევსურებს მინდიამ რჩევა ვეღარ მისცა, არ გაგონებთ დღევანდელ სიტუაციას, როდესაც სიბრძნე და სიწმინდე დაკარული ეკლესია ერს რჩევას ვეღარ აძლევს?**

კიდევ ერთი მაგალითი ლიტერატურიდან: ყამარს მამა ეუბნება:

„უყურეთ კახპა ქალასა, ქმარი ირჩია მამასა,

ტყვილა გაგზარდა დედამა, ტყვილა გეტყოდა ნანასა“.

ყამარის პასუხი:

**„არცრა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა, მიმაგდის სახლის ყურეში თაგვების ანაბარასა“.**

**21-ე საუკუნეშიც მივაგდეთ ჩვენი შვილები ყამარივით თაგვების, ანუ კომპიუტერული „მაუსების“ ანაბარა.**

სახელმძღვანელოებიდან ვაჟას, ილიას, აკაკის ნაწარმოებები ამოიღეს, სკოლებში ჩვენი გენიოსი მწერლებისა და პოეტების სურათები ჩამოხსნეს. ჩვენი შვილები კი დადიან სკოლებში, მაგრამ **დღევანდელი სკოლა არის ბავშვის გამხრწნელი. სკოლაში აღარაფერს ასწავლიან!**

სამაგიეროდ, თანამედროვე სტილის საკონცენტრაციო ბანაკები გვაქვს დღეს, ისეთები როგორიცაა „ფეისბუქი“, „ოდნოკლასნიკი“ და ა.შ.

**— სასულიერო პირებიც ხომ აქტიურად სარგებლობთ სოციალური ქსელებით?**

— დიახ, გონებადამჯდარი ადამიანი თავის სასიკეთოდ იყენებს ამ ყველაფერს, მაგრამ ბავშვის გონება ამას ვერ ხვდება.

**— თქვენ აკრიტიკებთ საზოგადოებას, რომელმაც უკვე შეცვალა ხელისუფლება. ახლა რას ითხოვთ საზოგადოებისგან?**

— საზოგადოებას ვთხოვ, გამოფხიზლდეს. **საუკეთესო მმართველიც რომ მოიყვანო ხელისუფლებაში, არაფერი გამოვა, თუ საზოგადოება არ გამოფხიზლდა.** საზოგადოება უფრო მომთხოვნი უნდა იყოს მის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ. მეფის მიმართ თუ ვიყავით მომთხოვნები ქართველები, „მეფე ხარ და ხამს, მეფე ხარ და გევალება“, ახლა რა დაგვემართა?!

არც ტელევიზიებშია უკეთესი მდგომარეობა. **დღევანდელ ტელევიზიებში ათასი სულელური გადაცემები გადის: „რუსთავი 2“-ზე — „გააცინე და მოიგე“, „იმედზე“— ჯაჯანიძის გადაცემა „გარყვენი და ძალიან მოგებული დარჩები“, პლუს პოლიტიკური თოქშოუები. შემეცნებითი გადაცემები საერთოდ არ არის.** აი, რას უყურებს და რაზე იზრდება ჩვენი მომავალი თაობა.

**— ამ ტელეგადაცემების ავტორები კრიტიკოსებს უპასუხებენ, რომ მათი გადაცემები რეიტინგულია და ხალხი უყურებს.**

— მათ ტვინგამორეცხილი თაობა უყურებს და არა გონებანათელი საზოგადოება, ამიტომაცაა რეიტინგული.

სამშობლოს ვკარგავთ, ღირსებას ვკარგავთ, რწმენას ვკარგავთ, ასეთ ქვეყანას კი რა მომავალი აქვს?! ერი იღუპება და ჩვენ, ერიც და ბერიც, ამას ვეგუებით და დუმილით ვხვდებით.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

◀ **ციენტზე, მაგრამ წამით დაივიწყეთ თანამდებობა და დაფიქრდით: რომელ გამოხატვის თავისუფლებაზე საუბრობთ, როცა ორი ვაჟი გეზრდებათ?! 17 მაისს ვაჭარაძე და მისი ქათმები კურტუმოების თამაშით რომ ჩაივლიან თქვენს სახლთან და თქვენი შვილები ამას აივნიდან დაინახავენ, რას ეტყვით, ვინ არიანო — სოდომური ცოდვით შეპყრობილი ავხორცები თუ ნორმალური, ჯანმრთელი, უცოდველი ადამიანებიო?!** თუკი გულის სიღრმეში მართლა ისე ფიქრობთ, როგორც მსჯელობთ, დალუპულხართ თქვენც და თქვენი ოჯახიც, ხოლო, თუ სხვაგვარად ფიქრობთ და თვალსაზრისის საჯაროდ გამოთქმას ვერ ბედავთ, უკაცრავად, მაგრამ ტიპური ლაჩარი ხართ. ნებისმიერ შემთხვევაში, **თქვენსა და მესაჯდომე ვაჭარაძეს შორის დიდი განსხვავება არ არის, ერთი იდეოლოგიის მოდგმისანი ხართ და, ჩემდა თავად, თამამად ჩაგწერდით ამ სოდომისტთა სულიერი დებისა თუ ძმების ნუსხაში.**

იმავე ინტერვიუში ჟურნალისტი ბოლოს ასეთ შეკითხვას სვამს: „თუ 2016 წლის შემდეგ პოლიტიკაში დარჩებოდით, დააყენებდით თუ არა ლგბტ უფლებების ეთნიკური, რელიგიური და სხვა სოციალური ჯგუფების პრობლემების გვერდით?“

ვიცეპრემიერი მოკლედ უპასუხებს: „ქვეყანაში როცა არის სტერეოტიპები და წლობით ნაგროვები ტაბუდადებული საკითხები თუ პრობლემები, ეს ყველაფერი ახლა, ახალ რეალობაში, ცხადია, იდეალური და უპრობლემო ვერ იქნება...“

**თურმე სტერეოტიპი ყოფილა „ბიბლია“ და, საზოგადოდ, ქრისტიანული სწავლება, რომელიც ხაზგასმით გვეუბნება, რომ სოდომია მომაკვდინებელი ცოდვაა. თურმე სტერეოტიპი ყოფილა ქართული სული, ხასიათი და მენტალობა, რომელმაც, მიუხედავად ისტორიული ძნელბედობებისა, დღემდე მოგვიყვანა.** ვიცი, „ქოცებისთვის“ ამის შეხსენება იგივეა, მგლის თავზე სახარება წაიკითხო, მაგრამ მთავარი ეს არ არის, **უბედურება ისაა, რომ ეს სულით მესაჯდომეები ხელისუფლების სათავეში სხედან და ამ, ისედაც დაღუპვის პირამდე მისულ საზოგადოებას დასავლეთიდან თავსმოხვეული სიბინძურეებით წამლავს.** პრინციპში, როგორიცაა ტყე, ისეთივეა ნადირი, — რა ძალაც ავირჩიეთ, ისე აგვისრულდა ოცნება...

ამაზეა ნათქვამი, ვაის გავეყარე, უის შევეყარეო. საუბედუროდ, ეს ვაი-ვიში კიდევ დიდხანს არ დასრულდება.

**ჯაბა ჟვანია**





# პეტრე მამრაძე: საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო, პრეზიდენტის რეზიდენცია ავტორიტარული რეჟიმის მუზეუმად გადაქცეულიყო

**რამდენიმე კვირაა, ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ გახდა მარგველაშვილ-ივანიშვილ-ღარიბაშვილის დავისა თუ დაპირისპირების მომსწრე. ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ქართველებისა და საქართველოში აკრედიტებული ელჩების ყურადღება რამდენიმეჯერ მიიპყრო: პირველად — როდესაც სააკაშვილის დანაშაულების მამხილებელი საიდუმლო მასალები არ გადასცა პროკურატურას, მეორედ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებაზე წასვლის კატეგორიული მოთხოვნით გააკვირვა ყველა და ახლა უკვე პრეზიდენტის სასახლეში „გამაგრებით“ მიიქცია საზოგადოების ყურადღება.**

**„ქვეყანაში არსებულ უამრავ პრობლემას რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფოს წინაშე ორი სერიოზული საფრთხეა, კერძოდ: თურქეთის დაუფარავი ინტერესი აჭარის მიმართ — ეს ერთი და მეორე — ჩრდილოეთიდან ოსების მიერ თრუსოს ხეობისა და სამხრეთიდან სომხების მიერ საქართველოს შუაზე გახლეჩვის მცდელობა... და ამ ყველაფრის ფონზე რაზე კამათობენ? მარგველაშვილი უნდა დარჩეს თუ არა რეზიდენციაში?“ — ასე ეხმაურება ხალხი სოციალურ ქსელებში პრეზიდენტის სასახლის გამო ივანიშვილ-მარგველაშვილის დაპირისპირებას.**

„პრეზიდენტის სასახლეში გადასვლის ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგე სწორედ მარგველაშვილი იყო. გიორგი ამბობდა, ეს არის ძალადობისა და გარყვნილების სიმბოლო და იქ როგორ უნდა შევიდეს კაციო“, — ამბობს ძალიან გაბრაზებული ყოფილი პრემიერი, ახლა უკვე მოქალაქე ივანიშვილი და კატეგორიულად მოითხოვს სასახლიდან პრეზიდენტის გამოსვლას.

ის, ასევე, იხსენებს სააკაშვილთან ბოლო შეხვედრის დეტალებს: „ბოლო შეხვედრაზე მიშა სააკაშვილს ჰქონდა სურვილი, რომ იქ დარჩენილიყო მთავრობა ან პრეზიდენტი. სააკაშვილის ოცნება იყო, ეს შენობა აუთვისებელი არ ყოფილიყო“.

**როგორც ივანიშვილის კომენტარებიდან ჩანს, მარგველაშვილი სააკაშვილის „ოცნებებს“ ასრულებს.**

„მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომელიც იყო უწიგნარი და ითვალისწინებდა იმას, რომ სააკაშვილის რეზიდენციიდან პრეზიდენტი უნდა გამოსულიყო და ათონელზე გადასულიყო. მიჩნდება ეჭვი, რომ პრეზიდენტმა 9-წლიან პროცესებზე მოსაზრება შეიცვალა,“ — განაცხადა „ოცნების“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ.

კობახიძის ამ განცხადების შემდეგ პასუხი არ დააყოვნა პრეზიდენტის მრჩეველმა, საიას ყოფილმა ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ: „შენობა არის სახელმწიფო საკუთრება, პრეზიდენტი კი სახელმწიფოს მეთაურია. ამ მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, ჩემთვის მართლა გასაოცარი იქნება, რომელიმე სხვა უწყებამ, სტრუქტურამ დაგეგმოს პრეზიდენტის ინსტიტუტის გადატანა პრეზიდენტის ნების საწინააღმდეგოდ სხვა შენობაში“, — აღნიშნა კოჟორიძემ.

**მართებულია პრეზიდენტისა და მთავრობის დავა რეზიდენციის გამო? — ამ შეკითხვით ანალიტიკოს პეტრე მამრაძეს მივმართეთ.**

**პეტრე მამრაძე:**

— ეს დავა არის მტკიცებულება იმისა, რომ კოალიცია „ოცნება“ და ეს მთავრობა ქვეყანას ვერ მართავენ. „უნიათო მთავრობა“ და „უმაქნისები“, ვიდრე „ნაციონალები“ იტყოდნენ, ჩვენ, ხალხმა, დავუძახეთ ქვეყნის მმართველებს.

პრეზიდენტის სასახლეზე როდესაც ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მარგველაშვილის სიტყვები: „რეზიდენციაში არავინ უნდა შევიდეს, არავითარი სამთავრობო სამსახური არ უნდა განთავსდეს, რადგან სასახლე სიმბოლოა ბოროტებისა და სააკაშვილის სადისტური მმართველობისა“.

ამის შემდეგ კი მარგველაშვილმა „ნაცისტების“ მოთხოვნა შეასრულა. შეგახსენებთ, „ნაცისტები“ და, კერძოდ, გიგა ბოკერია, ყოველდღე მოითხოვდნენ, მარგველაშვილი პრეზიდენტის რეზიდენციაში შესულიყო. რატომ? იმიტომ, რომ „ნაცისტებს“ სიმბოლოების ეშინიათ და ფიქრობდნენ, მართლა არ დარჩენილიყო შენობა სააკაშვილის სადისტური რეჟიმის სიმბოლოდ.

**საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო, პრეზიდენტის რეზიდენცია ავტორიტარული რეჟიმის მუზეუმად გადაქცეულიყო. სააკაშვილის დანაშაულების მხილებისთვის აუცილებელი იყო ასეთი მუზეუმის გაკეთება და იქ ახალგაზრდების მიყვანა. ასეთი რამ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია, გერმანიას „ნაცისტების“ დიდი მუზეუმი აქვს. ეს მუზეუმი საინტერესო იქნებოდა უცხოელებისთვისაც, მას გადაიღებდნენ ტელევიზიით, გახმაურდებოდა ყველა საქმე, რომლებიც „ნაცებმა“ ჩაიდინეს, და სწორედ ხალხის ამ გადაწყვეტილების შიში ჰქონდა ბოკერიას, ამიტომაც ითხოვდა კატეგორიულად, შენობა ცარიელი არ დარჩენილიყო.**

**პრეზიდენტის სასახლის ასაშენებლად მილიონობით ლარი დაიხარჯა, ხალხისგან მოპარული ფულით აშენდა ეს კალიგულას „სადგომი“. შეგახსენებთ, შენობას „კალიგულას სასახლე“ უცხოელებმა დაარქვეს, 2009 წელს სასახლის გახსნას ჯო ბაიდენის ჩამოსვლა დაემთხვა და სწორედ მაშინ ახსენა უცხოურმა პრესამ „კალიგულა“.**

**ძალიან ბევრ ჩვენზე მდიდარ ქვეყანაში, მათ შორის, ნატოს წევრ ქვეყნებშიც, ვერ ნახავთ ასეთ შენობას, ეს იყო ავტორიტარი დიქტატორის, უპასუხისმგებლო ადამიანის, ანუ კალიგულას სასახლე, რომელშიც დღეს პრეზიდენტი მარგველაშვილი შეიჭრა.**

2013 წლის 17 ნოემბერს, როდესაც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კონსტიტუციაზე დაიფიცა და ამით ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია, მთავრობას არ უნდა მიეღო ზომები და ადმინისტრაციული შენობები არ უნდა გაეწერა ახალი კონსტიტუციის თანახმად? **მთავრობის ბრძანებულებით არ უნდა განსაზღვრულიყო, რომელი შენობა რისთვის იყო განკუთვნილი? ასე რომ გაეკეთებინათ, მთავრობაში ვინმე ჭკვიანი ადამიანი რომ ჰყოლოდათ, დღეს საქართველო კიტოვანის ეპოქაში არ დაბრუნდებოდა.**

მარგველაშვილის მიერ სიტყვის გატეხვა და თვითნებურად შეჭრა პრეზიდენტის რეზიდენციაში, ნათელი დადასტურება იყო იმისა, რა დღეში ჩავცვივდით „ოცნების“ ხელში. რაც დღეს ხდება, ძალიან სამარცხვინოა. მთავრობამ ისე შეტოპა, რომ გამორიცხული არ არის, ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს მარგველაშვილის წინააღმდეგ, რაც ისევ მარგველაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. არ ვიცი, რა ვთქვა, იქნებ ამის შემდეგ მაინც ეყოთ ჭკუა და თავი დაანებონ ამ საკითხზე მსჯელობას.

**28 მილიონ ლარად გარემონტდა ათონელის ქუჩაზე პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია, ამაზეც პასუხია მოსათხოვი მთავრობისთვის. ულატაკეს ქვეყანაში ამხელა თანხა რატომ დახარჯეს? ეს შეკითხვა, მარგველაშვილი რომც გადავიდეს ათონელზე, მაინც უნდა დაისვას.**

სახელმწიფო კანცელარიის შენობაში, სადაც თავდაპირველად შევიდა მარგველაშვილი, შევარდნაძემ დიდი ხანი გაატარა, ასე რომ, ყველა პირობაა შექმნილი, პრეზიდენტმა სტუმარი კანცელარიის შენობის მე-11 სართულზე მიიღოს, მით უმეტეს, ახალი კონსტიტუციით, მას ბევრი არც არაფერი ევალება.

პოლიტიკური ელიტა იმაზე მსჯელობს, უნდა გამოვიდეს თუ არა პრეზიდენტი სასახლიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მთავრობა სახელმწიფოებრივად არ აზროვნებს.

მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სომეხთა „მადლიერება“ 1992-93 წლებში ყველაზე უკეთ გამოხატა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონმა, რომელიც ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. არ მესმის, რატომ არ უნდა ირწმუნოს ბაგრამიანელებისგან სასწაულით გადარჩენილმა ქართველმა აზერბაიჯანული მხარის მტკიცებები, რომ 1918-20 წლებში სამხრეთ აზერბაიჯანში, კერძოდ, ქალაქ ურმში და მის შემოგარენში, სომეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა 150 ათასამდე მშვიდობიანი აზერბაიჯანელი მოკლეს?!**

# პაპი ფრანცისკი — ცხვრის ქურქში გახვეული მგელი თუ გულკეთილი სკლეროტიკი?

**ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს — 12 აპრილს, რომში, წმიდა პეტრეს ტაძარში ჩატარდა სომეხთა გენოციდის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტურგია. XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებზე რომის პაპმა — ფრანცისკმა გამოიყენა მის ლექსიკონში ადრე არარსებული სიტყვა — გენოციდი. კერძოდ, მან თქვა: „განვლილ საუკუნეში მოხდა სამი მასშტაბური, უპრეცედენტო ტრაგედია და მათგან პირველი იყო XX საუკუნის პირველი გენოციდი, რომელიც თავს დაატყდა სომეხ ხალხს“. პონტიფიკოსმა, აგრეთვე, ბრძანა, რომ მომდევნო „უპრეცედენტო გენოციდებში“ დამნაშავე არის ნაციზმი და სტალინიზმი. პაპს არ გამორჩენია ადამიანთა მასობრივი მკვლელობები კამპუჩიაში, რუანდაში, ბურუნდისა და ბოსნიაში. ფრანცისკმა აღნიშნა: ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ კაცობრიობას, ეტყობა, არ ძალუძს უდანაშაულო ადამიანების სისხლისღვრის აღკვეთა; ბოროტების დაფარვა ან უარყოფა წააგავს სისხლიან ჭრილობას, რომელიც არ ხორცდებაო.**

ნიშანდობლივია, რომ 12 აპრილის ქადაგების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში პაპი ფრანცისკის პოპულარულობამ ლამის გეომეტრიული პროგრესიით დაიწყო მომატება. მართალია, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე გვაუწყებენ საზოგადოებრივი გამოკითხვის სააგენტოები, მაგრამ NDI-ს და IRI-ს შემხედვარეებმა ვიცით, — მათი „გამოკითხვების“ ფასი მხოლოდ ფურთხია! უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანცისკის „პოპულარობა“ აშშ-ში პირდაპირ უკავშირდება მის „ამნეზიას“ — მეხსიერების დაკარგვას. დიახ, დიახ... 12 აპრილს წარმოთქმულ სიტყვაში პონტიფიკოსს „გამორჩა“ ამერიკელების მიერ ორი ატომური ბომბით „დადუღებული“ იაპონური ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი ასიათასობით მსხვერპლით. მან „დაივიწყა“ ამერიკელების მიერ მილიონობით დახოცილი ვიეტნამელი, ნაპალმით გადაბუგული სოფლები... დაბოლოს, პაპის „სკლეროზის“ მწვავე გამოვლინება — **ფრანცისკს სიტყვაც არ დასცდენია ახლახან მომხდარ ტრაგედიაზე — ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტაზე, რომელიც განახორციელა აშშ-ის პირმშომ, ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ.**

როდესაც პაპმა ფრანცისკმა ახსენა სომეხთა გენოციდი ოსმალეთში, უნებლიეთ გამახსენდა აფხაზეთის ომი. საქართველოს ამ კუთხეში გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო სომეხთა მასობრივი ჩასახლება. სტუმართმოყვარე ქართველებმა სომხები კარგად მიიღეს. ისინი აფხაზეთში გალაღდნენ — მრავლდებოდნენ და ქართველ მოხელეთა მოქრთამვით მიწის ახალ-ახალ ნაკვეთს ეპატრონებოდნენ. **სომეხთა „მადლიერება“ 1992-93 წლებში ყველაზე უკეთ გამოხატა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონმა, რომელიც ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. არ მესმის, რატომ არ უნდა ირწმუნოს ბაგრამიანელებისგან სასწაულით გადარჩენილმა ქართველმა აზერბაიჯანული მხარის მტკიცებები, რომ 1918-20 წლებში სამხრეთ აზერბაიჯანში, კერძოდ, ქალაქ ურმში და მის შემოგარენში, სომეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა 150 ათასამდე მშვიდობიანი აზერბაიჯანელი მოკლეს?!**

ახლა შევეხოთ პაპის მიერ ნაციზმისა და სტალინიზმის გაიგივების საკითხს. რა კრიტერიუმით გვთავაზობს პონტიფიკოსი 30-40-იანი წლების საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შედარებას? რა, ეს ორი სახელმწიფო ერთი და იმავე იდეოლოგიის მიმდევრები იყვნენ? არა! კომუნისტური იდეოლოგია ინტერნაციონალიზმს, ხალხთა მეგობრობას ქადაგებდა, ხოლო ნაცისტური — რასიზმის უკიდურეს გამოვლინებას — ფაშიზმს; ამ ქვეყნებში გარეგნული გამოვლინებები არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან? მაგრამ სად არის მტკიცებულებები, რომ საბჭოთა კავშირში ე.წ. მოიერიშეები არბევდნენ ადამიანებს ეროვნული ნიშნით, როგორც ეს ხდებოდა გერმანიაში? მეტყვიან, საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში იყო ტოტალიტარული რეჟიმებიო. თუ გულმოდგინეთ გადავათვალიერებთ ენციკლოპედიებს ან ლექსიკონებს, დავრწმუნდებით, რომ არ არსებობს სიტყვა „ტოტალიტარიზმის“ ერთმნიშვნელოვანი განმარტება, რადგან თითოეული ავტორი ან ავტორთა ჯგუფი ამ საქმეში თავისებურად „უბერავს“. მათ განმარტებებში იმდენი წინააღმდეგობაა, რომ სურვილისამებრ შეგვიძლია, ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წყობა დავადანაშაულოთ ტოტალიტარიზმში. კრიტერიუმია „ხელისუფლების შეუცვლელობა“? მაშინ **ვინ იყვნენ: პოლონეთში — მარშალი პილსუდსკი, ფინეთში — სვინჰუდი, ლიტვაში — სმეტონა, ლატვიაში — ულმანისი ან ესტონეთში — პიატსი? დიქტატორები! ან რა ვუწოდოთ ფრანკლინ რუზველტს, რომელიც ოთხჯერ (!) აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად და მხოლოდ გარდაცვალებამ შეუშალა ხელი, მეხუთედ ჩადგომოდა სათავეში ამერიკას?!** თუ საქმე ეხება ხელისუფლების ისეთ უფლებამოსილებას, რომელიც არ არის შეზღუდული კანონით, კონსტიტუციური ნორმებით? მაგრამ ასეთი სახელმწიფო ხომ თვითონ ვატიკანია, სადაც პაპი განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონეა! თუ საქმე ეხება საზოგადოებას, რომელშიც სახელმწიფო იდეოლოგია ზეგავლენას ახდენს მოქალაქეებზე? მაგრამ ამერიკული დემოკრატიაც ხომ იდეოლოგიაა, რომელიც ახდენს ზეგავლენას არა მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეებზე, არამედ ამ „დემოკრატიულ“ პოსტულატებს უხეშად ახვევს თავს კაცობრიობას! **თუ „ტოტალიტარიზმი“ არის სრული კონტროლი საზოგადოებაზე, თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე? მაშინ გავიხსენოთ, რომ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში, სადაც ბატონობს ინტერნეტი, სოციალური ქსელები. ბოლოს და ბოლოს, ყოველ კუთხე-კუნჭულშია მიმაგრებული სათვალთვალო კამერები!** ასეთი საყოველთაო კონტროლი მოქალაქეებზე ვერ დაესიზმრებოდა გასული საუკუნის ვერც ერთ დიქტატორს! არადა, დღეს ეს აღიქმება, როგორც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამ! ვერც საბჭოთა რეპრესიულ მანქანას შევადარებთ გერმანულს და, წარმოიდგინეთ, ამერიკულსაც! **1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე, ანუ 33 წლის განმავლობაში სსრკ-ში სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს 642 980 ადამიანს; მათგან ნახევარზე მეტს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს პატიმრობის სხვადასხვა ვადით. დროის ამ მონაკვეთში ყბადაღებულ „გულაგში“ თავი ამოჰყო ხუთ მილიონამდე ადამიანმა.**



**პაპ ფრანცისკს სიტყვაც არ დასცდენია ახლახან მომხდარ ტრაგედიაზე — ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტაზე, რომელიც განახორციელა აშშ-ის პირმშომ, ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ**

**შედარებისთვის, მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკ ოსვენციმში — ამ „მკვლელობის ფაბრიკაში“ სიცოცხლეს გამოასალმეს (არასრული სამი წლის განმავლობაში) ოთხი მილიონი ადამიანი, მათ შორის, მილიონამდე ებრაელი...** საინტერესოა, რომ 1921 წლიდან 1953 წლის ჩათვლით, „ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოში“ — აშშ-ში, სატუსაღოებში „გამოსწორების გზა“ გაიარა შვიდ მილიონზე მეტმა ადამიანმა, ხოლო სიკვდილით დასჯილთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა! ასე რომ, ნაციზმი და სტალინიზმი არათუ დიამეტრულად საწინააღმდეგო იდეოლოგიებია, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობაც!

როდესაც პაპმა ფრანცისკმა ნაციზმი ახსენა, უთუოდ ფაშისტური გერმანია იგულისხმა, თუმცა აქ, ჩვეულებისამებრ, პაპს „სკლეროზი“ კვლავ გაუმწვავდა და აი, რა „გამორჩა“ — 1929 წელს რომის პაპმა — პიუს XI ხელი მოაწერა ე.წ. ლატერანულ შეთანხმებას დიქტატორ მუსოლინის ფაშისტურ მთავრობასთან. ამით „წმინდა ტახტმა“ მისცა ფაშისტებს პოლიტიკური მხარდაჭერა და გავლენა, რაც აუცილებელი იყო იტალიის ფაშისტური მომავლისთვის. თავის მხრივ, მუსოლინიმ და მისმა ხროვამ გადასცეს ეკლესიას 90 მილიონი აშშ დოლარი ნაღდი ფულით, შექმნეს რომში, ვატიკანის ბორცვზე, დაუბეგრავი პაპური სახელმწიფო და იტალიელ მღვდლებს დაუნიშნეს სახელმწიფო ხელფასი.

ჰიტლერიც ოცნებობდა ვატიკანის მხარდაჭერაზე და მიიღო კიდეც. უნდა ითქვას, რომ გერმანელი კათოლიკეები „ნაგიჟარი ადოლფის“ სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ; ჰიტლერს კი კათოლიკეების ხმების გარეშე რაიხსტაგში მოკალათების არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა! მაგრამ ვატიკანი ჰიტლერში ხედავდა უძვირფასეს მოკავშირეს და, რასაკვირველია, მოუწოდა თავის სამწყსოს, გერმანიაში ხმა მიეცა ჰიტლერისთვის. ასე გახდა ავსტრიელი შიკლგრუბერი გერმანელი ხალხის ფიურერი. **ჰიტლერი მადლიერი ადამიანი აღმოჩნდა. 1933 წელს მან ვატიკანთან ხელი მოაწერა ე.წ. კონკორდატს, რომელიც ვატიკანს ათავისუფლებდა რამდენიმე „უხერხული“ კანონისგან, აძლევდა სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერას და უზრუნველყოფდა მილიარდობით დოლარის გაცემას ჰიტლერის მმართველობისას.** 1933 წლის 22 ივლისს ჰიტლერი წერდა: „ის ფაქტი, რომ ვატიკანმა დადო ხელშეკრულება ახალ გერმანიასთან, ადასტურებს კათოლიკური ეკლესიის მიერ ჩვენი ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს აღიარებას. ხელმოწერილი შეთანხმებები მსოფლიოს ნათლად და არაორაზროვნად უჩვენებს, რომ მტკიცება, ვითომდა ნაციონალ-სოციალიზმი მტრობს რელიგიას, სიცრუეა“.

ამ სტრიქონების წერისას მესმის ანგლოსაქსი ნეოფაშისტების გრანტებით „გაჭყეპილი“ ქართველი „ისტორიკოსის“ აღშფოთება-შეშფოთება: სიცრუე! დეზინფორმაცია! ცილისწამება! სასიკვდილო სარეცელზე მყოფი პაპი ეხვეწებოდა ექიმებს, რომ ეჩუქებინათ მისთვის კიდევ ორი დღე, რათა, ბოლოს და ბოლოს, გამოსულიყო ჰიტლერისა და მუსოლინის წინააღმდეგ და ამით კაცობრიობისთვის აეცილებინა მსოფლიო ომიო! პაპი პიუს XI გარდაიცვალა 1939 წელს, ანუ კონკორდატის ხელმოწერიდან თითქმის 6 წლის შემდეგ. უცნაურია, პაპი სიცოცხლის ორ დღეს ნატრობდა, როცა მანამდე უამრავი დრო ჰქონდა ფაშიზმის სამხილებლად! რატომ „ჩაიგუბა პირში წყალი“ 1938 წელს, როდესაც ჰიტლერმა „გადასანსლა“ ავსტრია, ხოლო შემდგომ — ჩეხოსლოვაკია?! უპრიანი იქნება, ვივარაუდოთ, რომ პიუს XI თვალი აეხილა ჩადენილ დანაშაულზე მაშინ, როცა სიკვდილის სარეცელზე მწოლიარეს, სააქაოსა და საიქიოს გამყოფი კედელი დაუთხელდა, გახდა გამჭვირვალე და იხილა, რა ენით აღუწერელი საშინელი არსება ელოდებოდა საიქიოში... 1939 წლის 2 მარტს კი კარდინალი ეუჯენიო პაჩელი — ჰიტლერთან შეთანხმების ტექსტის ავტორი, გახდა მომდევნო პაპი — პიუს XII. ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ ეს პაპი აქტიურად მფარველობდა სამხედრო ბოროტმოქმედებს და, მათთვის გასამართლება რომ აეცილებინა, კათოლიკე მღვდლებად გზავნიდა სამხრეთ ამერიკაში, ძირითადად, არგენტინაში — ამჟამინდელი პაპის სამშობლოში. მოკლედ, ვატიკანი დაუფარავად უჭერდა მხარს ფაშიზმს და, რომ არა ეს მხარდაჭერა, ვერც მუსოლინი და ვერც ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში ვერ მოვიდოდნენ.

სამწუხაროდ, **ამა წლის 12 აპრილს სომეხთა გენოციდის ასი წლისთავისთვის მიძღვნილი ლიტურგიის შემდეგ წარმოთქმულ ქადაგებაში პაპ ფრანცისკს „დაავიწყდა“ ვატიკანისა და ნაციზმის ურთიერთმომგებიანი, ძმური თანამშრომლობის ამბავი.**

ინტერნეტში ბევრს ვეძებდი პაპი ფრანცისკის, ასე ვთქვათ, ღირსეულ დახასიათებას, რომელიც გააშიშვლებდა ამ პიროვნების არსს. ჩემი ძებნა, ვფიქრობ, წარმატებით დასრულდა, როცა წავაწყდი ინფორმაციას ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის პროფესორის — ლუკრეცია რეგო-დე-პლანას შესახებ. ეს ქალბატონი დიდხანს მუშაობდა ხორხე ბერგოლიოსთან (პაპი ფრანცისკი) და, შესაბამისად, კარგად იცნობს პაპს. აი, რას წერს ეს ცნობილი კათოლიკე ინტელექტუალი: **„ბერგოლიოს სურს, რომ ის ყველას უყვარდეს; უნდა, რომ ყველას ასიამოვნოს. აქედან გამომდინარე, ერთ მშვენიერ დღეს ის გამოვა ტელევიზიით აბორტების საწინააღმდეგოდ, მეორე დღეს კი დალოცავს პლასა-დე-მაიოზე შეკრებილ აბორტების ლეგალიზაციის მომხრეებს. მას შეუძლია, წარმოთქვას დიდი სიტყვა მასონების წინააღმდეგ და ერთი საათის შემდეგ მასონებთან ერთად ჭამოს და სვას როტარი-კლუბში...“.**

ამ სიტყვების შემდეგ შეგვიძლია, ვიყოთ დარწმუნებული, რომ მალე ვიხილავთ პაპ ფრანცისკს თურქეთში, სადაც რომელიმე მეჩეთში უხვად დაღვრის წინასწარ მომარაგებულ „ნიანგის ცრემლს“ აღმოსავლეთ ანატოლიაში სომხების მიერ დახოცილ 200 ათასი მშვიდობიანი მუსლიმანის მოხსენიებისას...

**გიორგი კორძაძე**

ექსპოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოფენა „ნივთიერი მტკიცებულებები“ დახვეწილ პროპაგანდად შეიძლება ჩაითვალოს. ის ლაპარაკობს თანამედროვე ხელოვნების ენით და ყურადღებას ამახვილებს ომის რეალურ საშინელებებზე, ამით კი მესიჯს უგზავნის ნეიტრალურ რუსულ და დასავლურ აუდიტორიას. ექსპოზიციის ობიექტები წარწერებისა და კომენტარების გარეშეა — მნახველებს სთავაზობენ, თვითონ გამოიტანონ დასკვნები.**

# «დონბასი. ნივთიერი მტკიცებულებები. ატო-ს 365 დღე»




## მოსკოვში გაიხსნა გამოფენა, რომელიც დონბასის ომს მიეძღვნა

**მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, პავილიონ „უკრაინაში“ მიმდინარეობს გამოფენა „დონბასი. ნივთიერი მტკიცებულებები. ატო-ს 365 დღე“. გამოფენის ორგანიზატორია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდი „სახალხო დიპლომატია“ — არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დიდი ხანია, მუშაობს უკრაინის საკითხებზე.**

ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიამ“ 2013 წელს კიევსა და მოსკოვში გამართა „მრგვალი მაგიდები“, რომლებიც მიეძღვნა უკრაინული ნაციონალიზმის მხილებას. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი **ალექსეი კოჩეტოვი** თანაავტორია წიგნისა „სტეპან ბანდერას სახელობის ევრომაიდანი“. ფონდი აქტიურად მუშაობს დასავლეთის საზოგადო მოღვაწეებთან, განსაკუთრებით — საფრანგეთში (ფონდის ხელმძღვანელთა შორის არიან ფრანგი საზოგადო მოღვაწეები და ყოფილი დიპლომატები).

პავილიონი „უკრაინა“, სადაც მიმდინარეობს გამოფენა, მკაცრად არის დაცული. შენობასთან მორიგეობს პოლიციელების ავტომობილი. შესასვლელში დგას ანტიტერორისტული ჩარჩო, სტუმრებს უჩითავენ ჩანთებს. პავილიონის დარბაზებში მორიგეობენ პოლიციელები და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები.

**ექსპოზიცია რამდენიმე დარბაზშია განლაგებული — მის ძირითად ნაწილს შეადგენს ნივთები, რომლებიც ატო-ს (ანტიტერორისტული ოპერაცია) ზონიდან არის გამოტანილი, აგრეთვე, — ფოტო და ვიდეომასალები.**

პირველ დარბაზში, ცენტრში მოწყობილია მბრუნავი წრე, რომელზე შედგომის შემდეგაც ჩაიძირებით დონბასის საშინელებებში. **ორ ეკრანზე აჩვენებენ დანგრეული შენობების ვიდეოკადრებს, დორბასის მცხოვრებთა მონოლოგებს, რომლებიც ომის საშინელებებზე მოგვითხრობენ, გაურკვეველი ლუღლუღი და ქვითინი ერთმანეთში ირევა, თითქოს მომაკვდავი ადამიანების ხმებია. დარბაზს ავსებს კვამლი, რომელსაც ავისმომასწავებლად ეცემა პროჟექტორების შუქი.**

შემდეგ დარბაზში ექსპოზიციის ცენტრალური ნაწილი ტყვიებით დაცხრილული ავტობუსია, კარებზე სისხლიანი ლაქებით. ასფალტის იმიტაციაზე ცარცით არის შემოხაზული სხეულების კონტურები. დინამიკებში ისმის ქარის წუილი.

„სახალხო დიპლომატიის“ მუშაობის მასშტაბები შთამბეჭდავია — ერთ-ერთ დარბაზში დგას ქალაქ დებალცევოს შესასვლელიდან წამოღებული სტელა. ჩანს, რომ გამოფენის მოსაწყობად ბევრი ფული და ენერგია დაიხარჯა და რომ მასზე დიდი შემოქმედებითი გუნდი მუშაობდა.

**პავილიონის რამდენიმე ზონა გადაქცეულია დანგრეული შენობების — სკოლების, საბავშვო ბაღების, საცხოვრებელი სახლების — მაკეტებად, ამისათვის კი გამოყენებულია რეალური ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, კედლებისა და სახურავების ფრაგმენტები, რომლებიც ატო-ს ზონიდან არის გამოტანილი. არის საბურავებისგან შექმნილი ბარიკადი „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ დროშით. ჰაერი გაჟღენთილია დენთის სუნითა და მტვრით.**



გამოფენაში ყურადღებას იპყრობს „საშინელებათა ოთახი“ — ჰოსპიტლის რეკონსტრუქცია. ავტორების ფანტაზია უსაზღვროა — ამ დარბაზში **მანეკენები ატო-ს მიმდინარეობისას დაღუპულ ადამიანებს გამოსახავენ. საოპერაციო მაგიდაზე წევს ადამიანი, რომელსაც მუცლის ღრუ აქვს გადახსნილი. ერთ-ერთ საწოლზე მოთავსებულია ხელმოგლეჯილი ბავშვი, მეორეზე — ადამიანის სხეულის ფრაგმენტები. ნიჟარა სავსეა სისხლიანი ბინტებით, იატაკი — სისხლის ნაკადებით. იგრძნობა მკვეთრი „სამედიცინო“ სუნი.** ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს საშინელებათა პარიზულ თეატრს — „გრანგინიოლს“, რომელსაც „თვალისათვის განკუთვნილი ვულგარულ-ამორალური ნადიმი“ უწოდეს. **ექსპოზიციის ყველა დარბაზში მიმოფანტულია ჰილზები, ნაღმის ნამსხვრევები და ომის სხვა „ნარჩენები“. პროფესიონალების მიერ გადაღებულ ფოტოებზე აღბეჭდილი არიან — სახალხო ლაშქრის წარმომადგენლები, აგრეთვე, დანგრეული ხიდები და შენობები, დონბასის პანორამა.**



**გამოფენა ყურადრებას იპყრობს «საშინელებათა ოთახი» — ჰოსპიტლის რეკონსტრუქცია. ამ ავტორების ფანტაზია უსაზღვროა — ამ დარბაზში მანეკენები ატო-ს მიმდინარეობისას დაღუპულ ადამიანებს გამოსახავენ. საოპერაციო მაგიდაზე წევს ადამიანი, რომელსაც მუცლის ღრუ აქვს გადახსნილი. ერთ-ერთ საწოლზე მოთავსებულია ხელმოგლეჯილი ბავშვი, მეორეზე — ადამიანის სხეულის ფრაგმენტები. ნიჟარა სავსეა სისხლიანი ბინტებით, იატაკი — სისხლის ნაკადებით. იგრძნობა მკვეთრი «სამედიცინო» სუნი**

გამოფენას ბევრი მნახველი ჰყავს, მათი უმრავლესობა ბავშვებთან ერთად მოდის. უფრო მეტიც — გამოფენა გამოყენებულია, როგორც მასალა „სამხედრო-პატრიოტული აღზრდისთვის“, მას სტუმრობენ კადეტების კოლონები. დამთვალიერებელთა შორის არიან „ნოვოროსი კაზაკებიც“.

გამოფენა „ნივთიერი მტკიცებულებები“ დახვეწილ პროპაგანდად შეიძლება ჩაითვალოს. ის ლაპარაკობს თანამედროვე ხელოვნების ენით და ყურადღებას ამახვილებს ომის რეალურ საშინელებებზე, ამით კი მესიჯს უგზავნის ნეიტრალურ რუსულ და დასავლურ აუდიტორიას. ექსპოზიციის ობიექტები წარწერებისა და კომენტარების გარეშეა — მნახველებს სთავაზობენ, თვითონ გამოიტანონ დასკვნები.





**კონსტანტინე სკორკინი,**
**ანა სკორკინას ფოტოები**
www.vlada.io

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ისინი ძალიან აფასებენ კავკასიელებს და მათ ბრძოლისუნარიანობას. კავკასიელების მიმართ თითქმის ყოველთვის ასრულებენ ფინანსურ ვალდებულებებს და ეს ხალხი იღებს არა მხოლოდ ფულს, არამედ ბრძოლის შესაძლებლობას. მათთვის ეს რომანტიკაა, ეს არის შესაძლებლობა, შეუერთდნენ შეიარაღებულ ჯიჰადს, ხორცი შეასხან თავიანთ ოცნებებს სოციალურ სამართლიანობაზე“.



# ახმეტ იარლიკაპოვი: «ისლამური სახელმწიფოსთვის» არ არსებობს მშვიდობიანი მოსახლეობა, ისინი მზად არიან, ააფეთქონ ყველა

**ბოლო ხანს დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საბრძოლველად პანკისიდან მიმავალი ახალგაზრდების რაოდენობა იზრდება. ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერია პანკისელი თარხან ბათირაშვილი (აბუ ომარ ალ შიშანი). რას უქადის საქართველოს პანკისელი ახალგაზრდების სირიასა და ერაყში საბრძოლველად წასვლა და რა ფაქტორები თამაშობს როლს „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობაში — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის, ეთნოპოლიტიკური კვლევების ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ახმეტ იარლიკაპოვი ესაუბრა.**

**— ბატონო ახმეტ, რატომ მიდიან ახალგაზრდები „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საომრად?**

— აქ, ჩემი აზრით, მიზეზების მთელი კომპლექსია. რუსეთშიც დავდექით ამ პრობლემის წინაშე. ახლა ისე არ მიდიან, როგორც 1990-იან წლებში. იმხანად ყველაფერი საკმაოდ მარტივად იყო: მიდიოდნენ ისინი, ვისაც მატერიალურად უჭირდა. დღეს ახალგაზრდების ფართო სპექტრი უერთდება ექსტრემისტებს და მატერიალური მდგომარეობის ნიშანი უკვე აღარ მუშაობს. თუ კონკრეტულად საქართველოზე ვისაუბრებთ, ვფიქრობ, აქ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ **„ისლამური სახელმწიფოს“ ყველაზე საპასუხისმგებლო ჩრდილოეთ ფრონტს თარხან ბათირაშვილი ხელმძღვანელობს და ეს პიროვნული ფაქტორი ახალგაზრდებისთვის და, განსაკუთრებით, პანკისელი ახალგაზრდებისთვის ნამდვილად თამაშობს დიდ როლს.** გარდა ამისა, ახალგაზრდების მხრიდან ექსტრემისტებისადმი მხარდაჭერაში სოციალური მიზეზებიც უნდა ვეძებოთ. ეს ფაქტორი ძალიან დიდ როლს თამაშობს. როდესაც ჩრდილოკავკასიელი ახალგაზრდები მიდიან საბრძოლველად, ისინი მიდიან სოციალური სამართლიანობის საპოვნელადაც, ანუ **„ისლამური სახელმწიფო“ მათ ჰპირდება სოციალურ სამართლიანობას, ჰპირდება გამარჯვებულის შარავანდედს, ყველაფერზე გამარჯვებულის — არა მხოლოდ დასავლეთზე, არამედ ყველანაირ უსამართლობაზე. სწორედ ამ სამართლიანობის ძიებას მიჰყავს ახალგაზრდები ექსტრემისტთა რიგებში.**

**— არის მოსაზრება, რომ ახალგაზრდებმა არ იციან ტრადიციული ისლამი და ამიტომ მიდიან საბრძოლველად.**

— ხშირად დგება საკითხი, რომ ტრადიციული ისლამი სუსტია და ა.შ. სინამდვილეში ტრადიციული ისლამის საკითხი ძალიან რთულია იმ გაგებით, რომ, მაგალითად, საბრძოლველად რუსეთის ფედერაციიდან ყველაზე მეტი ადამიანი წავიდა დაღესტნიდან, სადაც ტრადიციული ისლამი ყველაზე ძლიერია, ხოლო ყაბარდო-ბალყარეთიდან, სადაც ტრადიციული ისლამი ყველაზე სუსტია, — გაცილებით ნაკლები ახალგაზრდა, ანუ პირდაპირი კავშირი ტრადიციულ ისლამსა და ახალგაზრდების წასვლას შორის არ არის.

**— თუმცა სინამდვილეში ტრადიციული ისლამი არ მიესალმება ასეთ მიდგომას...**

— დიახ, მაგრამ ძლიერი ე.წ. ტრადიციული ისლამი ვერ აკავებს ახალგაზრდების ნაკადს „ისლამურ სახელმწიფოში“. ეს სისტემა არ მუშაობს და ეს ფენომენი შესასწავლია. უნდა ჩატარდეს კვლევა, რათა გავიგოთ, როგორ შევაჩეროთ ეს ახალგაზრდები.

**— კონკრეტულად რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ ახალგაზრდების ნაკადი შეწყდეს?**

— როდესაც ახალგაზრდულ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, ამ ახალგაზრდების მიმართ ეს პოლიტიკა უნდა იყოს აბსოლუტურად არაფორმალური. როდესაც სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა ესმის თავისებურად და ბიუროკრატიულად, აი, ზუსტად ამ ბიუროკრატიას უნდა მოვერიდოთ და ვიმუშაოთ მიზანმიმართულად ამ ახალგაზრდებთან, რათა მათთვის „ისლამური სახელმწიფო“ ნაკლებად მიმზიდველი გახდეს. მეორეა კონტრპროპაგანდა, რომელიც სრულიად სხვა დონეზეა ასაყვანი. უნდა ვისწავლოთ პროპაგანდის მექანიზმები „ისლამური სახელმწიფოსგან“. თუ ახალგაზრდები ნახულობენ „ისლამური სახელმწიფოს“ ვიდეოს, უნდა შევთავაზოთ ჩვენი მასალები, რათა ნახონ, რა ხდება სინამდვილეში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ძლიერდება, ჩვენ კი, სამწუხაროდ, შოკირებული ვართ და ხმას არ ვიღებთ, იმ დროს, როდესაც მას მიჰყავს ჩვენი ხალხი.



«ეს არის ხალხი, რომელიც დაბრუნდება საბრძოლო გამოცდილებით, დივერსიული გამოცდილებით, გლობალურ ტერორისტულ ქსელთან წვდომით და, რაც მთავარია, ჩამოიტანენ «ისლამური სახელმწიფოს» მეთოდებს»

**— ისლამის რომელი მიმართულების წარმომადგენლები არიან ყველაზე მეტი „ისლამურ სახელმწიფოში“?**

— „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, პრაქტიკულად, ისლამის ყველა მიმართულების წარმომადგენლები არიან, პირველ რიგში, — სალაფიტები, თუმცა სხვებიც მიდიან, რომლებიც რატომღაც საკმაოდ სწრაფად იცვლიან რწმენას და იქცევიან იმ ადამიანებად, რომლებიც იზიარებენ „ისლამური სახელმწიფოს“ თვალსაზრისს. არატრადიციული ისლამის მიმდევრობა არ ცვლის მდგომარეობას, ამ პროცესის მთავარი ნიშანი არის ის, რომ ეს ადამიანები 16-დან 26 წლამდე ახალგაზრდები არიან. ამ წლოვანების ადამიანები აქტიურად ეპასუხებიან „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართვებს.

**— ჩვენთან ხშირად საუბრობენ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ახალგაზრდებს კარგ გასამრჯელოს ჰპირდება, სინამდვილეში კი საზარბაზნე ხორცად იყენებს...**

— ეს ხალხი მართლაც იღებს ფულს „ისლამური სახელმწიფოსგან“ და ეს განსაკუთრებით კავკასიელებს ეხება. არის ძალიან ბევრი მაგალითი, როდესაც, ვთქვათ, ინდოელები ჩასულან საბრძოლველად და ისინი ტუალეტების მრეცხავებად დაუყენებიათ. მსგავსი რამ კავკასიელის მიმართ არ მოხდება. **ისინი ძალიან აფასებენ კავკასიელებს და მათ ბრძოლისუნარიანობას. კავკასიელების მიმართ თითქმის ყოველთვის ასრულებენ ფინანსურ ვალდებულებებს და ეს ხალხი იღებს არა მხოლოდ ფულს, არამედ ბრძოლის შესაძლებლობას. მათთვის ეს რომანტიკაა, ეს არის შესაძლებლობა, შეუერთდნენ შეიარაღებულ ჯიჰადს, ხორცი შეასხან თავიანთ ოცნებებს სოციალურ სამართლიანობაზე.**

**— სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს განა არ შეუძლიათ „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსების შეწყვეტა? ფულს ხომ რეალური ხალხი რიცხავს, ხოლო ფულის გარეშე „ისლამური სახელმწიფო“ დიდხანს ვერ იარსებებს.**

— საქმე ის არის, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსების სისტემა ძალიან რთულია და, შესაბამისად, მასთან ბრძოლა მარტივი არ არის. პირველი — მათ აქვთ შემოსავლები კონტრაბანდულად გაყიდული ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისგან, მეორე — ტერიტორიაზე ცხოვრობს რვა მილიონი ადამიანი, რომელთა გადასახადებიც „ისლამურ სახელმწიფოს“ მისდის, მესამე — ეს არის კერძო შემოწირულობები. მსოფლიოში არიან ადამიანები, რომლებიც ინტერნეტის მეშვეობით საკმაოდ აქტიურად უჭერენ მხარს „ისლამურ სახელმწიფოს“. **2014 წლის ბოლოს სოციალურ ქსელ ტვიტერში იყო 90 ათასი პროფილი, რომელიც დაუფარავად უჭერდა მხარს ამ დაჯგუფებას. ეს ხალხი გზავნის ფულს, მაგრამ გაცილებით მეტია ადამიანი, რომლებმაც იციან დასავლური საბანკო სისტემის არხების დაუცველობის შესახებ. ისინი იყენებენ ფულადი გზავნილების ისლამურ სისტემას — ჰავალას.** ეს არაფორმალური გზავნილების სისტემაა. თქვენ მიდიხართ ადამიანთან, რომელიც წარმოადგენს ამ ქსელს, ეუბნებით, ვის და სად უნდა გადასცეს თანხა, უტოვებთ ფულს და სხვა ადამიანი, რომელიც იმყოფება „ისლამურ სახელმწიფოში“, გადასცემს ამ თანხას. ეს დასავლური სისტემის მონაწილეობის გარეშე მუშაობს და, სამწუხაროდ, დაფინანსების ამ სისტემის გაკონტროლება არავის ძალუძს. დასავლურ ქვეყნებს შეუძლიათ, აკონტროლონ საბანკო გადარიცხვები, მაგრამ პირად კონტაქტებსა და გადარიცხვებს ვერ გააკონტროლებენ. თუ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, მოსაფიქრებელია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

**— როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ვთვლი, რომ, სამწუხაროდ, ამერიკული სახმელეთო ოპერაცია ნაკლებად სავარაუდოა, ძალიან მწარე გამოცდილების შემდეგ ისინი იქ აღარ წავლენ, დაბომბვას აზრი არ აქვს — დაბომბვას სადღაც მოაქვს შედეგი, სადღაც — არა. თვითონ სტრუქტურა კი განაგრძობს არსებობას, გაზრდა-დაპატარავების მიუხედავად.

**— რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ქვეყნები, რომლებიდანაც ახალგაზრდები მიდიან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში?**

— ბევრი თვლის, რომ ეს ხალხი უკვე მისიით დაბრუნდება. ვფიქრობ, ეს რეალური და სერიოზული საფრთხეა. „ისლამური სახელმწიფოსთვის“ არ არსებობს მშვიდობიანი მოსახლეობა; ისინი მზად არიან, ააფეთქონ ყველა. ეს არის ხალხი, რომელიც დაბრუნდება საბრძოლო გამოცდილებით, დივერსიული გამოცდილებით, გლობალურ ტერორისტულ ქსელთან წვდომით და, რაც მთავარია, ჩამოიტანენ „ისლამური სახელმწიფოს“ მეთოდებს.

ეს ძალიან სახიფათოა!

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

მოკლედ



## ნეპალში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 4000-ს გადააჭარბა

**უცხოური სააგენტოები, ნეპალის სამხედროებზე დაყრდნობით, იუწყებიან, რომ მიწისძვრამ 4000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დედაქალაქ კატმანდუში 500-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 2 ათასზე მეტი დაშავდა.** ნეპალის ხელისუფლებამ მიწისძვრის გამო ქვეყანაში საგანგებო რეჟიმი გამოაცხადა. ნეპალში 7,9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა 25 აპრილს, დილით, მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა მეზობელ ინდოეთში, პაკისტანსა და ბანგლადეშშიც. ბოლო 80 წლის განმავლობაში მსგავსი სიძლიერის მიწისძვრა ნეპალში არ მომხდარა.



**ახლო აღმოსავლეთში ახალმა და, როგორც ჩანს, ხანგრძლივმა გამწვავებამ „ჯიჰადიზმისა“ საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეები კვლავ გააქტიურა. აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წარმატებები „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაპირისპირებაში ერთობ მოკრძალებულია იმ დროს, როცა „ისლამური სახელმწიფო“ მრავალ ქვეყანას ემუქრება, რუსეთისა და საქართველოს ჩათვლით.**

დისკუსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართულ-რუსული საექსპერტო კონფერენცია თბილისში

**22-23 აპრილს თბილისში, სასტუმრო „კოპალაში“, გლობალური კვლევების ცენტრისა და რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობის“ ორგანიზებით ქართველი და რუსი ექსპერტების კონფერენცია გაიმართა. იგი 2014 წელს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული რუსულ-ქართული საექსპერტო შეხვედრის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. იმხანად ქართველ ექსპერტებს საშუალება მიეცათ, გარდა რუსი კოლეგებისა, შეხვედროდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს — გრიგორი კარასინს, რომლისგანაც უშუალოდ მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე.**



კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი ექსპერტები: პროფესორი **იოსებ არჩვაძე**, პოლიტოლოგი, პროფესორი **სოსო ცინცაძე**, პროფესორი **დავით იაკობიძე**, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, გენერალი **დავით თევზაძე**, კავკასიის სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **მამუკა არეშიძე**, უსაფრთხოების ექსპერტი, პოლიტოლოგი **ვახტანგ მაისაია**, სოციოლოგი და პოლიტიკური კონსულტანტი **ვალერიან გორგილაძე**, მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე**, აკადემიური დოქტორი **ზურაბ გარაყანიძე**, პოლიტოლოგი **ხათუნა ლაგაზიძე**, ექსპერტი **მამუკა ჩხეიძე**, ანალიტიკოსები **ვასო კაპანაძე** და **სიმონ კილაძე.**

რუსულ მხარეს წარმოადგენდნენ „კავკასიური თანამშრომლობის“ დირექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის უნივერსიტეტის კავკასიისა და რეგიონული უსაფრთხოების ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნიკოლაი სილაევი**, მოსკოვის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიო პოლიტიკის ფაკულტეტის კომპლექსური ევროპული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილე **დიმიტრი სუსლოვი**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების სექტორის ხელმძღვანელი **ელენა კუზმინა**, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის გამოყენებითი ანალიზის კათედრის დოცენტები **ირინა ბოლგოვა** და **ანდრეი სუშენცოვი**, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის კავკასიისა და რეგიონული უსაფრთხოების ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ახმეტ იარლიკაპოვი**, რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **კონსტანტინე ტასიცი,** სააგენტო „საგარეო პოლიტიკის“ ანალიტიკოსი **ტატიანა ტუკაევა.**

ორდღიანი კონფერენციის დღის წესრიგი ფართო აღმოჩნდა:

**1. ქართულ-რუსული ურთიერთობები: შედეგები და ნორმალიზაციის პერსპექტივები;**

**2. უსაფრთხოების გამოწვევები – რუსეთი და დასავლეთი, უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი – ხედვა მოსკოვიდან და თბილისიდან;**

**3. რუსეთის საგარეო პოლიტიკა ყირიმის შემდეგ: რას მოიტანს „შებრუნება აღმოსავლეთისკენ“?**

**4. ინტეგრაციული პროექტები სამხრეთ კავკასიაში: კონკურენცია თუ კომპლემენტარულობა?**

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა ვითარდება იმ პოლიტიკურ ჩარჩოში, რომელიც ამ ეტაპზე მხარეებისთვის მისაღებია. **ქართული და რუსული დიპლომატიის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ურთიერთობა „ცხელი“ ფაზიდან ერთგვარ რუტინულ კალაპოტში გადავიდა. უდავო პოზიტივია ისიც, რომ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა დაძაბვამ ამ პროცესზე ნეგატიური ზეგავლენა ვერ მოახდინა. ურთიერთობათა პერსპექტივაზე საუბარი ნაკლებად ემოციურია, ვიდრე თუნდაც ორი წლის წინათ იყო. ამასთანავე, რეგიონი რთულ მდგომარეობაშია, რაც წინანდელი მიდგომების ხელახალ გააზრებას მოითხოვს.**

კრიზისი უკრაინაში რუსეთს, აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის ურთიერთობათა ხანგრძლივი და ღრმა დაძაბულობის ათვლის წერტილად იქცა. თუმცა ეს გამწვავება, ცივი ომისგან განსხვავებით, ტოტალურში არ გადაიზრდება, რადგან, გარკვეულ რეგიონებში მეტოქეობის მიუხედავად, სხვა მიმართულებით რუსეთისა და დასავლეთის თანამშრომლობა გრძელდება. თვითონ დასავლეთშიც გრძელდება დისკუსია რუსეთთან ურთიერთქმედების გზების ძიების შესახებ. ამასთანავე, უკრაინის კრიზისმა თვალნათელი გახადა, რომ ევროპის უსაფრთხოების სისტემის ორგანიზებისადმი მიდგომები მოძველდა. და მიუხედავად იმისა, რომ ნატო ერთგვარ რენესანსს განიცდის, მისი ლიდერები აცნობიერებენ საკუთარი სიმძლავრის ჩარჩოებს და გაფართოების შესაძლებლობის შეზღუდულობას.

**ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყველაზე მძიმე პრობლემად რჩება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ხშირად ისმის, რომ რუსეთი ამ აღიარებას უკან ვერ წაიღებს, რაც ურთიერთობის ნორმალიზაციის მიმართ სკეფსისს აღრმავებს. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან არაერთხელ გაკეთებულ განცხადებას, რომ აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დაწყება, სათანადო ინტერესი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ მოჰყოლია. ასევე, უყურადღებოდ დარჩა პრეზიდენტ პუტინის განცხადება, რომ არ არსებობს გადაუჭრელი საკითხები ორი ქვეყნის ურთიერთობებში**



**ახლო აღმოსავლეთში ახალმა და, როგორც ჩანს, ხანგრძლივმა გამწვავებამ „ჯიჰადიზმისა“ საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეები კვლავ გააქტიურა. აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წარმატებები „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაპირისპირებაში ერთობ მოკრძალებულია იმ დროს, როცა „ისლამური სახელმწიფო“ მრავალ ქვეყანას ემუქრება, რუსეთისა და საქართველოს ჩათვლით.**

კარგა ხნის წინათ დაწყებული მსჯელობა „აღმოსავლეთისკენ შებრუნების“ შესახებ უკრაინის კრიზისმა დააჩქარა და რუსეთის საგარეო პოლიტიკამ რეალურად დაიწყო ამ ვექტორზე მუშაობა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავება. ამასთანავე, **ევრაზიაში რუსული და ჩინური ინტეგრაციული პროექტების ურთიერთქმედების მომავალი ფორმები სწორედ ახლა მუშავდება, რამაც, შესაძლოა, ახალი შესაძლებლობები მისცეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.**

რუსეთისა და თურქეთის პარტნიორობამ ახალი იმპულსი შეიძინა უკრაინის ალტერნატივის — „თურქული ნაკადის“ გაზსადენის პროექტის წყალობით. **„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის — ნინო ბურჯანაძის ინიციატივის მიუხედავად, შავი ზღვის ფსკერზე გატარების ნაცვლად, გაზსადენს საქართველოს ტერიტორიაზე გაევლო, საქართველოს ხელისუფლებას არ გამოუხატავს დაინტერესება ამ პროექტით, რომელიც უთუოდ სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის. ამ პროექტს ნამდვილად შეუძლია, შეცვალოს შავი ზღვა —კავკასიის რეგიონის ჩვეული გეოპოლიტიკა და დაასრულოს ენერგომატარებლების მარშრუტების კონკურენცია.**

ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთში გამოძახილი ჰპოვა სამხრეთ კავკასიაშიც. საქართველოს ხელისუფლებას პოზიტივში უნდა ჩაეთვალოს, რომ დასავლეთის მიერ გამოცხადებულ სანქციებს არ მიუერთდა. **ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის ვითარებაში მოხერხდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან, აბაშიძე-კარასინის ფორმატის დიპლომატიურ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ მხრივ გასაფართოებელია სექტორთა ნუსხა, რომლებსაც ეს თანამშრომლობა შეეხება.** ცხადია, სარკინიგზო მაგისტრალის ცალკე აღებულ აფხაზეთის მონაკვეთზე მსჯელობა რთულია, რადგან ამას პოლიტიკურ საკითხთა მოუგვარებლობა უშლის ხელს, მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება შექმნის შესაძლებლობას, ახლო მომავალში პოლიტიკური პრობლემების დაძლევისკენ ვიაროთ.

**უახლოეს პერსპექტივაში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ვერ მოიტანს იმ ეკონომიკურ ეფექტს, რომელსაც ასე მოელის ჩვენი ხალხი. ამისთვის ჩვენ უამრავი რეფორმა და ინსტიტუციური მშენებლობა გვჭირდება. ამასთანავე, უახლოეს მეზობლებთან ეკონომიკური კავშირებისა და თანამშრომლობის გაღრმავება უაღესად მნიშვნელოვანია, რათა მოსახლეობის საჭიროებები დაკმაყოფილდეს.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მეზობელი ქვეყნები სხვადასხვა ინტეგრაციულ პროექტებში მონაწილეობენ და ამ ვითარებაში ჩვენ უნდა მოვახერხოთ, ეს ფაქტორი არა დაპირისპირების, არამედ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის გამოვიყენოთ.

**ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყველაზე მძიმე პრობლემად რჩება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ხშირად ისმის, რომ რუსეთი ამ აღიარებას უკან ვერ წაიღებს, რაც ურთიერთობის ნორმალიზაციის მიმართ სკეფსისს აღრმავებს. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან არაერთხელ გაკეთებულ განცხადებას, რომ აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დაწყება, სათანადო ინტერესი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ მოჰყოლია. ასევე, უყურადღებოდ დარჩა პრეზიდენტ პუტინის განცხადება, რომ არ არსებობს გადაუჭრელი საკითხები ორი ქვეყნის ურთიერთობებში.**

თუმცა, თუ გავიხსენებთ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გამოთქმულ პოზიციას საქართველოს პოზიტიური როლის შესახებ ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ნათელი ხდება, რომ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში ორივე ქვეყნის სამსახურები გარკვეულ საკითხებში თანამშრომლობენ.

**ასეთივე უნდა იყოს თანამშრომლობა „ისლამური სახელმწიფოსა“ და საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეების გასანეიტრალებლად, ვინაიდან არც ერთ ქვეყანას დამოუკიდებლად ამ საფრთხეების დაძლევა არ შეუძლია, ხოლო რუსეთის გამოცდილება, ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით, ფასეულია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დასავლეთის სახელმწიფოებისთვისაც.**

მსგავსი საექსპერტო კონფერენციების იშვიათობა დაღს ასვამს ორი ქვეყნის ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ ხედვების ჩამოყალიბებას. **ერთმანეთისგან იზოლირებული მხარეები ვერასოდეს შეიმუშავებენ საერთო მიდგომებს, რომელთა გარეშეც ურთიერთობის ნორმალიზაცია და კონფლიქტების მოგვარება უაღრესად გართულდება. კონფერენციის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საექსპერტო შეხვედრები და კონფერენციები რეგულარულ ხასიათს მიიღებს.**

**ნატა ხორავა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენი ქვეყანა გმირების სამშობლო გახდა. საქართველოს 164 შვილს სამამულო ომის გმირის წოდება მიენიჭა. მათგან ზოგი ბრძოლის ველზე დარჩა, ზოგს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის ოქროს ვარსკვლავი, რომელიც მის ოჯახს გადაეცა; უმეტესობამ კი — სიკვდილამდე ატარა.**



# დიდი სამამულო ომის გმირები საქართველოდან

**საბჭოთა კავშირის გმირებზე, ამ ლეგენდადქცეულ ადამიანებზე, რომლებმაც კაცობრიობა იხსნეს კაციჭამია ჰიტლერელებისაგან, უამრავი ლექსი, ნოველა თუ რომანი დაიწერა; შეიქმნა მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, მხატვრული ტილოები; მოქანდაკეები ძერწავდნენ და აქანდაკებდნენ ბრძოლებში დაცემულ თუ გვერდით მედარ ოქროს ვარსკვლავებით მკერდამშვენებულ რაინდებს. ბავშვები სკოლის მერხებიდან ვემზადებოდით გმირობისათვის, სამშობლოსათვის თავის გასაწირად. ხშირად ომის გმირები საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომის გმირებიც ხდებოდნენ. ჩვენი ქვეყანა გმირების სამშობლო გახდა. საქართველოს 164 შვილს სამამულო ომის გმირის წოდება მიენიჭა. მათგან ზოგი ბრძოლის ველზე დარჩა, ზოგს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის ოქროს ვარსკვლავი, რომელიც მის ოჯახს გადაეცა; უმეტესობამ კი — სიკვდილამდე ატარა. სამარადისო დიდება გმირებს!**



**აი ისინიც:**

**ადამია ნოე პეტრეს ძე** (1917-1942) — წულუკიძის რაიონის სოფელი მათხოჯი. 1942 წლის 24 ივნისს სევასტოპოლის გმირულ დაცვაში გამოჩენილი მამაცობისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება;

**ავალიანი ლავრენტი ივანეს ძე** (1923-1943) — წყალტუბოს რაიონის სოფელი გუმათი. 1943 წლის 1 ნოემბერს (სიკვდილის შემდეგ) უკრაინისათვის გამართულ ბრძოლაში, უმაგალითო მამაცობისთვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ალფაიძე გალაქტიონ ელისეს ძე** (1916-2006) — ტყიბულის რაიონის სოფელი კურსები. 1945 წლის 28 აპრილს ბალატონის ტბასთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ასკაროვი ალექსი ალექსის ძე** (1901-1971) — ქალაქი თბილისი. 1943 წლის 10 ოქტომბერს კიევის ოლქში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ასლამაზიშვილი სურენ არტემის ძე** (1914-1970) — კასპის რაიონის სოფელი კავთისხევი. 1944 წლის 22 თებერვალს დნეპრზე გამართულ ბრძოლებში მიენიჭა გმირის წოდება;

**ასრიანი აშოტ მინასის ძე** (1920-უცნობია) — ქალაქი თბილისი. 1944 წლის 2 ნოემბერს ფინელებთან ბრძოლისას გამოჩენილი უმაგალითო მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გალი ნიკოლოზ ვასილის ძე** (1913-უცნ.) — ქალაქი თბილისი. 1944 წლის 10 იანვარს დნეპრთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბარციცი რაჟდენ მიხეილის ძე** (1921-უცნ.) — ქალაქი გაგრა. 1944 წლის 16 მაისს „მცირე მიწაზე" თავგანწირული ბრძოლისთვის მიენიჭა გმირის წოდება.

**ბაქრაძე დავით ილიას ძე** (1912-1977) — ხარაგაულის რაიონის სოფელი ბორითი. 1944 წლის 9 აგვისტოს პარტიზანულ ბრძოლებში გამოჩენილ მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბახტაძე გიორგი გიორგის ძე** (1916-1957) — ხონი. 1944 წლის 4 ივნისს დნეპრის გადალახვისა და ხერსონის გათავისუფლებისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე** (1914-1944) ჩოხატაური. 1943 წლის 24 აგვისტოს სტალინგრადის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბერია ნიკოლოზ დიტტოს ძე** (1925-1968) — სოხუმის რაიონის სოფელი ოდიში. 1943 წლის 17 ნოემბერს ქერჩის ნახევარკუნძულზე გააფთრებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბეროშვილი ვლადიმერ ლევანის ძე** (1907-1943) — გურჯაანის რაიონი სოფელი კარდენახი. 1943 წლის 16 ნოემბერს დნეპრის გადალახვის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბერუაშვილი გიორგი ივანეს ძე** (1916-1943) — თბილისი. 1944 წლის 10 იანვარს დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბიბილაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე** (1916-1944) — ზესტაფონის რაიონი სოფელი ქვედა საქარა. 1945 წლის 24 მარტს ლიტვის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბილანიშვილი გიორგი ივანეს ძე** (1917-1970) — თბილისი. 1944 წლის 10 იანვარს კიევის ოლქის ივანკოვოს რაიონში სისხლისმღვრელ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბოსტანჯიანი მიგრან მიგრანის ძე** (1913-1958) — სოხუმის რაიონის სოფელი ზემო ეშერა. 1944 წლის 22 თებერვალს დნეპრის გადალახვისას წარმოებულ სისხლისმღვრელ ომში გამოჩენილ მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბუაჩიძე გრიგოლ მიხეილის ძე** (1916-1943) — ხარაგაულის რაიონის სოფელი ფარცხნარი. 1943 წლის 21 ოქტომბერს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გამართულ ბრძოლებში თავგანწირვისა და მამაცობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება;

**ბუგაევი ალექსანდრე ლავრენტის ძე** (1909-1950) — ბათუმი. 1945 წლის 24 მარტს მდინარე ნარვის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბუკია აკაკი კონსტანტინეს ძე** (1914-1975) — ზუგდიდის რაიონის სოფელი ძველი აბასთუმანი. 1945 წლის 24 მარტს მდინარე პრუტზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ბულგაკოვი ანდრია ალექსის ძე** (1913-უცნ.) — გორის რაიონი. 1944 წლის 22 თებერვალს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირვისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გაბლია ვარლამ ალექსის ძე** (1902-უცნ.) — ოჩამჩირის რაიონი სოფელი ტამიში. 1946 წლის 15 მაისს უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილ მამაცობისათვის მნიენიჭა გმირის წოდება;

**გაბრიაძე გრიგოლ ივანეს ძე** (1917-1944) — ტყიბულის რაიონი სოფელი ძუყნური. 1945 წლის 24 მარტს ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გავრილოვი კუზმა ანტონის ძე** (1922-უცნ.) — თბილისი. 1944 წლის 10 იანვარს მდინარე დნეპრის გადალახვისას ცხარე ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გალუსტაშვილი სოკრატე ალექსის ძე** (1920-უცნ.) — გორის რაიონი სოფელი უფლისციხე. 1944 წლის 3 ივნისს რუმინეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გამცემლიძე შოთა ლევანის ძე** (1922—1945) — თბილისი. 1945 წლის 24 მარტს აღმოსავლეთი პრუსიის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გარანიანი ერვანდ გევორქის ძე** (1903-უცნ.) — გაგრის რაიონის სოფელი ბაღნარი. 1944 წლის 15 იანვარს უკრაინის ქალაქ ჩერნიგოვის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გარინი ბორის ივანეს ძე** (1921-უცნ.) — სოხუმი. 1944 წლის 4 თებერვალს ხარკოვთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გახოკიძე მიხეილ ლევანის ძე** (1909-1973) — გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილი) რაიონის სოფელი ქვაითი. 1942 წლის 20 ივნისს სევასტოპოლის დაცვისათვის გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გეგეშიძე არკადი სპირიდონის ძე** (1902-1974) — სამტრედიის რაიონის სოფელი მელაური. 1942 წლის 23 ოქტომბერს სევასტოპოლის დაცვისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გერასიმჩუკი დავით ივანეს ძე** (1913-უცნ.) — თბილისი. 1945 წლის 29 ივნისს კენიგსბერგისა და ზემლანდის დაჯგუფებათა განადგურებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გვანცელაძე ვლადიმერ ვასილის ძე** (1919-1970) — წყალტუბოს რაიონი სოფელი უკანეთი. 1944 წლის 3 ივნისს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გვენცაძე ივანე ნიკოლოზის ძე** (1907-1944) — ამბროლაურის რაიონი სოფელი ბარეული. 1944 წლის 30 იანვარს დნეპრის გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება.

**გოგიჩაიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე** (1903-1945) — ლანჩხუთის რაიონის სოფელი ნიგვზიანი. 1942 წლის 12 დეკემბერს ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება.

**გონტარი კონსტანტინე მიხეილის ძე** (1921-უცნ.) — სოხუმის რაიონი. 1944 წლის 2 ნოემბერს ქალაქ კირკენესის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გორბაჩევი მიხეილ ნიკიფორეს ძე** (1917-1955) — თბილისი. 1944 წლის 13 მარტს საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გორბაჩევსკი ალექსანდრე ივანეს ძე** (1918-უცნ.) — ბათუმი. 1944 წლის 4 თებერვალს ვოლხოვთან ▶



## საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია!

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა გადამწყვეტ შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ჩინეთის ნაკრები ანგარიშით 2,5:1,5 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.** მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ქართველ მოჭადრაკეებს ყაიმიც ჰყოფნიდათ. სამი პარტია ყაიმით დასრულდა, ხოლო ერთ პარტიაში გამარჯვება საქართველოს ნაკრების გუნდის წევრმა მერი არაბიძემ მოიპოვა. საქართველოს ნაკრებმა 17 ქულა მოიპოვა და ჩემპიონატზე, რუსეთთან ფრედ დამთავრებული მატჩის გარდა, ყველა შეხვედრა მოიგო.





## საბჭოთა კავშირის გმირებზე, ამ ლეგენდადქცეულ ადამიანებზე, რომლებმაც კაცობრიობა იხსნეს კაციჭამია ჰიტლერელებისაგან, უამრავი ლექსი, ნოველა თუ რომანი დაიწერა; შეიქმნა მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, მხატვრული ტილოები; მოქანდაკეები ძერწავდნენ და აქანდაკებდნენ ბრძოლებში დაცემულ თუ გვერდით მდგარ ოქროს ვარსკვლავებით მკერდამშვენებულ რაინდებს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გოცირიძე გიორგი გიორგის ძე** (1910-უცნ.) — საგარეჯოს რაიონის სოფელი ყანდაურა. 1943 წლის 25 ოქტომბერს მდინარე დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი გამჭრიახობისა და თავგანწირვისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გრიგორიანი სერგო ვართანის ძე** (1923-1943) — თეთრიწყარო. 1943 წლის 20 დეკემბერს დნეპროპეტროვსკში გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირვისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გუბელაძე ვლადიმერ იასონის ძე** (1921-1943) — მაიაკოვსკის (ბაღდათი) რაიონის სოფელი ზეკარი. 1944 წლის 22 თებერვალს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**გურგენიძე ალექსანდრე ერმალოზის ძე** (1916-1975) — ამბროლაურის რაიონის სოფელი ხოტევი. 1945 წლის 6 მარტს საჰაერო ბრძოლების ბრწყინვალედ ჩატარებისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**დანელია ამირან იოსების ძე** (1923-უცნ.) — ფოთი. 1945 წლის 10 აპრილს დასავლეთის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**დარბინიანი ლეონ ოჰანეზის ძე** (1905-1943) — ახალქალაქის რაიონის სოფელი ალასტანი. 1944 წლის 10 იანვარს კოროსტიშევისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**დემეტრაშვილი ივანე გაბრიელის ძე** (1910-1945) — თეთრიწყაროს რაიონის სოფელი დიდი თონეთი. 1945 წლის 31 მაისს ბერლინის აღებისათვის ბრძოლებში გამოვლენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**დერმანოვსკი გიორგი დიმიტრის ძე** (1924-1944) — სოხუმი. 1945 წლის 19 აპრილს ქალაქ ნიკოლაევის გათავისუფლების ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**დიასამიძე მიხეილ სტეფანეს ძე** (1913-უცნ.) — ვანის რაიონის სოფელი გაღმა ვანი. 1942 წლის 22 დეკემბერს ვერხნი კუმსკის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირვისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**დუპლი ივანე მინას ძე** (1915-უცნ.) — ქუთაისი. 1944 წლის 3 ივნისს მდინარე დნეპრის დასავლეთის ნაპირზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ესებუა ვლადიმერ მიხეილის ძე** (1917-უცნ.) — ზუგდიდის რაიონის სოფელი გრიგოლიში. 1943 წლის 17 ნოემბერს ქერჩის სადესანტო ოპერაციისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ვაგინი ლეონიდე ივანეს ძე** (1905-უცნ.) — თბილისი. 1945 წლის 6 აპრილს მდინარე ბუგის გადალახვისას წარმოებულ ომებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ვანციანი ვაჩაგან უნანის ძე** (1913-1944) — ახალქალაქის რაიონის სოფელი ზაქვი. 1945 წლსი 8 აპრილს მდინარე ოდერის ნაპირებზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირვისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ვლადიმიროვი ბორის ალექსანდრეს ძე** (1905-უცნ.) — თბილისი. 1945 წლის 6 აპრილს ქალაქ შნაიდემიულეში ჩატარებულ ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ზაცეპა ლევ გრიგოლის ძე** (1916-უცნ.) — თბილისი. 1945 წლის 23 თებერვალს მორკოვიცეს რაიონში საჰაერო ბრძოლებში ბრწყინვალე გამარჯვებისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ზუბალოვი ფეოფილაქტე ანდრიას ძე** (1915-უცნ.) — წალკის რაიონის სოფელი გუნია-ყალა. 1943 წლის 20 დეკემბერს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ზუბკოვი ივანე სიდორეს ძე** (1914-უცნ.) — სოხუმი. 1944 წლის 23 სექტემბერს ვისლის ნაპირებთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ზუმბულიძე ბაგრატ ზაქარიას ძე** (1905-უცნ.) — გორი. 1944 წლის 29 ივნისს ზემლანდის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**თავაძე დავით ელიზბარის ძე** (1916-უცნ.) — ლანჩხუთის რაიონის სოფელი აცანა. 1944 წლის 19 აგვისტოს ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**თვაური გიორგი ივანეს ძე** (1920-უცნ.) —კასპის რაიონის სოფელი წინარეხი. 1945 წლის 23 თებერვალს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ივანოვი ნიკოლოზ ივანეს ძე** (1923-1943) — თბილისი. 1942 წლის 22 თებერვალს სოფელ ბოროდაევკას დაკავებისათვის მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ინასარიძე გიორგი მოსეს ძე** (1920-უცნ.) — ორჯონიკიძის( ხარაგაულის) რაიონის სოფელი მარელისი. 1945 წლსი 18 აგვისტოს კენისბერგის დაჯგუფების განადგურებაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;



**იოსელიანი იაროსლავ კონსტანტინეს ძე** (1912-უცნ.) მესტიის რაიონის სოფელი ლიხირი. 1944 წლის 16 მაისს საბრძოლო ლაშქრობაში გამოვლენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**იუმაშევი ივანე სტეფანეს ძე** (1895-1972) — თბილისი. 1945 წლის 14 სექტემბერს იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**იშჩენკო ივანე მიტროფანეს ძე** (1912-უცნ.) — კასპის რაიონი. 1944 წლსი 22 ივნისს დასავლეთ დვინის გადალახვისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**იუფეროვი ნიკოლოზ პეტრეს ძე** (1922-უცნ.) — გორის რაიონი. 1945 წლს 6 მაისს სარდლობის დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კაზინეცი ისაი პავლეს ძე** (1910-1942) — ბათუმი. 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით ბელორუსიაში იატაკქვეშა პარტიულ ჯგუფში გამოჩენილი უმაგალითო პატრიოტიზმისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კანანაძე ალექსანდრე გიორგის ძე** (1916-უცნ.) — ქალაქი კროპოტკინი. 1944 წლის 16 მაისს სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კანკავა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე** (1913-1942) — გეგეჭკორის (მარტვილი) რაიონის სოფელი სერგიეთი. 1942 წლის 13 დეკემბერს ყაბარდო-ბალყარეთის გათავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კეთილაძე სერგო პოლიკარპეს ძე** (1910-1942) — ზესტაფონი. 1943 წლის 10 თებერვალს დიდვინოსა და მილაევკას გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოვლენილი ვაჟკაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კვაჭანტირაძე ვასილ შალვას ძე** (1907-1950) — მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელი კონჭკათი. 1945 წლის 24 მარტს ლატვიის დედაქალაქ რიგის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კილასონია გერმანე ვლადიმერის ძე** (1913-1970) — ფოთი. 1945 წლის 9 მაისს კენისბერგისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კობერიძე ერმალოზ გრიგოლის ძე** (1904-1974) ონის რაიონი სოფელი ცხმორი. 1945 წლის 6 აპრილს მდინარე ვისლას გადალახვისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კობლოვი სერგო კონსტანტინეს ძე** (1915-1954) ყაზბეგის რაიონის სოფელი უხათი. 1943 წლის 14 თებერვალს საჰაერო ბრძოლებში თავგანწირვისა და მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კოვალი დიმიტრი ივანეს ძე** (1918—უცნ.) — საგარეჯო. 1943 წლის 24 მაისს საჰაერო ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება

**კოზონოვი სარდიონ დავითის ძე** (1911-უცნ.) — ქარელის რაიონის სოფელი სუქანაანთუბანი. 1943 წლის 21 ოქტომბერს მდინარე დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლებში გამოცენილი საზრიანობისათვის მიენიჭა გმირის წოდება.

**კოკოსკერია იასონ ბასიათის ძე** (1914-უცნ.) გაგრის რაიონის სოფელი კალდახვარა. 1945 წლის 24 მარტს დნეპრის, დნესტრის, პრუტისა და ტისის გადალახვისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კოტანოვი თევდორე ევგენის ძე** (1914 – უცნ.) წალკის რაიონის სოფელი ნეონ-ხარაბა. 1945 წლის 20 აპრილს რუმინეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კოპცოვი ვასილ ალექსის ძე** (1904-1943) — თბილისი. 1939 წლის 17 ნოემბერს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**კრასავინი კონსტანტინე ალექსის ძე** (1917-უცნ.) — თბილისი. 1946 წლის 15 ივნისს საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი თავგანწირვისა და მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ლებედევი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე** (1914-უცნ.) — ახალქალაქის რაიონი. 1943 წლის 1 თებერვალს დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლაში მიენიჭა გმირის წოდება;

**ლელაძე გიორგი დავითის ძე** (1919-უცნ.) — თერჯოლის რაიონის სოფელი საზანო. 1945 წლის 10 მაისს ვარშავაში გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ლეჟავა ვახტანგ აკაკის ძე** (1923-1944) — თბილისი. 1944 წლის 13 სექტემბერს ბოლშაია კოსტრომასთან მიმდინარე ცხარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ლესელიძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე** (1923-1944) — მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელი ხვარბეთი. 1944 წლის 21 ივლისს მდინარე სვირზე ფინელებთან გამართულ სისხლისმღვრელ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე** (1903-1944) მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელი ხვარბეთი. 1971 წლის 13 მაისს, როგორც გამოჩენილ მხედართმთავარს, მიენიჭა გმირის წოდება;

(დასასრული შემდეგ ნომერში)



## აშშ-ის ყოფილი ელჩი: ყირიმის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში უკვე ისტორიული ფაქტია!

**რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი მაიკლ ენტონი მაკფოლი ყველას მოუწოდებს, „ნუ მოსთხოვენ ამერიკელებს იმაზე მეტს, ვიდრე საკუთარ თავს“ და რეალისტურად შეხედონ უკვე მომხდარ ისტორიულ ფაქტს — ყირიმის გადასვლას რუსეთის შემადგენლობაში. ყოფილმა ელჩმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ ამერიკელები უკრაინისთვის არ იომებენ.**

„ყირიმის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში — ეს უკვე ისტორიული ფაქტია და უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები რეალისტები უნდა იყვნენ“, — განაცხადა რუსეთში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა **მაიკლ ენტონი მაკფოლმა** გამოცემა „უკრაინსკაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„არ მინდა, რომ ადამიანებმა გადაჭარბებით შეაფასონ დასავლეთის შესაძლებლობები. სამხედრო ოპერაციას ჩვენ (აშშ-ის ხელისუფლება — რედ.) არ დაიწყებს, ეს ნათელია. ამერიკელები მზად არ არიან ყირიმისთვის საბრძოლველად, არც პოლონეთისთვის, არც უნგრეთისთვის და არც ჩეხოსლოვაკიისთვის. ეს, უბრალოდ, ისტორიული ფაქტია. ამ მხრივ რეალისტები უნდა ვიყოთ.

ხანდახან მგონია, რომ ეს ადამიანები (უკრაინელები — რედ.) უფრო მეტს ითხოვენ ამერიკელებისგან, ვიდრე საკუთარი თავისგან“, — განაცხადა მაკფოლმა.



## 26 მაისს სამხედრო აღლუმი არ გაიმართება

**საქართველოს მთავრობამ 9 და 26 მაისის აღნიშვნის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. როგორც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმი არ იქნება, თუმცა გაიმართება საზეიმო ღონისძიებები.**

„საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება საშუალება, მონაწილეობა მიიღოს როგორც 9 მაისს, ისე 26 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებში. ვფიქრობ, ორივე თარიღი სახელმწიფო ზეიმის ტოლფასი გახდება. 26 მაისს აღლუმი არ იქნება, მაგრამ იქნება ფიცის დადების ცერემონია, რომლის ტრადიციაც ბოლო 2 წლის განმავლობაში დავამკვიდრეთ და თავისუფლების მოედანზე გაიმართება“, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა. მისივე ინფორმაციით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებაც მოეწყობა, მათ შორის, რუსთაველის გამზირზე განლაგებული იქნება ყველა სამინისტრო თავიანთი პროექტებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს სამხედრო აღლუმი, უკვე მესამე წელია, აღარ იმართება.



უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო 25 წლის განმავლობაში ბალტიისპირეთმა ორ მილიონამდე მცხოვრები დაკარგა. რეგიონის მოსახლეობა თითქმის ერთი მეოთხედით შემცირდა! თანამედროვე ევროპისთვის უპრეცედენტო მაჩვენებელია: ევროკავშირის ერთ-ერთ რეგიონში ნამდვილი დემოგრაფიული კატასტროფაა — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ისეთი მასშტაბით მიმდინარეობს, რომ სათუოს ხდის ამ ქვეყნების მომავალს.**

**ამ წიგნის ანოტაციაში წერია, რომ რეგიონი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო წარმატებულად იყო მიჩნეული, ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ორმაგ პერიფერიად იქცა, მივარდნილ გარეუბნად ევროპისა. ახლა ეს ქვეყნები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ გეოპოლიტიკური ბუფერის როლი ვლადივოსტოკსა და ლისაბონს შორის, ერთგვარ ხიდად გადებულიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღარავის აინტერესებს.**
**ინტერესის დაკარგვას კი შედეგად მოჰყვა ადგილობრივი ეკონომიკის დეგრადაცია და სოციალური დონის მკვეთრი დაქვეითება. მიგრაციის ტალღა ისე გაძლიერდა, რომ ბალტიისპირეთი დღეს სწრაფად ცარიელდება. ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში (რაც შექმნილ ვითარებაში რეალური და გარდაუვალია), რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ეს, ერთ დროს აყვავებული და ფეხზე მყარად მდგარი ქვეყნები (რომელთა სასარგებლოდ დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკა მუშაობდა), დაუსახლებელ ტერიტორიებად იქცევა. სამწუხაროა!**
**მაგრამ ასეთია ბალტიისპირეთის არჩევანი.**
**აღნიშნული წიგნის გადმოქართულებული ვარიანტი არამც და არამც არ არის (მიახლოებულიც კი) ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საშინაო საქმეებში რაიმე ფორმით ჩარევის მცდელობა. მკითხველებს ამ ნაშრომს ვთავაზობთ ერთადერთი მიზნით — გასაანალიზებლად და გასათვალისწინებლად ამ პერსპექტივისა, რომელიც შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, თუ ბალტიის სახელმწიფოების გზას ავირჩევთ. შეცდომები ისედაც საკმარისად დავუშვით...**

ალექსანდრე ნოსოვიჩი:

# ევროპის მივარდნილი გარეუბანი




## რატომ კვდება ბალტიისპირეთი

### თავი I

### დროა, გავასწროთ: ევაკუაცია სოციალურ-ეკონომიკური უბედურების ზონიდან

**ვინც ბოლო გაფრინდებით, არ დაგავიწყდეთ აეროპორტში სინათლის გამორთვა!**
***ბალტიისპირული ხუმრობა***

ბალტიისპირეთი რეგიონია, რომელიც სწრაფად ცარიელდება. ბალტიის ქვეყნების ეფექტიანი განვითარების ნებისმიერ მოდელს უსაფუძვლოს ხდის მასობრივი მიგრაცია. ბალტიის ზღვის სანაპიროს ამ ზოლში გუდა-ნაბადის აკვრის ასეთი ტემპი არასოდეს ყოფილა: ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოსახლეობა თვალსა და ხელს შუა დნება და ევროკავშირის ქვეყნებისკენ მიიწრიტება. ახალგაზრდობის უმრავლესობა ოცნებობს, დატოვოს სამშობლო, ასობით ათასი ადამიანი უკვე გადასახლდა სხვა ქვეყნებში.

**ბალტიისპირეთის დეპოპულაცია: ევროკავშირის მიგდებული გარეუბანი**

საბჭოთა კავშირისდროინდელი აღწერით, 1989 წელს ბალტიისპირეთში ცხოვრობდა 8 მილიონამდე ადამიანი. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სტატისტიკური სამსახურების ცნობით, ამჟამად იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობს 6,1 მილიონი მოქალაქე.

ანუ: **ბოლო 25 წლის განმავლობაში ბალტიისპირეთმა ორ მილიონამდე მცხოვრები დაკარგა. რეგიონის მოსახლეობა თითქმის ერთი მეოთხედით შემცირდა! თანამედროვე ევროპისთვის უპრეცედენტო მაჩვენებელია: ევროკავშირის ერთ-ერთ რეგიონში ნამდვილი დემოგრაფიული კატასტროფაა — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ისეთი მასშტაბით მიმდინარეობს, რომ სათუოს ხდის ამ ქვეყნების მომავალს.**

გარე სამყაროსთვის ბალტიისპირეთის ტრაგედია შეუმჩნეველია — არც არავის აინტერესებს. მაგრამ ამის გამო საკუთრივ ლიტვისთვის, ლატვიისა და ესტონეთისთვის სიტუაცია ნაკლებად დრამატული ვერ იქნება და არც არის, რადგან, არც მეტი, არც ნაკლები, საქმე ეხება ეროვნულ კატასტროფას. **ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს ხელიდან ეცლება ადამიანური კაპიტალი: მოსახლეობის შემცირების პროცესის ამჟამინდელი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში (პროცესს კი შენელების არაფერი ეტყობა), ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით, აქ მხოლოდ ტერიტორიები დარჩება.**

მსოფლიოს ისტორიაში ასეთი დემოგრაფიული კატასტროფების მიზეზი იყო ომები, ეპიდემიები და ტერიტორიების დაკარგვა. მაგრამ „ბალტიისპირელი სამი და“ საბჭოთა კავშირიდან პრაქტიკულად უსისხლოდ გავიდა, დამოუკიდებლობისთვის არ უომიათ, მთელი ტერიტორია შეინარჩუნეს, ხოლო მასობრივი ეპიდემიებიდან XX საუკუნის ევროპაში მხოლოდ გრიპი იყო შემორჩენილი. ამის მიუხედავად, **დამოუკიდებლობის ორი ათეული წლის განმავლობაში ლიტვამ მილიონი მოქალაქე დაკარგა — იყო 3,7 მილიონი, დარჩა 2,7 მილიონი — მინუს 27 პროცენტი.**

ლატვიის მოსახლეობის რაოდენობამ ახლახან გადალახა „ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი ზღვარი“: 2014 წელს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ აღიარა, რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა უკვე 2 მილიონზე ნაკლებია. **დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტისთვის ლატვიაში ცხოვრობდა 2,7 მილიონი ადამიანი, მაშასადამე, საერთო რაოდენობა 26 პროცენტით შემცირდა.**

ასეთი დრამატული არა, მაგრამ მაინც საგრძნობია **ესტონეთის მოსახლეობის კლება: იყო 1,5 მილიონი, დარჩა — 1,3 მილიონი, ანუ ქვეყანამ დაკარგა თავისი მოსახლეობის 13 პროცენტი.**

ბალტიისპირეთი არასოდეს ყოფილა მჭიდროდ დასახლებული რეგიონი, მაგრამ რაოდენობრივი კლების ასეთი ტემპი იქ არასოდეს აღნიშნულა. რეგიონის მოსახლეობის სიმჭიდროვე ამჟამად 39 ადამიანია ერთ კვადრატულ კილომეტრზე. ამ მონაცემით ბალტიის ქვეყნები მსოფლიოს ქვეყნების მეორე ასეულში იმყოფება, ევროპაში კი მათზე ნაკლები სიმჭიდროვით ხასიათდება მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნები... ევროპის ქვეყნებიდან სხვა დროსაც და სხვა პირობებშიც გარბოდა მოსახლეობა: ირლანდიელები, იტალიელები, შვედები, პორტუგალიელები თავიანთ ქვეყნებს ტოვებდნენ მაშინ, როცა იქ მოკვდავობა მნიშვნელოვნად აჭარბებდა შობადობას, ხოლო ხელისუფლება იდეოლოგიური მოტივებით არ ინტერესდებოდა სოციალური პოლიტიკით.

ამჟამად ხდება ისე, რომ **ქვეყნები, რომლებშიც ჩადიან ბალტიისპირელები — დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, მშობლიური, დემოკრატიულად არჩეული ლიდერებისგან განსხვავებით, ჩასვლისთანავე უზრუნველყოფენ ლატვიელებს/ლიტველებს „სოციალური პაკეტებით“** *(რაზეც ლაპარაკი გვექნება VII თავში).*

მიგრაციის სტატისტიკური შედეგი ასეთია: **175 ათას კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობს 6,1 მილიონი ადამიანი. მოსახლეობის გადინება არ შეჩერებულა.**

ბალტიისპირეთს სამხრეთით ესაზღვრება 38-მილიონიანი პოლონეთი, აღმოსავლეთით — 142 მილიონიანი რუსეთი, ჩრდილოეთით — ბალტიის რეგიონის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი სკანდინავიაა.

ლატვიელი დემოგრაფის **პეტერის ზვიდრინშის** გათვლით, მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა: ნორვეგიაში — 8,3 პროცენტით, შვედეთში — 5,4 პროცენტით, ფინეთში — 3,5 პროცენტით, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმიგრაციასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე — სკანდინავიის სახელმწიფოების სოციალური პოლიტიკის განსაკუთრებულობასთან. მოსახლეობის გადინების რეკორდსმენებად ლიტვა და ლატვია წარმოგვიდგა, რაც, თავის მხრივ, მიგრაციის და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მიერ სოციალური პოლიტიკის იგნორირების შედეგია.

წარმატებული მეზობლებით გარშემორტყმულ მიგდებულ გარეუბნად იქცა ბალტიისპირეთი.

სხვადასხვა გზით ვითარდებოდნენ ეს ქვეყნები — ნორვეგია და ბელარუსი, რუსეთი და ფინეთი, შვედეთი და პოლონეთი. მაგრამ ამ განსხვავებულობასთან ერთად ისინი მსგავსნი არიან იმით, რომ იქ ისტორია არ გაჩერებულა. შეიძლება თუ არა იგივე ვთქვათ ლიტვაზე, ლატვიასა და ესტონეთზე?

არა. რადგან პირველი შთაბეჭდილება, რომელიც გვიჩნდება მათი გაცნობისას, გაჩერებული დროის განცდაა. **აღმოსავლეთ ლიტვაში ყოფნისას ნებისმიერ ადამიანს ეგონება, რომ ნეიტრონული ბომბის აფეთქების ზონაში აღმოჩნდა: დარჩენილია ქალაქები, შენობები, ქუჩები, ადამიანები კი არსად ჩანან. გასაკვირი არ არის ასეთი ასოციაცია: დაუგავპილსში 130 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ამჟამად 90 ათასია; რეზეკნეში — 43 ათასი იყო, ამჟამად 32 ათასია; ლიეპაიეში 114 ათასი მოქალაქე ცხოვრობდა, ამჟამად — 80 ათასია; ეკაბპილსში, შესაბამისად, — 31 და 24 ათასი.**

მოსახლეობის ბოლო აღწერით, ლატვიაში საცხოვრებე-

**2011 წელს ლიტვიდან წავიდა 54 ათასი ადამიანი, 2012 წელს — 41 ათასი, 2013 წელს — 39 ათასი. ეს რიცხვები რომ შევაჯამოთ, გამოვა, რომ გასულ მეოთხედ საუკუნეში ქვეყანა დატოვა 750 ათასმა ადამიანმა. ასეთია ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, რომლებიც რეალობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება, რადგან ქვეყნიდან წასული ადამიანები ყოველთვის როდი აცხადებენ ლიტვის საზღვრის გადაკვეთის ჭეშმარიტ მიზნებს. ემიგრანტთა რეალური რაოდენობა მილიონს უახლოვდება**

მოკლედ

## რუსეთი აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილეებს «აფრთხილებს»

**რიგის სამიტამდე ერთი თვით ადრე რუსეთის ხელისუფლება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილეებს აფრთხილებს. განცხადების ავტორი ქვეყნის პირველი დიპლომატის მოადგილეა, რომელიც რუსეთისგან მოსალოდნელ მკაცრ რეაქციაზე მიანიშნებს.**

სააგენტო „იტარ-ტასის“ ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებული კომენტარის მიხედვით, თუ მაისის ბოლოს ლატვიაში დაგეგმილ სამიტზე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა კიდევ უფრო განვითარდება, ოფიციალური მოსკოვის პასუხი უკიდურესად ნეგატიური იქნება — და ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სამიტის დროს ვიზა-ლიბერალიზაციის შესახებ კონკრეტული მოლოდინი აქვს.

მანამდე კი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული პოლიტიკოსები და ექსპერტები სამიტის მოსამზადებელ ბოლო შეხვედრებს მართავენ და საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევენ.



უახლესი ისტორია

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღმოსავლეთ ლიტვაში ყოფნისას ნებისმიერ ადამიანს ეგონება, რომ ნეიტრონული ბომბის აფეთქების ზონაში აღმოჩნდა: დარჩენილია ქალაქები, შენობები, ქუჩები, ადამიანები კი არსად ჩანან. გასაკვირი არ არის ასეთი ასოციაცია: დაუგავპილისში 130 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ამჟამად 90 ათასია; რეზეკნეში 43 ათასი იყო, ამჟამად 32 ათასია; ლიეპაიეში 114 ათასი მოქალაქე ცხოვრობდა, ამჟამად — 80 ათასია; ეკაბპილსში, — შესაბამისად, 31 და 24 ათასი.**

ლი სახლების 21 პროცენტი ცარიელია.

ესტონეთში „ყველაზე უფრო რუსული“ ქალაქი ნარვა 1989 წელს 81 ათას მცხოვრებს ითვლიდა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ 62 ათასიღა დარჩა. ესტონეთის „ყველაზე უფრო ესტონურ“ ქალაქ ტარტუში 25 წლის წინათ 114 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ამჟამად 92 ათასია. კაუნასში, ლიტვის ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს ქალაქთაგან ერთ-ერთში, 423 ათასი მცხოვრები იყო აღრიცხული, ამჟამად მხოლოდ 300 ათასია, კლაიპედაში 207 ათასი იყო, ამჟამად 157 ათასი დარჩა.

ლაპარაკია შედარებით მნიშვნელოვან ქალაქებზე, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებსა და სოფლებში, სადაც მოსახლეობა განახევრებულია, დეპრესიული მდგომარეობაა და ახალგაზრდობისგან სრულად არის დაცლილი. მოსახლეობის უმრავლესობა აქ კი არ ცხოვრობს, არამედ ცხოვრებას ამთავრებს და არავითარ სიახლეს არ ელოდება.

შეიძლება შეგვეკამათონ, რომ პროვინციის დეგრადაციის საშიში სურათი მხოლოდ ბალტიისპირეთისთვის არ არის დამახასიათებელი — მიტოვებული სოფლებისა და სანახევროდ დაცარიელებული ქალაქების დეპრესიული სურათების ნახვა შეიძლება მეზობელი რუსეთის ფსკოვისა და ლენინგრადის ოლქებში. მართლაც ასეა. მაგრამ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში დეგრადაცია ვრცელდება არა მხოლოდ გარკვეულ პროვინციებზე, არამედ სრულიად ქვეყანაზე. ბალტიის ქვეყნებში არ არის „ზრდის წერტილები“, სადაც კონცენტრირებული არიან აქტიური, შრომისუნარიანი მოქალაქეები და საითკენაც მიისწრაფის მიყრუებული გარეუბნების მოსახლეობა. ბალტიისპირეთში მიაჩნიათ, რომ რეგიონი მიგდებულია და შიგა მიგრაცია არ არსებობს. **ფსკოვის ოლქიდან შეუძლიათ სანკტ-პეტერბურგში ან მოსკოვში გადასახლება, და ამით რუსეთი არაფერს წააგებს. ბალტიისპირეთიდან კი ერთი სული აქვთ, გაასწრონ ლონდონში, დუბლინში, ნორვეგიაში, ფინეთში. ამით ლატვია, ლიტვა და ესტონეთი განუხრელად კარგავენ ადამიანურ პოტენციალს.**

დეპოპულაცია რეგიონში საერთო სახელმწიფოებრივი სენი რომ არის, დასტურდება დედაქალაქების სტატისტიკითაც. ბალტიისპირეთის ქვეყნების დედაქალაქები მოსახლეობას ისევე კარგავენ, როგორც განაპირა მხარეები. **ესტონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში ტალინში ცხოვრობდა 482 ათასი ადამიანი, ამჟამად 395 ათასია. ვილნიუსში მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა 583 ათასიდან 523 ათასამდე შემცირდა. 1989 წელს რიგაში ცხოვრობდა 915 ათასი კაცი (შემოგარენთან ერთად იგი მილიონერი ქალაქი იყო). ამჟამად ლატვიის დედაქალაქი 700 ათას მოქალაქეს ითვლის.**

**ორი ათეული პოსტსაბჭოთა წლის განმავლობაში ბალტიისპირეთის მოსახლეობა შემცირდა იმდენითვე, რამდენითაც გაიზარდა 40 საბჭოური წლის განმავლობაში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთვის დამოუკიდებელ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში მოსახლეობის ისეთივე რაოდენობა იყო, რამდენიც ახლა არის.** მიუხედავად რეპრესიებისა, რომლებსაც ამჟამად ჰიპერტროფირებული ფორმით აღწერენ ბალტიისპირელი პოლიტიკოსები, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სატიტულო ერების რაოდენობა არასოდეს იმდენი არ ყოფილა, რამდენიც საბჭოთა პერიოდში იყო... ამჟამად კი ამ ქვეყნის შვილები გარბიან თავიანთი ქვეყნებიდან. მიმდინარეობს სატიტულო ერების თანდათანობითი ამოწყვეტა.

დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდისთვის ამ ერებს ყველა სასტარტო მონაცემი გააჩნდა წარმატებით განვითარებისთვის. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ მოსახლეობის ოდენობით ისინი გასული საუკუნის პირველი ნახევრის დონეს დაუბრუნდნენ.

„ბალტიის ქვეყნები, რომლებსაც დასავლეთის პრესა ხშირად წარმოგვიდგენს, როგორც გაბედულ ეკონომიკურ რეფორმატორებსა და „ახალი ევროპის“ ნიმუშებს, როგორც ჩანს, კატასტროფულად ამოწყვეტის პირზეა, — წერს **Forbes-ის ეკონომიკური მიმომხილველი მარკ ადომანისი,** — თუ ოდესმე შეიტყობთ, რომ „ბალტიით“ ამართლებენ ამა თუ იმ კონსერვატიულ ეკონომიკურ პოლიტიკას, გაიხსენეთ, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აქაური მოსახლეობა შემცირდა ისტორიულად უპრეცედენტო სისწრაფით“.



ვილნიუსი

**2. ემიგრაცია ციფრებში: რამდენმა დატოვა ლიტვა, ლატვია და ესტონეთი?**

ბალტიისპირეთის ფენომენური გაუკაცრიელების მთავარი მიზეზი რეგიონიდან მოსახლეობის საყოველთაო ემიგრაციაა. ბალტიის ქვეყნებიდან კი არ მიემგზავრებიან, გარბიან: ეს პროცესი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. თანამედროვე ევროპისთვის, სადაც უმთავრესად ემიგრირებენ აფრიკისა და აზიის ქვეყნების მოქალაქეები, გადასახლების ასეთი ტემპები სრულიად არატიპიურია. **ბალტიისპირეთი, როგორც ევროპული ემიგრაციის ლიდერი, უსწრებს არა მხოლოდ ბულგარეთსა და რუმინეთს, არამედ იქ მიმდინარე გაუკაცრიელების პროცესი ევროპაში მიმდინარე ტენდენციას მნიშვნელოვნად აჭარბებს.**

**ლიტვა**

**ლიტვის სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, 1990-დან 2010 წლამდე ქვეყნიდან წავიდა 615 ათასი ადამიანი,** ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედი. საშუალოდ წელიწადში გადიოდა 30 ათასი ადამიანი. 2000 წლის პირველი ნახევრის შემდეგ ეს ნაკადი შემცირდა, მაგრამ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დაწყებისთანავე დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია. იმავე დეპარტამენტის მონაცემებით, **2011 წელს ლიტვიდან წავიდა 54 ათასი ადამიანი, 2012 წელს — 41 ათასი, 2013 წელს — 39 ათასი.** ეს რიცხვები რომ შევაჯამოთ, გამოვა, რომ გასულ მეოთხედ საუკუნეში **ქვეყანა დატოვა 750 ათასმა ადამიანმა.** ასეთია ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, რომლებიც რეალობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება, რადგან ქვეყნიდან წასული ადამიანები ყოველთვის როდი აცხადებენ ლიტვის საზღვრის გადაკვეთის ჭეშმარიტ მიზნებს.

**ემიგრანტთა რეალური რაოდენობა მილიონს უახლოვდება.**

ემიგრაციის პიკი კრიზისის პიკიცაა: 2010 წლის რეკორდული მიგრაციის — 84 ათასი — მთავარ მიზეზად ყველა საერთაშორისო ანგარიშში, რომლებიც ამ პრობლემისადმი იყო მიძღვნილი, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სამუშაო ადგილების უქონლობა არის დასახელებული.

**საერთაშორისო მიგრაციის ვილნიუსის ბიუროს 2011 წლის მოხსენებაში ნათქვამია:** „ემიგრანტების უმრავლესობა ლიტვას სამუშაოს დაკარგვის შემდეგ ტოვებს. მაგალითად, 2010 წელს პირთა 85 პროცენტმა, რომლებმაც წასვლის შესახებ ოფიციალურად განაცხადეს, დაადასტურეს, რომ გამგზავრებამდე ისინი უმუშევრები იყვნენ წლის და უფრო მეტი დროის განმავლობაში“...

“ამ ფაქტორს,— ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში,— საფუძვლად უდევს ხელფასების ოდენობა ემიგრანტების მიერ შერჩეულ ქვეყნებში, რომელიც მსყიდველობითი შესაძლებლობის თვალსაზრისით ორ-სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე ლიტვაში“.

იმავე მოხსენებაში აღნიშნულია სხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობაც, მაგალითად, ისეთების, როგორიცაა „სოციალური დაუცველობა, სამართლიანობის არასაკმარისობა, დამსაქმებლების არადამაკმაყოფილებელი დამოკიდებულება მუშაკებისადმი, საზღვარგარეთ უკეთესი პერსპექტივის არსებობა“. ლიტვაში სოციალური სფეროს ტრაგიკულ მდგომარეობას ადასტურებენ ევროკავშირშიც.

**Eurostat**-ის მიხედვით, 2013 წელს ლიტვის მოსახლეობის 32,5 პროცენტი მატერიალური გაუცხოების რისკით ცხოვრობდა, ანუ დეპრივაციის ზღვარზე არსებობდა, რას ნიშნავს ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შეუძლებლობით.

იქვე (აღნიშნულ მოხსენებაში) ნათქვამია, რომ ლიტველთა 54 პროცენტი უჩივის ჯანმრთელობას, რაც ევროპაში ერთ-ერთი ცუდი მაჩვენებელია.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთ პირობებში, თანაც, როცა ქვეყანა ევროკავშირის წევრია და საზღვრები გახსნილია, ადამიანები მასობრივად გარბოდნენ ლიტვიდან.

„მონაცემებით დასტურდება, რომ **ემიგრაციული ნაკადის თითქმის 40 პროცენტი შედგება გონებრივი შრომის მაღალკვალიფიციური მუშაკებისა და, ასევე, მაღალკვალიფიციური მუშებისგან. შედეგად, შრომითი ბაზრის ზოგიერთ სფეროში უკვე იგრძნობა მეცნიერების, ინჟინრების, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების დეფიციტი.**

„ტვინების ეს გადინება“ სულ უფრო ძლიერ შეშფოთებას იწვევს ლიტვაში“, — ნათქვამია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიმოხილვაში, რომელშიც საერთაშორისო მიგრაციის პროცესებია გაანალიზებული. „უმუშევრობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის (35,1 პროცენტი 2010 წელს და 32,9 პროცენტი 2011 წელს) შეიძლება ნაწილობრივ ახსნას 20-დან 34 წლამდე ემიგრანტების წილი კრიზისამდელ 47 პროცენტიდან 2008 წელს 56 პროცენტამდე გაზრდაში 2011 წელს“, — ხაზგასმულია 2013 წლის ანალოგიური ხასიათის მოხსენებაში. აქვე მითითებულია, რომ ახალგაზრდობის წილის ზრდამ ემიგრაციის საერთო პროცესში და, ამასთანავე, დემოგრაფიულმა დისბალანსმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში სამუშაო ძალის უკმარისობა.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ამ წლების განმავლობაში სულ უფრო ინტენსიური ხდება ყველა იმ ძალის გადინება, რომლებსაც მომავალში ქვეყნის განვითარება უნდა უზრუნველეყო: სამეცნიერო-ტექნიკური მუშაკების, კვალიფიციური სპეციალისტების, ახალგაზრდობის. ლიტვური ემიგრაციის ნახევარს მიღებული აქვს საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლება. ქვეყნიდან გასულთა ნახევარზე მეტი — 52 პროცენტი — ქალია. **ყველაზე ხშირად მიემგზავრებიან ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერ კიდევ შექმნილი არ აქვთ ოჯახები. მაგრამ ბოლო წლების მდგრად ტენდენციად იქცა ოჯახებით ემიგრირება. ან, როგორც ვარიანტი, ბავშვებს უტოვებენ ნათესავებს, ან მშობელთაგან ერთ-ერთს, იმ გათვლით, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ოჯახიდან წასული დედა ან მამა, საზღვარგარეთ ფეხს მოიკიდებს, თავისიანებს უცხოეთში გადაიყვანს.** ასეთი მიგრაციის დროებით მიგრაციად წარმოდგენა მხოლოდ რეალობის არაადეკვატურად შეფასებას ნიშნავს. ლიტვური ტრადიციული ოჯახი დღეს ბებია და ბაბუაა, რომლებთანაც შვილები ზაფხულობით ლონდონიდან შვილიშვილებს უგზავნიან. ლაპარაკი იმაზე, რომ პატარები მომავალში ლიტვაში იცხოვრებენ, უაზრობა ხდება.

ამ ტრადიციით მცხოვრებ ქვეყანას მომავალი არ აქვს.

**გაგრძელება იქნება**

**ესტონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში ტალინში ცხოვრობდა 482 ათასი ადამიანი, ამჟამად 395 ათასია. ვილნიუსში მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა 583 ათასიდან 523 ათასამდე შემცირდა. 1989 წელს რიგაში ცხოვრობდა 915 ათასი კაცი (შემოგარენთან ერთად იგი მილიონერი ქალაქი იყო). ამჟამად ლატვიის დედაქალაქი 700 ათას მოქალაქეს ითვლის. ორი ათეული პოსტსაბჭოთა წლის განმავლობაში ბალტიისპირეთის მოსახლეობა შემცირდა იმდენითვე, რამდენითაც გაიზარდა 40 საბჭოური წლის განმავლობაში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთვის დამოუკიდებელ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში მოსახლეობის ისეთივე რაოდენობა იყო, რამდენიც ახლა არის**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

მოკლედ

## ოლიმპიური ქალაქის 16 კორპუსი დევნილებს გადაეცემათ

**საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ოლიმპიური ქალაქის 16 კორპუსი მთავრობამ შეიძინა და ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ დევნილებს გადასცემს.**

„ყველამ კარგად იცით კომპანია „ჰუალინგი“, რომელიც უზარმაზარ ინვესტიციას ახორციელებს საქართველოში. კერძოდ, თბილისში ეს არის 300 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. ეს იქნება ოლიმპიური ქალაქი, რომელიც სახელმწიფომ შეიძინა და ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ჩვენ ამ 16 კორპუსს, თანამედროვე შენობებს, გადავცემთ ჩვენს დევნილებს“, — განაცხადა დღეს ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიურ ქალაქს ჩინური კომპანია „ჰუალინგი“ აშენებს. ოლიმპიური ქალაქი 2015 წლის 26 ივლისს 49 ქვეყნის 3800 სპორტსმენს უმასპინძლებს.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დენიელ განსერი — ნატოს საიდუმლო არმიების მკვლევარი, ციურიხში შვეიცარიის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული უსაფრთხოების პრობლემების საკვლევი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 2003 წლიდან აქვეყნებს სენსაციურ მხილებებს ნატოს წევრ ქვეყნებში აშშ-ის მიერ პროვოკაციული მიზნებისთვის შექმნილი საიდუმლო ტერორისტული ქსელის შესახებ; არის ნავთობისა და გაზის პიკის კვლევის ასოციაციის (ASPO) პრეზიდენტი, მშვიდობისა და ენერგეტიკული კვლევების შვეიცარიის ინსტიტუტის (SIPER) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ციურიხში მდებარე გონებრივი ცენტრის (AVENIT SUISSE) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

# ნატოფაშიზმი

## ანუ როგორ აწყობენ ტერორისტულ აქტებს ნატოს საიდუმლო არმიები

**ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფებზე მასალების გამოქვეყნება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ნატოსთან თანამშრომლობის, მით უმეტეს — ამ სამხედრო ალიანსში შესვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფო მოხელეებმა, აგრეთვე, საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდნენ, რა არის ნატო, რა მეთოდებით მუშაობს და ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა რა შედეგებს მოუტანს სახელმწიფოსა და მის თითოეულ მოქალაქეს.**

ბუნება საერთაშორისო ტერორიზმისა, რომლის გამოც პასუხისმგებლობა აშშ-ისა და ნატოს ხელმძღვანელობას უნდა დაეკისროს, მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისში გამომჟღავნდა. შვეიცარიელმა მკვლევარმა **დენიელ განსერმა** გამოიკვლია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ბრიტანული MI6-ის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფების შექმნის ისტორია. **ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფები სსრკ-თან ბრძოლის საბაბით შეიქმნა საბჭოეთის მხრიდან მოსალოდნელი ინტერვენციის შემთხვევაში. სინამდვილეში, ფაშისტებითა და ულტრამემარჯვენე ელემენტებით დაკომპლექტებული ეს საიდუმლო არმიები, რომლებსაც ბრიუსელში მდებარე ნატოს შტაბ-ბინიდან საიდუმლო კომიტეტი ხელმძღვანელობდა, აშშ-ის „დესტაბილიზაციის სტრატეგიისა“ და „სხვისი დროშის ქვეშ ტერორიზმის“ ნაწილს წარმოადგენდა.**

იტალიაში საიდუმლო ქსელს უწოდეს **„გლადიო“** („მახვილი“), სხვა სახელმწიფოებში კი ქვედანაყოფებს სხვა სახელები ერქვა. ტერორისტულ აქტებსა და არასასურველი პოლიტიკოსების ლიკვიდაციას აწყობდნენ მოსახლეობის შესაშინებლად და მემარცხენე ძალების დისკრედიტაციის მიზნით, რომლებსაც სხვადასხვა მეთოდით აჰკიდებდნენ ხოლმე პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულებზე.

**ამ საიდუმლო არმიებიდან ყველაზე ცნობილია სწორედ იტალიური „გლადიო“. ის 1959 წლის 1 ივნისს შეიქმნა იტალიის სამხედრო სპეცსამსახურის (SIFAR) გადაწყვეტილებით. მის შექმნაში განსაკუთრებული როლი ითამაშა უმაღლესი რანგის მასონმა, 1953-1961 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა შეფმა — ალენ დალესმა.**

ამ ქვედანაყოფებში წევრებად იღებდნენ ყოფილ ფაშისტებსა და ნეოფაშისტებს ორგანიზაცია „იტალიური სოციალური მოძრაობიდან“, რომელიც 1946 წელს შექმნეს გარდაცვლილი დიქტატორის — **ბენიტო მუსოლინის** მომხრეებმა. 1960-იან წლებში „იტალიური სოციალური მოძრაობა“ წარმატების პიკზე იყო და წევრების რაოდენობის მხრივ ქვეყანაში მეოთხე პარტიად ითვლებოდა.

**„ცოტამ თუ იცის, რას ნიშნავს „დესტაბილიზაციის სტრატეგია“. საჭიროა, ვილაპარაკოთ ამაზე და ავუხსნათ ადამიანებს. ეს არის ტაქტიკა, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები მიეწერება სხვას. ტერმინი „დესტაბილიზაცია“ განსაზღვრავს ემოციურ დაძაბულობას, იმას, რაც ქმნის შიშის განცდას, ტერმინი „სტრატეგია“ კი — იმას, რითაც იკვებება ადამიანების შიში გარკვეული ჯგუფის მიმართ“, — დენიელ განსერი.**

### STAY BEHIND – ნატოს საიდუმლო არმიები ევროპაში

ნატოში შესვლის წინ დასავლეთევროპულ სახელმწიფოებს ხელი უნდა მოეწერათ საიდუმლო ოქმებზე, რომლებიც მათ მთავრობებს ავალდებულებდა, **„ნებისმიერი საშუალებით გარანტირებული ყოფილიყო შიგა ორიენტაცია დასავლურ ბლოკზე, ელექტორატს სხვა მიმართულებითაც რომ ჰქონდეს აღებული ორიენტაცია“.** დასავლურმა მედიასაშუალებებმა ნატოს საიდუმლო არმიების ისტორიას „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე გულმოდგინედ დაფარული და სახიფათო სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლო უწოდეს. **ნატოს უნდა ეწარმოებინა ტერორი თვითონ ალიანსის წევრი სახელმწიფოების შიგნით, რათა ისინი არ გამოსულიყვნენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩარჩოებიდან.**

განსერმა ამხილა ნატოსა და ცსს-ს პროვოკაციულ-ტერორისტული ქსელის განსაკუთრებული ნაწილი; ესენი არიან არა მხოლოდ „კრიშის“ მქონე ტერორისტები, არამედ ტერორისტული ქვედანაყოფები, რომლებიც არაკანონიერად შექმნეს ნატოს სპეცსამსახურებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თითქოსდა საბჭოთა კავშირის მიერ მოსალოდნელი ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**მოსალოდნელ „მესამე მსოფლიო ომში“ STAY BEHIND-ის არმიების ქსელისთვის უნდა ეხელმძღვანელა საიდუმლო კომიტეტს, რომელიც 1957 წელს შეიქმნა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მხედართმთავრის ბრძანებით. ამ სტრუქტურაზე გავლენა ჰქონდა აშშ-ს. საერთაშორისო საიდუმლო ქსელმა მოიცვა ბელგია, ჰოლანდია, დანია, ნორვეგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი და თურქეთი. ის გავრცელდა ნეიტრალურ ქვეყნებშიც: ავსტრიაში; შვეიცარიაში, შვედეთსა და ფინეთში.**

1992 წელს ადამიანის უფლებების პარაგვაელ დამცველს — **მარტინ ალმადას** ხელში ჩაუვარდა ტერორის არქივები — დოსიეები, ანგარიშები, ოპერაცია „კონდორის“ მიმდინარეობისას დიქტატორული რეჟიმების მიერ დისიდენტებისა და ოპოზიციონერების განადგურების შესახებ ცნობები.




გარეკანი დენიელ განსერის წიგნისა „ნატოს საიდუმლო არმიები. ოპერაცია „გლადიო“ და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში“

**1990 წელს იტალიის 71-ე პრემიერმა ჯულიო ანდრეოტიმ აღიარა «გლადიოს» არსებობა და ამ ორგანიზაციის კავშირი ნატოსთან, ცსს-სა და MI6-თან. სწორედ მან უწოდა იმ ადამიანებს, რომლებმაც 1978 წელს იტალიის პრემიერი ალდო მორო გაიტაცეს და მოკლეს, «ნატოსთან ძალიან დაახლოებული», საფრანგეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს კი — აშშ-ის მარიონეტი**

### „გლადიო“: იტალიური ტერორი ცსს-ს მუსიკით

იტალიური „გლადიო“ ყველაზე აქტიურად 1960-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში მოქმედებდა. **„გლადიო“ მონაწილეობდა მოზამბიკის განმათავისუფლებელი ეროვნული ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებლის — ედუარდო მონდლანეს მკვლელობაში 1969 წელს.** აგრეთვე, მონაწილეობდა 1975 წელს იტალიის დედაქალაქში ჩასულ ჩილეს ვიცეპრეზიდენტ **ბერნარდო ლეიტონზე** ტერორისტულ თავდასხმაში. „გლადიო“, ძირითადად, აშშ-დან ფინანსდებოდა. ნატოს საიდუმლო სამსახურების დაფინანსებაში ვატიკანის ბანკის დიდი მაგისტრი **ლიჩო ჯელიც** კი მონაწილეობდა.

პერიოდში, რომელიც იტალიის ისტორიაში „ტყვიის დროების“ სახელწოდებით შევიდა, „გლადიოს“ მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იყო ოპერაცია „კონდორი“.

### ოპერაცია „კონდორი“ – ჰენრი კისინჯერის სამხედრო დანაშაულები

ოპერაცია „კონდორის“ სულისჩამდგმელად ითვლება **ჰენრი კისინჯერი**, რომელიც იმხანად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი იყო.

ამ ოპერაციით 1970-1980-იან წლებში სამხრეთ ამერიკის რიგ ქვეყნებში გათვალისწინებული იყო პოლიტიკური ოპოზიციის დევნა და განადგურება — ძირითადად, კომუნისტებისა და სოციალისტების. **აშშ მხარს უჭერდა დიქტატორულ რეჟიმს ჩილეში, არგენტინაში, ურუგვაიში, ბრაზილიაში, პარაგვაიში, ბოლივიაში. ამ ქვეყნებში სპეცსამსახურები კოორდინირებულად მოქმედებდნენ. მათ მიერ ხორციელდებოდა ოპოზიციის წარმომადგენელთა — პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და საზოგადო მოღვაწეების — მოტაცება, წამება და დასჯა სასამართლოს გარეშე (ცნობილია, როგორც „სასიკვდილო გაფრენები“). სხვადასხვა შეფასებით, იმ წლებში ტერორმა 40-დან 60 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის: 3 ათასი არგენტინელის, 3 ათასი პერუელის, 3 ათასი ჩილელის, 160 — პარაგვაელის, 150 — ბოლივიელის, 140 ურუგვაელის და 6 ეკვადორელის.**

1973 წლის ზაფხულში ჩილეს მემარჯვენე ძალები აშშ-ის პირდაპირი მხარდაჭერით ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალების გეგმას. ხუნტის პროპაგანდისტებმა გამოაცხადეს მოქმედების დაწყება „გეგმა Z“-ის ჩასაშლელად, რომლის თანახმადაც, ქვეყნის მმართველმა ბლოკმა „ხალხის ერთობამ“ ჯერ კიდევ 1971 წელს თითქოს დაიწყო ჩილეში იარაღის კონტრაბანდული გზით შეტანა. მოგვიანებით თვით **აუგუსტო პინოჩეტიც** კი იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ არავითარი „გეგმა Z“ არ არსებობდა. ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე დაადანაშაულეს ავტორიტარიზმში, საკანონმდებლო ორგანოს როლის დაკნინების ▶


„გლადიოს" გერბი

# 1990 წლის 22 ნოემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმო „გლადიო" და მოითხოვა სრულფასოვანი გამოძიების ჩატარება, შემდეგ კი — STAY BEHIND-ის სტუქტურების ლიკვიდაცია.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მცდელობაში, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში, საკუთრებაზე მოქალაქეების უფლებების ფეხქვეშ გათელვაში და ა.შ.

1973 წლის 11 სექტემბერს ჩილეში მოხდა სამხედრო გადატრიალება. პრეზიდენტის სასახლის შტურმისას დაიღუპა **სალვადორ ალიენდე.** ერთ-ერთი ვერსიით, ის თავდამსხმელებმა დახვრიტეს. პინოჩეტის ხელისუფლების ვერსიით კი, ალიენდემ თავი მოიკლა კალაშნიკოვის ავტომატით(?!). გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ გენერალი აუგუსტო პინოჩეტი. ეს იყო კარგად დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია: კომბინირებული შეტევა არტილერიის, სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის გამოყენებით. პრეზიდენტის სასახლეს რაკეტები დაუშინეს. სამხედროებმა დაიკავეს ყველა სამთავრობო დაწესებულება. მიღებულ იქნა ზომები ალიენდეს ხელისუფლების მხარდამჭერი გამოსვლების აღსაკვეთად. ზოგიერთი ოფიცერი, რომლებმაც უარი განაცხადეს პუტჩისადმი მხარდაჭერაზე, დახვრიტეს. სალვადორ ალიენდეს მთავრობა დაემხო და შეიქმნა **სამხედრო ხუნტა: გენერალი აუგუსტო პინოჩეტი (არმიისგან); ადმირალი ხოსე ტორიბიო მერინო კასტრო (სამხედრო-საზღვაო ფლოტისგან), გენერალი გუსტავო ლი გუსმანი (სამხედრო-საჰაერო ფლოტისგან) და გენერალი სეზარ მენდოსა დიურანი (კარაბინერებისგან).** პინოჩეტმა მალე დაამყარა ერთპიროვნული დიქტატურა (1974-1990). გენერალი გუსტავო გუსმანი თადარიგში გაუშვეს, ადმირალ მერინოს ყველა სამხედრო უფლება აჰყარეს, პინოჩეტის მომხრე ერთ-ერთი გენერალი ოსკარ ბონილია კი ავიაკატასტროფაში დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში.

1974 წლის ზაფხულში მიიღეს კანონი „სამთავრობო ხუნტის იურიდიული სტატუსის შესახებ", რომელშიც პინოჩეტი უზენაესი ხელისუფლების მქონედ გამოცხადდა. მას ფართო უფლებები მიენიჭა.

პინოჩეტის პირველი ოპერაცია იყო სალვადორ ალიენდეს მთავრობაში საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრის — **ორლანდო ლეტელიერის** მკვლელობა. დადგენილია, რომ ლიტელიერის ლიკვიდაციის ბრძანება პირადად პინოჩეტმა გასცა.

1973 წლის 11 სექტემბერს — გადატრიალების დღეს — პუტჩისტებმა პირველი, ვინც დააპატიმრეს, ლეტალიერი იყო. მინისტრს თავზე კაპიუშონი გადააფარეს და სამხედრო ყაზარმაში წაიყვანეს. მან რვა თვე გაატარა კუნძულ დოუსონზე საკონცენტრაციო ბანაკში.

1974 წელს ლეტელიერი ვენესუელის მთავრობის შუამდგომლობით გაათავისუფლეს და ვენესუელაში გადაბარგდა. თუმცა მალე წავიდა ვაშინგტონში, სადაც პინოჩეტის სამხედრო რეჟიმის მხილების საქმეში ჩაერთო. მის მიერ ორგანიზებულ აქციებს დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა.

სპესამსახურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ორლანდო ლეტელიერი სამუდამოდ დაედუმებინათ. **1976 წლის 21 სექტემბერს ვაშინგტონის ცენტრში აფეთქდა ავტომობილი, რომლითაც ლეტელიერი სამსახურში მიდიოდა. ლეტელიერთან ერთად დაიღუპა მისი მდივანი რონი მოფიტიც.**

2001 წელს ადამიანის უფლებების დამცველმა რამდენიმე ორგანიზაციამ სარჩელი აღძრა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჰენრი კისინჯერის წინააღმდეგ. ის ოპერაცია „კონდორის" განხორციელებაში დაადანაშაულეს. არგენტინელმა მოსამართლემ განაცხადა, რომ კისინჯერი პოტენციური ეჭვმიტანილია და მოპასუხეც კი. კისინჯერმა, რომელიც იმ მომენტში საფრანგეთში იმყოფებოდა, როგორც კი შეიტყო, რომ გამომძიებელი დასაკითხავად იბარებდა, მყისვე დატოვა საფრანგეთი და უარი თქვა ბრაზილიაში დაგეგმილ ვიზიტზე...


ჰენრი კისინჯერი


ჯულიო ანდრეოტი


სალვადორ ალიენდე


ალდო მორო

**2001 წელს ადამიანის უფლებების დამცველმა რამდენიმე ორგანიზაციამ სარჩელი აღძრა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჰენრი კისინჯერის წინააღმდეგ. ის დაადანაშაულეს ოპერაცია «კონდორის» განხორციელებაში. არგენტინელმა მოსამართლემ განაცხადა, რომ კისინჯერი პოტენციური ეჭვმიტანილია და მოპასუხეც კი...**

## რისთვის სჭირდება საიდუმლო არმიები ნატოს

„საბჭოთა საფრთხე" (არადა, დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება ქვეყნის აღდგენისკენ იყო მიმართული) ამერიკელ და ევროპელ რადიკალებს რეპრესიული აპარატის შესაქმნელად თვითონ სჭირდებოდათ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რათა თავიდან აეცილებინათ ხელისუფლებაში მემარცხენე ძალების მოსვლა, რომელთა პოპულარობამაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მკვეთრად მოიმატა, ანტიფაშისტური მოძრაობის ძირითად ნაწილს ხომ ისინი წარმოადგენდნენ.

**სოციალისტური სისტემის განადგურებამ ნატოს აგრესია ვერ შეაჩერა. პირიქით — დღეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავისი პასუხისმგებლობის გეოგრაფიული ზონიდან საკმაოდ შორს მოქმედებს — ფეხს იკიდებს შუა აზიაში და სამხედრო ოპერაციებს ატარებს ჩრდილოეთ აფრიკაში.**

**ნატოს დოკუმენტებში დეტალურად იყო გაწერილი საბჭოთა კავშირზე ატომური დარტყმების რაოდენობა, ქალაქების ზუსტი მითითებით (მათ შორის იყო თბილისიც), განსაზღვრული იყო „დამორჩილებულ მოსახლეობასთან" მუშაობის მეთოდებიც.**

იტალიელი კომუნისტები დიდი ხნის განმავლობაში მოითხოვდნენ ხელისუფლებისგან განმარტებას საიდუმლო არმიის არსებობაზე, მაგრამ ყოველთვის უარს იღებდნენ იმ საბაბით, რომ ეს სახელმწიფო საიდუმლოება იყო. მხოლოდ **1990 წელს იტალიის 71-ე პრემიერმა ჯულიო ანდრეოტიმ აღიარა „გლადიოს" არსებობა და ამ ორგანიზაციის კავშირი ნატოსთან, ცსს-სა და MI6-თან. სწორედ მან უწოდა იმ ადამიანებს, რომლებმაც 1978 წელს იტალიის პრემიერი ალდო მორო გაიტაცეს და მოკლეს, „ნატოსთან ძალიან დაახლოებული", საფრანგეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს კი — აშშ-ის მარიონეტი.**

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურთან (MI6) ერთად, აღჭურვილობას აძლევდა, აფინანსებდა და წვრთნიდა ნატოს საიდუმლო სტრუქტურებს. ამ სტრუქტურებს ამზადებდნენ შეიარაღებულ ძალებთან საბრძოლველად, აგრეთვე, ტერორისტული აქტების მოსაწყობად სხვადასხვა ქვეყანაში, მიზანი მოსახლეობაში შიშის გამოწვევა იყო, შემდეგ კი — ჩადენილ ბოროტმოქმედებაში კომუნისტების დადანაშაულება. იმ პერიოდში კომუნისტურ პარტიას საკმაო ძალაუფლება ჰქონდა იტალიის პარლამენტში. „დესტაბილიზაციის სტრატეგიას" კომუნისტების დისკრედიტაცია და დასუსტება უნდა გამოეწვია, რათა ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვერ მოსულიყვნენ.

დენიელ განსერს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, როდესაც ტერაქტები კომუნისტებს გადააბრალეს, მათი დისკრედიტაციის მიზნით. მაგალითად, 1984 წელს იტალიელი მოსამართლე ფელიჩე კასონმა ხელახლა დაიწყო დახურული საქმის გამოძიება: 1972 წლის 31 მაისს იტალიურ სოფელ პეტეანოსთან ახლოს, ტყეში, აფეთქდა დანაღმული ავტომობილი. კარაბინერები ანონიმური სატელეფონო ზარით გამოიძახეს „ფიატ 500"-თან. როდესაც მათ კაპოტი გახსნეს, ბომბი აფეთქდა. ორი დღის შემდეგ პოლიციამ კვლავ მიიღო ანონიმური ინფორმაცია, რომ დანაშაული ჩაიდინა ორგანიზაცია „წითელმა ბრიგადებმა" — მემარცხენე რადიკალურმა პროკომუნისტურმა ჯგუფმა. 200-მდე კომუნისტი დააპატიმრეს. იტალიელებს შთააგონეს, რომ ტერორისტული აქტი პეტეანოში „წითელმა ბრიგადებმა" მოაწყვეს.

1990 წელს მოსამართლე **ფელიჩე კასონმა** დაამტკიცა, რომ 1972 წელს პეტეანოს ტერორისტული აქტი, რომელიც მემარცხენე დაჯგუფებებს მიაწერეს, სინამდვილეში მოაწყო **ვინჩენცო ვინჩეგერამ** — ნეოფაშისტური დაჯგუფება „ახალი წესრიგის" ერთ-ერთმა ლიდერმა. **სასამართლო პროცესზე ვინჩეგერამ აღიარა, რომ პეტეანოში ტერორისტული აქტი იტალიის სპეცსამსახურების დახმარებით მოაწყო. ამასთანავე, კასონმა მოიპოვა დოკუმენტები, რომლებითაც დამტკიცდა ნატოსა და აშშ-ის მონაწილეობა „გლადიოს" მიერ ჩადენილ დივერსიებში იტალიასა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში.**

**1959 წლის 8 აპრილიდან 1962 წლის 19 მარტამდე ნეოფაშისტებმა იტალიაში 95 ტერაქტი მოაწყვეს; მწყობრიდან გამოიყვანეს ელექტროგადამცემი ხაზების 75 ანძა, თავს დაესხნენ სარკინიგზო მაგისტრალების 44 ობიექტს, აგრეთვე, სატრანსპორტო კომუნიკაციისა და სამრეწველო ობიექტებს. დაანგრიეს 8 საცხოვრებელი სახლი.**


პინოჩეტი და მისი ხუნტა — ამერიკული დემოკრატიის ნიმუში

1950-იანი წლების ბოლოს იტალიაში შეიქმნა ფაშისტური ორგანიზაცია კლემენტე გრაციანეს ხელმძღვანელობით, რომელმაც რომში რამდენიმე აფეთქება მოაწყო, აგრეთვე, თავს დაესხა იტალიის პრემიერმინისტრს. ამ ორგანიზაციის 21 წევრი დააპატიმრეს.

1969 წლის 18 აპრილს ნეოფაშისტების მიერ პადუაში გამართულ თათბირზე შეიმუშავეს ტერაქტების მოწყობის გეგმა რესპუბლიკური რეჟიმის კომპრომეტაციისა და საზოგადოების ცნობიერებაში მემარჯვენე-ავტორიტარული გადატრიალების მოსამზადებლად. მხოლოდ 9 თვის განმავლობაში ნეოფაშისტურმა ჯგუფებმა 22 ტერაქტი და თავდასხმა განახორციელეს:

***15 აპრილს ააფეთქეს პადუის უნივერსიტეტის რექტორის — გვიდო ოპოკერის კაბინეტი, მილანში, ბაზრობაზე ცეცხლი წაუკიდეს ფირმა „ფიატის" სტენდს.**

*25 აპრილს — აფეთქება მოაწყვეს მილანის ცენტრალური სარკინიგზო სადგურში.

***8 აგვისტოს ააფეთქეს მატარებელი, რომელიც რომიდან მილანში მიემართებოდა. მილანში ააფეთქეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის შენობა.**

*12 დეკემბერს რომში აფეთქებების შედეგად დაიღუპა 17 კაცი, 100-ზე მეტი დაიჭრა. აფეთქება მოაწყვეს მიწისქვეშა გადასასვლელში და ძეგლთან — „მამულის საკურთხეველი".

***1974 წლის აპრილში ტერორისტებმა მოაწყვეს აფეთქებები ლეკოში, ბარისა და ბოლონიაში. 15 ოქტომბერს კი რომში აფეთქებების სერია რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა. „შავი წესრიგის" ანგარიშზე სულ 11 დივერსიული აქტია.**

**1990 წლის 22 ნოემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმო „გლადიო" და მოითხოვა სრულფასოვანი გამოძიების ჩატარება, შემდეგ კი — STAY BEHIND-ის სტუქტურების ლიკვიდაცია.** რეზოლუციაში საიდუმლო არმიების ქსელი დახასიათებული იყო, როგორც დემოკრატიული მმართველობის სფეროდან გასული და იმ სახელმწიფოების სპეცსამსახურების კონტროლს დაქვემდებარებული, რომლებიც დაინტერესებული არიან ნატოსთან თანამშრომლობით. ევროპარლამენტის თავმჯდომარეს მიენიჭა უფლებამოსილება, მიღებული რეზოლუციის შინაარსი გაეცნო ნატოს გენერალური მდივნისა და აშშ-ის ხელისუფლებისთვის. **ჯორჯ ბუში-უფროსის ადმინისტრაციამ, რომელიც ერაყთან საომრად ემზადებოდა, უარი განაცხადა ამ თემის კომენტირებაზე. ევროპაში კი სრულმასშტაბიანი გამოძიება მხოლოდ იტალიაში, ბელგიასა და შვეიცარიაში ჩატარდა. საფრანგეთსა და ფინეთში ამ საიდუმლო არმიების სახელწოდებებიც კი დღემდე მკაცრად არის გასაიდუმლოებული.** თუმცა, ექსპერტთა აზრით, ნატოს ქვეყნების სპეცსამსახურებმა, stay behind-ის არმიების გამოცდილება გაუზიარეს ლიბიელ „ამბოხებულებს" და ამით მოხერხებულად მიიყვანეს საქმე **მუამარ კადაფის** მკვლელობამდე.

**სადამ ჰუსეინისა** და თვით **უგო ჩავესისთვისაც** კი „ალ ქაიდასთან" თანამშრომლობის დაბრალება — ეს არის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გამოცდილება, რომელსაც ის იტალიელი კომუნისტების დისკრედიტაციისთვის იყენებდა საერთაშორისო არენაზე.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამოქალაქო სამოსში გამოწყობილმა ორმა პოლიციელმა ცეცხლი გაუხსნა და მოკლა 92 წლის ქალი, როდესაც შეცდომით მივიდნენ მისი სახლის გასაჩხრეკად და იქ ნარკოტიკების საპოვნელად. პასუხად პოლიციელებმა შეამტვრიეს კარი და 39-ჯერ ესროლეს ქალს. ერთ-ერთმა მათგანმა საკუთარი ქმედების გამართლების მიზნით ქალის სარდაფში მარიხუანის პაკეტები დაყარა.**

# აშშ-ის პოლიცია: ათასობით მოკლული და რამდენიმე გასამართლებული



**2005 წლიდან ამ დრომდე პოლიციელთა ხელით ათასობით ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს, მაგრამ ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალდება წაუყენეს პოლიციის მხოლოდ 54 თანამშრომელს. დანარჩენებს ბრალდება მოუხსნეს ან გაამართლეს.**



**სემ ბრელომ ჯერ 34-ჯერ ესროლა მანქანას, შემდეგ მასზე ფეხით შედგა და ახლო მანძილიდან კიდევ 15-ჯერ ესროლა წინა საქარე მინას. მოგვიანებით მან გამომძიებლებს უთხრა, რომ მოეჩვენა, თითქოს მანქანიდანაც ისროდნენ**

ხუთი წლის წინათ, ერთ წვიმიან დღეს, პოლიციელი კოულმან ბრეკნი, მეტსახელად დიუკი, დაედევნა მძღოლს, რადგან ჩათვალა, რომ იგი ნასვამი მართავდა მანქანას. იგი არკანზასის სოფლებში საათში 150 კილომეტრი სიჩაქრით მისდევდა ექვმიტანილს. როდესაც სპორტული მანქანა ბოლოს და ბოლოს შეჩერდა, ბრეკნიმ მანქანის უკანა მინას ტყვიები დაუშინა და რამდენიმე ტყვია 41 წლის ჯეიმს აჰერნს ზურგში მოახვედრა, მამაკაცი გარდაიცვალა.

პროკურატურამ ბრეკნის მკვლელობაში დასდო ბრალი, მაგრამ მან დანაშაულის შემსუბუქება ითხოვა და გაცილებით მსუბუქი დანაშაული აღიარა. შედეგად, მას ნასამართლეობა მოუხსნეს. ახლა იგი პოლიციის უფროსია პატარა ქალაქში, მის მიერ ჩადენილი მკვლელობის ადგილიდან დაახლოებით 30 კილომეტრის დაშორებით.

ბრეკნი გახლავთ ერთ-ერთი იმ 54 პოლიციელთაგან, რომლებსაც ბოლო ათი წლის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ცეცხლი გახსენს, ადამიანი მოკლეს და ამისთვის ბრალდებულნი აღმოჩნდნენ. ამ დასკვნამდე მივიდნენ Washington Post-ის რედაქციის თანამშრომლები და დასავლეთ კენტუკის უნივერსიტეტის მკვლევარები. აღნიშნულ საკითხზე მსგავსი ანალიზის ჩატარებისას მათ შეისწავლეს უამრავი დოკუმენტი, დაკითხვების ოქმები, ჩაატარეს ინტერვიუების მთელი სერია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან, სამართლისა და სასამართლო სისტემის საკითხთა ექსპერტებთან.

ამ ანალიზში მათ პირველად სცადეს, დაედგინათ ყველა პოლიციელი, რომელთაც 2005 წლიდან ამ დრომდე სასიკვდილო შედეგით დამთავრებული სროლის გამო ბრალი წაუყენეს. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მსგავსი შემთხვევებიდან, რომელთაც ამავე პერიოდში ჰქონდა ადგილი აშშ-ში.

**როდესაც პროკურატურა ბრალდებას წაუყენებდა ამა თუ იმ დამნაშავე პოლიციელს, ნათელი ეფინებოდა სხვა გარემოებებსაც, რომ მოკლული ადამიანი არ იყო შეიარაღებული, რაც თითეულ შემთხვევას განსაკუთრებულს ხდიდა.** ხშირად ხდებოდა, რომ მსხვერპლს ზურგში ესროდნენ, ხშირად ისმოდა დანაშაულის დაფარვის ბრალდებებიც.

აი, ბოლო შემთხვევა: სულ რამდენიმე დღის წინათ სამხრეთ კაროლინის ნორტ-ჩარლსტონის ხელისუფლებამ მკვლელობაში დასდო ბრალი პოლიციის თეთრკანიან ოფიცერს — მაიკლ სლეიჯერს და განაცხადა, რომ მან, სავარაუდოდ, შეუიარაღებელი შავკანიანი მამაკაცი მოკლა. ვიდეოჩანაწერზე ჩანს, თუ როგორ ესროლა პოლიციელმა მამაკაცს ზურგში რამდენჯერმე.

„როდესაც პოლიციის თანამშრომელს ბრალს დებენ სასიკვდილო შედეგით დასრულებული სროლის გამო, ეს რაღაც საარაკოა, რაღაც ზღვარგადაცილებულია და ვერ აიხსნება ვერანაირი რაციონალური მოსაზრებებით, — ამბობს კრიმინოლოგი ფილიპ სტინსონი, რომელიც ბოულინგ-გრინში მუშაობს და შეისწავლის პოლიციელთა დაკავების შემთხვევებს. — ეს ის შემთხვევა უნდა იყოს, როდესაც პროკურატურა მზად იქნება, საკუთარი რეპუტაცია რისკის წინაშე დააყენოს“.

მაგრამ მსგავს საარაკო შემთხვევებშიც კი იმ პოლიციელთა უმეტესობა, რომელთა დანაშაულიც გაიხსნა, არ გაუსამართლებიათ. თუკი ოდესმე ისინი დამნაშავეებად სცნეს, მათ ან თავად აღიარეს დანაშაული და შედეგად ძალზე რბილი სასჯელი მიიღეს (საშუალოდ, თავისუფლების აღკვეთა რამდენიმე წლით, ზოგჯერ კი მხოლოდ რამდენიმე კვირით). ნაფიცი მსაჯულები ულმობლად სჯიან პოლიციელებს, რადგან მათში წესრიგის მცველებს ხედავენ.

პოლიციელების მიერ სროლის ატეხის ყველა შემთხვევის ზუსტი აღრიცხვა ქვეყანაში არ ხდება და სტატისტიკაც არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც სასიკვდილო შედეგით დარულებულ სროლებს აღნუსხავს. ამგვარ შემთხვევებზე გამოძიების ფედერალური ბიურო აწარმოებს საერთო ეროვნულ მონაცემთა ბაზას, მაგრამ პოლიციის სამმართველოებისგან ამ ბაზის მუდმივ და რეგულარულ განახლებას ისიც არ მოითხოვს.

**პოლიციელების მიერ უიარაღო მსხვერპლთა სკანდალური მკვლელობების მთელი სერიის შემდეგ გაჩნდა კითხვები იმის თაობაზე, თუ რა უნდა გააკეთოს პოლიციის თანამშრომელმა, რომ ბოლოს და ბოლოს წაუყენონ ბრალდება დანაშაულის ჩადენის გამო. ხშირად საზოგადოებაში არ არსებობს საერთო აზრი, ძალზე შორს შეტოპა პოლიციამ თუ წესების დაცვით მოქმედებდა.** ბრალდება იშვიათ შემთხვევებში მიდის დასკვნამდე, რომ მკვლელობის გამართლება არ შეიძლება.

აი, ნათელი მაგალითი: საუბარია მიჩიგანელ პოლიციელზე, რომელმაც დეტროიტში უსახლკარო მოკლა. ეს უკანასკნელი მისკენ მიდიოდა შარვალჩაწეული და ძლივს მიათრევდა ფეხებს. ინციდენტი დაფიქსირებულია ვიდეოზე და პოლიციელს, რომელსაც მოეჩვენა, რომ ბომჟი შეიარაღებული იყო, მეორე ხარისხის მკვლელობის ჩადენის გამო წაუყენეს ბრალი. მსაჯულებმა გაითვალისწინეს პოლიციის თანამშრომლის ჩვენება და მკვლელი უდანაშაულოდ აღიარეს. იგი ამჟამადაც განაგრძობს პოლიციაში მსახურებას.

არის კიდევ ერთი შემთხვევა — დერლინგტონის ოლქის პოლიციის თანამშრომელს ბრალი წაუყენეს ქურდობისთვის ძებნილი მკვლელობის გამო. პოლიციელმა ამ ადამიანს ტყეში მიაგნო და ოთხჯერ ესროლა ზურგში. მსაჯულებმა ჩათვალეს, რომ პოლიციელი თავს იზღვევდა და გაამართლეს იგი.

**სამოქალაქო სამოსში გამოწყობილმა ორმა პოლიციელმა ცეცხლი გაუხსნა და მოკლა 92 წლის ქალი, როდესაც შეცდომით მივიდნენ მისი სახლის გასაჩხრეკად და იქ ნარკოტიკების საპოვნელად.** როდესაც შესასვლელი კარის შემტვრევას ცდილობდნენ, ქალმა გამაფრთხილებლად გაისროლა თავისი ძველი რევოლვერიდან. **პასუხად პოლიციელებმა შეამტვრიეს კარი და 39-ჯერ ესროლეს ქალს. ერთ-ერთმა მათგანმა საკუთარი ქმედების გამართლების მიზნით ქალის სარდაფში მარიხუანის პაკეტები დაყარა. მოგვიანებით ორივე პოლიციელმა აღიარა დანაშაული და მიიღო მოულოდნელად მკაცრი სასჯელი — 6 და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ფედერალურ ციხეში.**

შარშან, მაიკლ ბრაუნის გარდაცვალების შემდეგ პოლიციის რიგებში რასიზმის გამო შეშფოთებამ მძლავრი სახალხო დებატები განაპირობა. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, ხომ არ იყენებს პოლიცია გადამეტებულ ძალას უმცირესობებთან ურთიერთობისას და სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემა რამდენად საიმედოდ იცავს მსხვერპლთა უფლებებს.

**2005 წლიდან დღემდე სასიკვდილო შედეგით დასრულებული სროლის გამო ბრალდებულ პოლიციელებს შორის 75%-ზე მეტი თეთრკანიანია. მსხვერპლთა ორი მესამედი უმცირესობებს განეკუთვნებიან და, ორის გარდა, ყველა შევკანაიანია.**

ზემოხსენებული კოულმან ბრეკნი, მეტსახელად დიუკი, და მისი მსხვერპლი ჯეიმს ახერნიც თეთრკანიანები იყვნენ.

32 წლის ბრეკნიმ განაცხადა, რომ მისი მსხვერპლის მანქანაში ძრავი ჩართული იყო, უკანა ფარებდი ციმციმებდა და მას მოეჩვენა, რომ მსხვერპლი უკუსვლით აპირებდა მასზე გადავლას. რეგისტრატორის ვიდეოჩანაწერში ჩანდა, რომ მანქანა უძრავად იდგა, როდესაც ახერნს ესროლეს და ეს იქცა მთავარ მიზეზად, რომლის გამოც გადაწყდა დიუკისთვის ბრალდების წაყენება.

ბრეკნიმ აღიარა, რომ ჩაიდინა მკვლელობა გაუფრთხილებლობით და ამის გამო 30-დღიანი სასჯელი მოიხადა. „არავის სურს, ვინმე მოკლას და ამიტომ მეც სახლში უნდა გამიშვან. მე სწორად მოვიქეცი“, — განაცხადა მან.

ბელა ვისტას პოლიციის სამმართველოდან დიუკი დაითხოვეს, მაგრამ ქალაქმა სალფერ-სპრინგსმა გადაწყვიტა, კიდევ ერთი შანსი მიეცა მისთვის და პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობა ჩააბარა.

ხშირად პროკურატურა დაჟინებით არ ითხოვს პოლიციელების წინააღმდეგ ბრალდებების წაყენებას, თუნდაც არსებობდეს სერიოზული ეჭვები, რომ ამ უკანასკნელმა დანაშაული ჩაიდინა.

სამხრეთ კაროლინის შტატის ყოფილი პროკურორ ჯეი ჰოჯის თქმით, მთავარია, შესაძლებელია თუ არა არსებული მტკიცებულებებით პოლიციელის იმ განცხადების უკუგდება, რომ იგი თავს ან გარშემო მყოფთ იცავდა. „არ შეიძლება, ადამიანს ზურგში ესროლო ოთხჯერ და შემდგომ ამტკიცო, რომ თავს იცავდი მისგან“, — განაცხადა ჰოჯმა.

არც ისე დიდი ხნის წინათ პოლიცია მაინც და მაინც მკაცრად არ ეკიდებოდა გაქცეული ბოროტმოქმედებისადმი სროლის საკითხს, მაგრამ 1985 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილმა ვერდიქტმა მდგომარეობა შეცვალა. სასამართლომ დაადგინა: არ შეიძლება იმ პოლიციელის გამართლება, თუ მხოლოდ იმის გამო ესვრის ეჭვმიტანილს, რომ მან მიმალვა ვერ მოახერხა. ეჭვმიტანილი სერიოზულ საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს პოლიციელის ან სხვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებული იყოს მის მიმართ ცეცხლის გახსნა.

პოლიციელებისთვის ბრალდების წაყენების ▶

მოკლედ



## ჩილეში ვულკანი კალბუკო ამოიფრქვა

**ჩილეს სამხრეთ რეგიონში ვულკანი კალბუკო ამოიფრქვა, რის გამოც მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის ევაკუაცია გახდა აუცილებელი. 40 წელზე მეტია, აღნიშნული ვულკანი არ გააქტიურებულა.** საგანგებო სიტუაციების სამსახურმა განგაშის წითელი დონე გამოაცხადა. 20 კილომეტრის რადიუსში მცხოვრები 1 500 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. კალბუკოს ამოფრქვევის შედეგად ვულკანური ფერფლი რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე გავრცელდა. ვულკანთან ახლოს მდებარე ქალაქი პუერტო-მონტი მთლიანად ვულკანური ფერფლითაა დაფარული. ფერფლის გავრცელებას ელოდებიან მეზობელ არგენტინაში, სასაზღვრო რეგიონთან მდებარე ქალაქ ბარილოჩეშიც.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოლიციელების მიერ უიარაღო მსხვერპლთა სკანდალური მკვლელობების მთელი სერიის შემდეგ გაჩნდა კითხვები იმის თაობაზე, თუ რა უნდა გააკეთოს პოლიციის თანამშრომელმა, რომ ბოლოს და ბოლოს წაუყენონ ბრალდება დანაშაულის ჩადენის გამო. ხშირად საზოგადოებაში არ არსებობს საერთო აზრი, ძალზე შორს შეტოპა პოლიციამ თუ წესების დაცვით მოქმედებდა.




**2005 წლიდან დღემდე სასიკვდილო შედეგით დასრულებული სროლის გამო ბრალდებულ პოლიციელებს შორის 75%-ზე მეტი თეთრკანიანია. მსხვერპლთა ორი მესამედი უმცირესობებს განეკუთვნება და, ორის გარდა, ყველა შავკანიანია**




◀ შემთხვევათა მესამედში საქმეს ახლავს ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს, რომ სროლის მომენტში ექვმიტანილები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

საქმეების მეოთხედში პოლიციელების წინააღმდეგ ჩვენება მისცეს მათმა კოლეგებმა და დაადასტურეს, რომ სროლის მომენტში ექვმიტანილი საფრთხეს არ ქმნიდა. ამგვარ ჩვენებებს უდიდესი წონა აქვს — მათი სჯერათ როგორც მოსამართლეებს, ასევე ნაფიც მსაჯულებს.

**ყოველი მეხუთე შემთხვევისას პოლიციელები ანადგურებდნენ ან აყალბებდნენ ნივთმტკიცებებს საკუთარი თავის გადასარჩენად. ბრალდების აზრით, ეს უკვე არის მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმისა, რომ თვითონ პოლიციელები უსაფუძვლოდ აღიარებენ კონკრეტულ შემთხვევებში იარაღის გამოყენებას.**

კლივლენდში თეთრკანიანი პოლიციელი მაიკლ ბრელო ორი შავკანიანის მკვლელობისთვის გაასამართლეს მას შემდეგ, რაც ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს უამრავი ნივთმტკიცება და ჩვენება, მათ შორის ოცამდე ვიდეოჩანაწერი საავტომობილო ვიდეორეგისტრატორებიდან, გარე სათვალთვალო კამერებიდან და სკოლებთან და გზებზე დამონტაჟებული საგზაო პოლიციის კამერებიდან.

ეს საბედისწერო დანაშაული მაშინ დაიწყო, როდესაც 43 წლის ტიმოთი რასელი და 30 წლის მალისა უილიამსი ნოემბრის ერთ საღამოს კლივლენდის პოლიციის შტაბ-ბინის ახლოს მანქანით მიდიოდა. ამ დროს მათი მანქანის ძრავში ხმამაღალი ხმა გაისმა. პოლიციამ ეს სროლის ხმად მიიჩნია და ექვმიტანილებს დაედევნა. მალე რასელისა და უილიამსის მანქანას პოლიციელთა 62 მანქანა საათში 170 კილომეტრი სიჩქარით მისდევდა.

**კამერებმა აღბეჭდა ეს გამძვინვარებული დევნა, თუ როგორ კვეთდა წითელ შუქზე გზებს პოლიციის უამრავი მანქანა უდიდესი სისწრაფით.**

ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ექვმიტანილები სკოლის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე გაჩერდნენ. 11 პოლიციელმა ნახევარწრე შემოარტყა ექვმიტანილთა მანქანას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელთა რადიომ ორჯერ გაიმეორა, დევნილი ექვმიტანილები არ არიან შეიარაღებულნიო, პოლიციელებმა მაინც გახსნეს ცეცხლი და 139 გასროლა განახორციელეს.

**სემ ბრელომ ჯერ 34-ჯერ ესროლა მანქანას, შემდეგ მასზე ფეხით შედგა და ახლო მანძილიდან კიდევ 15-ჯერ ესროლა წინა საქარე მინას. მოგვიანებით მან გამომძიებლებს უთხრა, რომ მოეჩვენა, თითქოს მანქანიდანაც ისროდნენ.**

ნაფიც მსაჯულთა გაფართოებულმა კოლეგიამ ბრელო დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობაში და დაადგინა, რომ იგი „მრისხანების შემოტევის“ ზეგავლენით მოქმედებდა.

ბოულინგ-გრინის კრიმინოლოგი სტინსონი, რომელიც ადრე თავადაც პოლიციელი იყო, ამბობს, რომ სამართალდამცავები ხშირად იწყებენ უმიზეზოდ სროლას ძლიერი სულიერი მღელვარების გამო. „ისინი მიჩვეულნი არიან ბრძანებების გაცემას და ადამიანების მხრიდან მორჩილებას. მათ არ მოსწონთ, როდესაც ადამიანები არ უჯერებენ, ხოლო თუ მათ ბრძანებებს არ ასრულებენ, საქმე შეიძლება მივიდეს ძალადობამდე“, — ამბობს იგი.

შავკანიანმა პოლიციელმა ლევი რენდოლფმა ინდიანის შტატიდან სასიკვდილოდ დაჭრა ყელის არეში 16 წლის ბიჭი, როდესაც ის სამართალდამცველისგან თავის დაღწევას ღობეზე გადაძრომით ცდილობდა.

პროკურატურამ რენდოლფი გაუფრთხილებლობით მკვლელობაში დაადანაშაულა, მაგრამ, როდესაც საქმე სასამართლომდე მივიდა, ადვოკატმა განაცხადა, რომ რენდოლფმა საფრთხე იგრძნო ახალგაზრდისგან. პოლიციელის მტკიცებით, ბიჭი ორჯერ მიბრუნდა უკან და თან ჯიბეში რაღაცას ეძებდა. ცხადია, პოლიციელს ეს რაღაც პისტოლეტი ეგონა.

მართალია, მოკლულს ჯიბეში იარაღი არ აღმოაჩნდა, ნაფიცმა მსაჯულებმა მაინც უდანაშაულოდ ცნეს პოლიციელი.

**როგორც ექსპერტები ამბობენ, ნაფიცი მსაჯულები პოლიციელებს აღიქვამენ, როგორც კანონის მცველებს და არა კანონდამრღვევებს. სამოქალაქო პირებისგან განსხვავებით, პოლიციელთათვის ნებადართულია ძალის გამოყენება, უფრო მეტიც, მათგან ელიან კიდეც ამას.**

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას სროლის შემთხვევაში კანონების უმეტესობა ნაფიცი მსაჯულებისგან მოითხოვს პოლიციელის სულიერი მდგომარეობის შეფასებას — რამდენად ეშინოდა მას საკუთარი ან სხვათა სიცოცხლის გამო? შეშინდებოდა თუ არა იმავე მდგომარეობაში პოლიციის საღად მოაზროვნე თანამშრომელი?

ხშირად პროკურატურა ცდილობს, საქმე სასამართლომდე არ მიიყვანოს, შეთანხმდეს სასამართლომდელ რეგულირებაზე. საბრალდებო განაჩენის მიღწევა ძალიან რთულია, ბოლო ექვს საქმეში პოლიციელთა ადვოკატებმა მოახერხეს ბრალდების შესუსტება. ამ საქმეებზე გამოტანილ იქნა საბრალდებო განაჩენები, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლეებმა პოლიციელებს გამოსაცდელი ვადები მისცეს.

ჯორჯია ფერელის ქალიშვილი პოლიციაში მუშაობს, მისი ვაჟი კი პოლიციელმა მოკლა.

„ჩემს გოგოს უყვარს თავისი სამსახური, მაგრამ იცის, რომ ფორმა კარგ ადამიანად ვერ გაქცევს“, — ამბობს ჯორჯია.

ქალაქ შარლოტის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელი რენდალ კერიკი მომავალ ზაფხულს სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს განზრახ მკვლელობის ბრალდებით. 2013 წლის სექტემბერში მას საბედისწერო შეტაკება ჰქონდა ფერელის ვაჟთან.

შუაღამეს გადაცილებული იყო, როდესაც 24 წლის ჯონათან ფერელი, რომელიც ადრე საფეხბურთო გუნდ Florida A&M-ში თამაშობდა, თავისი მანქანით Toyota Camry გზისპირა არხში ჩავარდა. ამის თაობაზე პოლიციის ანგარიშშია ნათქვამი. შეშფოთებულმა ფერელმა უკანა მინა ფეხებით გაამტვრია, ავტომანქანიდან გადაძვრა და უახლოესი სახლისკენ გაემართა დახმარების სათხოვნელად.

**როდესაც ბიჭმა კარზე კაკუნი დაიწყო, სახლში მცხოვრები ქალი შეშინდა, პანიკამ შეიპყრო და 911-ზე დარეკა. გამოძახების შედეგად ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა გამომძიებლებს უამბეს, რომ მათ ფერელი სახიფათოდ მიიჩნიეს. როდესაც შავკანიანმა ფერელმა უარი განაცხადა მათი ბრძანების შესრულებაზე და მიწაზე დაწოლაზე, თეთრკანიანმა პოლიციელმა კერიკმა ცეცხლი გახსნა და ბიჭს ათჯერ ესროლა.**

როდესაც პოლიციის უფროსმა როდნი მონრომ ამ ინციდენტის 15-წამიანი ვიდეოჩანაწერი ნახა, იმავე დღეს დააპატიმრა კერიკი და განაცხადა, რომ „მას უფლება არ ჰქონდა, აღნიშნული შემთხვევის დროს იარაღი გამოეყენებინა“.

კერიკის ადვოკატმა მაიკლ გრინმა განაცხადა, რომ ვიდეო ჩანაწერი სულ სხვა რამეს მოწმობს. „იმ ღამით პოლიციელმა კერიკმა საკუთარი მოვალეობა შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ სროლამ ტრაგედია განაპირობა, ის გამართლებული იყო. ვიდეოჩანაწერში ისმის, თუ როგორ ეუბნება პოლიციელი ექვმიტანილს რამდენჯერმე, რომ დაწვეს მიწაზე... სასამართლოზე კი, როგორც ვიცი, შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც იტყვიან, რომ ფერელი სახლთან დახმარების სათხოვნელად არ მისულა“.

ჯორჯია ფერელი შიშობს, რომ ნაფიცი მსაჯულები ამ ვერსიას დაიჯერებენ. როგორც ადამიანი, რომელსაც პირადი მიზეზები აქვს, დიდი პატივისცემით იყოს განმსჭვალული პოლიციელების მიმართ, იგი დარწმუნებულია, რომ პოლიციის ოფიცრის გასამართლება და დასჯა ძალზე რთული საქმეა.

„საზოგადოებამ თავში ჩაიჭედა, რომ პოლიციელი მუდამ მართალია, — ამბობს იგი. — ეს უნდა შეიცვალოს“...

**The Washington Post**




## ბიონარკოტიკებს «ფერადი რევოლუციების» მოსაწყობად ამზადებენ

**რუსეთის ნარკოტიკების კონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელი ვიქტორ ივანოვი აცხადებს, რომ „სფაისის“ ახალ სახეობებს „ფერადი რევოლუციების“ მოსაწყობად ამზადებენ. „შარშან ჩვენ შევეჩეხეთ ფენომენს, როდესაც ცნობილი სინთეტიკური ნარკოტიკი გაამდიდრეს ახალი ფტორშემცველი რადიკალით და ნარკოტიკულმა ნივთიერებამ საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერების თვისებები შეიძინა, რამაც სიკვდილიანობის ეპიდემია გამოიწვია“, — განაცხადა ივანოვმა. „მსგავსი ნივთიერებების „ფერად რევოლუციებში“ გამოყენებაზე გარკვეული სამეცნიერო ცენტრები მუშაობენ“, — განაცხადა რუსული ფედერალური უწყების ხელმძღვანელმა.**

სინთეტიკური ნარკოტიკი, რომელსაც საქართველოში ბიორნარკოტიკის სახელით იცნობენ, თხევადი სინთეტიკური ნივთიერებაა, რომელსაც ჩვეულებრივ თუთუნს ან სანელებელ ბალახს აპკურებენ. აქედან მოდის მისი საერთაშორისო სახელი „სპაისი“, რომელიც ინგლისურად სანელებელს ნიშნავს. ასეთი დამუშავების შემდეგ თუთუნის ან ბალახის მოწევა ადამიანის ძლიერ ნარკოტიკულ თრობას იწვევს. ნარკოტიკი განსაკუთრებით საშიშია, სწრაფად იწვევს დამოკიდებულებას და მისი მოხმარება ხშირად სიკვდილით სრულდება.

მთავარ პრობლემას კი ის წარმოადგენს, რომ ბიონარკოტიკის შეძენა ნებისმიერ მოქალაქეს ინტერნეტის საშუალებით შეუძლია.






## აშშ-მა რუსეთი დონბასში საზენიტო რაკეტების შეტანაში დაადანაშაულა

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეტანაში დაადანაშაულა.** „ჩვენ აღმოსავლეთ უკრაინაში აგვისტოს შემდეგ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მაქსიმალურ რაოდენობას ვაფიქსირებთ. ეჭვგარეშეა, რომ ამაში რუსეთია ჩართული“, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა. „წვრთნებში ასევე მონაწილეობს რუსეთის უპილოტო საფრენი აპარატები, ეს რუსეთის ყოფნის უეჭველი ნიშანია“, — განაცხადა ჰარფმა. მისივე თქმით, რუსეთი უკრაინის საზღვრების გასწვრივ ზრდის სამხედრო დაჯგუფებას და მისმა რაოდენობამ ოქტომბრის შემდეგ მაქსიმუმს მიაღწია.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2019 წლისათვის აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში საოცრად ცოტა ცვლილებები განხორციელდება. ეს ცვლილებები გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ცივი ომის დასრულების შემდგომ ოპერიოდში და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე პერიოდში.**

# ამერიკის შეიარაღებული ძალები შემაშფოთებლად დაძველდა

**აშშ-ის შეიარაღებული ძალების უცვლელი სტრუქტურა წარმოადგენს ხელგაშლილობისა და სიძუნწის ერთდროულ გამოვლინებას. გლობალური პრობლემების ჩიკაგოს საბჭოში სიტყვით გამოსვლისას 18 თებერვალს სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე სავარაუდო კანდიდატმა — ჯებ ბუშმა განაცხადა, რომ „მომავალმა პრეზიდენტმა უნდა განახორციელოს სამხედრო სტრატეგიის სტრატეგიული გადახედვა. შემდეგ კი საჭირო იქნება ამ სტრატეგიის დაფინანსება“.**

სავარაუდოდ, ყველა კანდიდატი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, მსგავს განცხადებებს გააკეთებენ. 2017 წლის იანვარში, დიდი ალბათობით, პენტაგონის სათავეში ახალი გუნდი მოვა, გუნდი, რომელიც მოინდომებს თავდაცვითი სტრატეგიის სფეროში საკუთარი იდეების რეალიზებას.

არჩევნების შემდგომი ახალი სტარტი შესაძლებელს გახდის ვაშინგტონში საბიუჯეტო ომის დასრულებაზე ოცნებას, რისკენაც მოუწოდა ბუშმა თავის გამოსვლაში.

**ბუშის მოწოდება იმის თაობაზე, რომ ამერიკას უნდა ჰქონდეს XXI საუკუნის თავდაცვითი შესაძლებლობები, ნიშნავს, რომ მას არ სჯერა, თითქოს მისი ქვეყანა ამჟამად განაგებზდეს მსგავს ძალებს.**

2014 წელს გამოსულ სამხედრო პოლიტიკის ოთხწლიან მიმოხილვაში საუბარია პერსპექტიულ ძალებზე — 2019 წლისათვის დაგეგმილ შეიარაღებულ ძალებზე. საოცარია, როგორ ჰგავს ეს ძალები შეიარაღებული ძალების სტრუქტურას, რომელზეც საუბარია 2001 წლის ანგარიშში.

რეგულარული სახმელეთო ჯარების საბრძოლო ნაწილები თითქმის იდენტურია: სახმელეთო ჯარების 10 საბრძოლო დივიზია, პლუს საზღვაო ქვეითთა კორპუსის სამი დივიზია და საავიაციო ფრთები 2001 და 2019 წლებში. ასევე არსებობს რამდენიმე ცვლილება სამხედრო-საზღვაო ძალებში ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე: მინუს ერთი ავიამზიდი 2019 წელს; 51 დამრტყმელი წყალქვეშა ნავი 2019-ში, 2001 წელს ასეთი 56 ნავი იყო; 93 კრეისერი და ესკადრული ნაღმმზიდი, 2001-ში ამ კატეგორიაში სულ 81 ერთეული იყო.

**ყველაზე შესამჩნევი ცვლილება სამხედრო-საზღვაო ძალებში არის სადესანტო გემების შემცირება 2001 წლის 41 ერთეულიდან 2019 წლის 31 ერთეულამდე. მოქმედი გამანადგურებელი ესკადრილიების რაოდენობაც მცირდება 46-დან 26-მდე, ხოლო საბრძოლო ბომბდამშენებისა — 112-დან 96-მდე.**

ამ 18-წლიან პერიოდში პენტაგონმა გაზარდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პოტენციალი, სპეციალური ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო ძალები, ასევე შეიქმნება საბრძოლო კიბერქვეგანყოფილებების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ეს მნიშვნელოვანი ადაპტაციაა, მაგრამ ის შეადგენს პენტაგონის საერთო ბიუჯეტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს.

თუ აღნიშნულ კორექტირებებს არ გავითვალისწინებთ, ასევე უგულებელვყოფთ სამხედრო-საჰაერო ძალებში გამანადგურებელი ესკადრილიების მნიშვნელოვან შემცირებას და სამხედრო-საზღვაო ძალების სადესანტო გემების შემცირებას საზღვაო ქვეითთა კორპუსისათვის, გამოვა, რომ **2019 წლისათვის აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში საოცრად ცოტა ცვლილებები განხორციელდება. ეს ცვლილებები გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ცივი ომის დასრულების შემდგომ ოპერიოდში და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე პერიოდში.**

თუკი გავაანალიზებთ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ისტორიას ბოლო საუკუნის მანძილზე, დიდი ძალისხმევის გარეშეც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევების აღმოჩენა, რომელთა დროსაც შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, ფაქტობრივად, უცვლელი რჩებოდა ორი ათწლეულის განმავლობაში. ამ უცვლელობის მიზეზები სავსებით გასაგებია. ახალი სამხედრო ტექნოლოგიები, ასევე გაჩენილი და გამქრალი გამოწვევები ცვლის სტრატეგიულ ლანდშაფტს და ქმნის ინოვაციების, ადაპტაციის, ასევე თავდაცვითი რესურსების ხელახალი გადანაწილების აუცილებლობას.

2001-დან 2019-წლამდე პერიოდში ღრმა სტრატეგიული ცვლილებების უკმარისობა არ შეიმჩნევა. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების კონფიგურაციისთვის და მისი გრძელვადიანი ოპერატიული კონცეფციისა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო გემთსაწინააღმდეგო რაკეტებისა და მოქმედების შორი რადიუსის მქონე მიწა-მიწა რაკეტების, ასევე მათ მიერ მართვადი სენსორული სისტემებისა და სამართავი ქსელების სწრაფი გავრცელება.

შექმნილი მდგომარეობა, რომელსაც ყველაზე აქტიურად ჩინეთი იყენებს და მასთან ერთად სხვა პოტენციური მოწინააღმდეგეებიც, ეჭვქვეშ აყენებს ამერიკული საექსპედიციო ძალებისა და მათი განთავსების შესახებ გეგმების ფორმირების განმსაზღვრელ ფუნდამენტურ პრინციპს. ათწლეულების განმავლობაში მაღალი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსები და სამხედრო პირები ამოდიოდნენ იქიდან, რომ მათ წვდომა ექნებოდათ ევრაზიის პერიფერიებზე განლაგებულ ბაზებთან და რომ ეს ბაზები, ასევე ტაქტიკური სამხედრო-საზღვაო ძალები, მთლიანობაში მოახერხებენ ძალის საკუთარი შეხედულებისადმი პროექცირებას. ეს პერიოდი უკვე სრულდება და მიმდინარე რადიკალური ცვლილებები ელის საკუთარი ანარეკლის პოვნას პენტაგონის შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში, ასევე პენტაგონის გეგმებშიც.

გარდა ამისა, ამ პერიოდში მიზანსწრაფულად მიიწევენ სცენისაკენ კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული არასახელმწიფოებრივი მოთამაშეები, რომლებსაც, სხვათა შორის, პოლიტიკური მიზნები აქვთ (მაგალითად „ალ ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“). ამავე დროს, სცენაზე გამოდიან მკაცრად კომერციული, მაგრამ ძალადობისათვის მზად მყოფი ტრანსნაციონალური დამნაშავეობრივი ორგანიზაციები, რომელთა დამანგრეველი შესაძლებლობები ხშირად კიდევ უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისთვის. **ბოლოდროინდელი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების** ▶



**ბოლოდროინდელი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები ვერ იქნებიან შესაბამისი და ქმედითი მოწინააღმდეგენი ამგვარი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში**



**თავდაცვის ბოლოდროინდელი მინისტრი ჩაკ ჰეიგელი და მისი მოადგილე რობერტ უორკი იძულებულნი გახდნენ, გამოსულიყვნენ თავდაცვის ინოვაციური ინიციატივით, რომლის მიზანიც იყო პენტაგონის მიერ ადაპტური ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, სამხედრო თამაშების მოწყობა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება პერსონალის სფეროში**

მოკლედ



## «ისლამური სახელმწიფოს» ლიდერი მძიმედ დაიჭრა

**ბრიტანული გამოცემა The Guardian-ის ცნობით, ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ავიადაბომბვის დროს მძიმედ დაიჭრა.** ისლამისტთა მეთაური კოალიციის ავიაციის მიერ ნინევიაზე განხორციელებული ავიაიერიშის ზონაში მოხვდა. ინციდენტის შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელობამ, ახალი ლიდერის არჩევის მიზნით, თათბირიც მოაწყო, რადგან ალ-ბაღდადის გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. ჭრილობა სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, თუმცა ისლამისტთა ბელადმა მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა შეძლო.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რთულ სიტუაციებში კლინტონი ჯანსაღად ვერ აფასებდა შექმნილ მდგომარეობას და აქტიურად გამოდიოდა ძალოვანი მეთოდების გამოყენების მხარდასაჭერად. ყოველივე ეს კი საკმარისი მიზეზია მის მიმართ კრიტიკული განწყობის შესაქმნელად.**

**ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები ვერ იქნებიან შესაბამისი და ქმედითი მოწინააღმდეგენი ამგვარი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

დღეს სულ უფრო რთულია იმაზე საუბარი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უცვლელი სტრუქტურა მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდში წარმოადგენს შესაძლებლობების ჭკვიანურ ნაკრებს, რომლებიც სავსებით შეესაბამება როგორც 2001 წლის, ასევე 2019 წლის გამოწვევებს. სინამდვილეში, მოწინააღმდეგეების მიერ განხორციელებულმა ადაპტაციამ შეასუსტა აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულება.

შეიარაღებული ძალების უცვლელი სტრუქტურა გახდა ძვირად ღირებული და უამრავი სისტემის დაგროვების მიზეზი და შედეგად, პოტენციური მოწინააღმდეგე, იყენებს რა ისეთ საშუალებებს, როგორიცაა არასტანდარტული ქმედებები და მაღალი სიზუსტის რაკეტები, შეძლებს ამ სისტემების შესაძლებლობებთან გამკლავებას ბრძოლის ველზე, ასევე შეძლებს მათ შემცირებას ან საერთოდ განადგურებას.

ამასთანავე, სხვა სტრუქტურული ელემენტების, მათ შორის წყალქვეშა ნავების, მოქმედების შორი რადიუსის მქონე ავიაციის, სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფებისა და კრიზისულ სიტუაციებში გამოსაყენებელი საზღვაო ქვეითთა კორპუსის ქვედანაყოფების რაოდენობა ნამდვილად ვერ შეესაბამება რეგიონული მეთაურების მოთხოვნებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად რამდენიმე კრიზისული სიტუაცია წარმოიშვება. შეიარაღებული ძალების განუზომელი სტრუქტურა ერთდროულად ხელგაშლილობის გამოვლინებაცაა და სიძუნწისაც, პარალელურად კი სუსტდება დაშინების ეფექტი და მატულობს სტრატეგიული რისკები.

თავდაცვის მინისტრის აპარატს, ასევე შტაბების მეთაურთა კომიტეტს შეიარაღებული ძალების სტრუქტურის დაგეგმვის ძალზე რთული პროცესი აქვთ. და, მიუხედავად ჭკვიანი და გამოცდილი სტრატეგების მთელი არმიისა, რეფორმების გატარებისას უამრავი ინსტიტუციური ბარიერი ერთ ადგილას ყინავს რესურსების ადაპტაციის პროცესს.

ზოგიერთი სამხედრო ანალიტიკოსი იმედოვნებს, რომ პენტაგონის ბიუჯეტის შემცირება აიძულებს მას, გამოიყენოს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომა საკითხისადმი, ისევე, როგორც ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის წინა ორი ათწლეულის მანძილზე. იმ პერიოდში მკაცრი ეკონომიის გამო ამერიკის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი რესურსები, რომლებიც თავდაპირველად განკუთვნილი იყო ტრადიციული სახმელეთო ჯარებისთვის, გადაისროლეს სამხედრო-საჰაერო ძალების განვითარებისაკენ, განსაკუთრებით სტრატეგიული ბომბდამშენებისაკენ, რომლებიც იმ პერიოდში სადავო კონცეფციას წარმოადგენდა.

სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობამ შეინარჩუნა სახსრები, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში საბრძოლო გემების „საზარბაზნე კლუბის" განკარგულებაში აღმოჩნდებოდა და გახარჯა ავიამზიდებსა და ავიაციაზე, წყალქვეშა ნავებსა და ექსპერიმენტებზე საზღვაო ქვეითთა კორპუსისათვის სადესანტო გემების მშენებლობის მიმართულებით. მეორე მსოფლიო ომში ჩართვის მომენტისათვის ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში იყო დოქტრინა, მომზადების სისტემა და ოპერატიული კონცეფციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დომინირებას ცოტა ხნის წინათ გაჩენილ სფეროებში.

**თავდაცვის ბოლოდროინდელი მინისტრი ჩაკ ჰეიგელი და მისი მოადგილე რობერტ უორკი იძულებულნი გახდნენ, გამოსულიყვნენ თავდაცვის ინოვაციური ინიციატივით, რომლის მიზანიც იყო პენტაგონის მიერ ადაპტური ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, სამხედრო თამაშების მოწყობა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება პერსონალის სფეროში.**

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი ადაპტიური რეფორმები და რესურსების გადანაწილება ჯერ წინაა. რეფორმის გზაზე მდგარი ინსტიტუციონალური ბარიერების დასაძლევად ამერიკის მომდევნო პრეზიდენტი იძულებული იქნება, პირადად დაკავდეს ამ პრობლემით, ასევე იმუშაოს კონგრესის ლიდერებთან და პენტაგონის მაღალი რანგის თანამშრომლებთან ერთად იმისათვის, რომ რეფორმების გატარებას მიაღწიოს. პრეზიდენტს ასევე დასჭირდება იმ სამხედრო ხელმძღვანელების მოძიება, რომლებიც მოინდომებენ უფრო ადაპტირებული შეიარაღებული ძალების შექმნას.

ეფექტური ადაპტაცია მოითხოვს ნაცადი თავდაცვითი სტრატეგიების გამოყენებას, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ადრე გაუანალიზებელ დადგენილებებს და მოითხოვს მომავლის და არა წარსულის შესაბამისი ოპერატიული კონცეფციების გამოყენებას. მხოლოდ მაშინ მიხვდებიან მაღალი რანგის პოლიტიკოსები, სინამდვილეში თუ როგორი თავდაცვის ძალებია საჭირო XXI საუკუნეში. პენტაგონს ადრეც შეეძლო ადაპტირება და კვლავაც შეუძლია, გააკეთოს ეს.

**The National Interest**

# ქორი კლინტონი

**იმ შემთხვევაში, თუ ჰილარი კლინტონი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს, ამერიკის საგარეო პოლიტიკა გაცილებით უხეში გახდება.**



ჰილარი კლინტონი მთავარი ფავორიტია დემოკრატიული პარტიიდან 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატურის წამოყენებისათვის გამართულ ბრძოლაში. მისი ძლიერი მხარე არის უდავოდ სოლიდური გამოცდილება 23 წლის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. იგი ჯერ პირველი ლედი და პრეზიდენტი ქმრის — ბილ კლინტონის (პრეზიდენტი იყო 1993-დან 2001 წლამდე) უახლოესი მრჩეველი გახლდათ, შემდეგ გახდა სენატორი ნიუ იორკის შტატიდან და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველი ვადის პერიოდში — 2009-დან 2013 წლამდე.

თუმცა, ამხელა გამოცდილება, მეორე მხრივ, შესაძლოა, პრობლემადაც კი იქცეს. ჰილარი კლინტონი იდგა იმ გადაწყვეტილებების მიღმა, რომელთაც მისივე მომხრე დემოკრატები ძალზე არაერთგვაროვნად აფასებენ. საგარეო პოლიტიკაში მან თავი გამოავლინა, როგორც უფრო დიდმა „ქორმა", ვიდრე თვით ბარაკ ობამაა. ამასთანავე, სწორედ საგარეო პოლიტიკის კონტექსტში რთულია ბოლომდე იმის გაგება, თუ რა შეხედულებებს იზიარებდა იგი.

თავად კლინტონი საკუთარ თავზე ამბობს, რომ არც „იდეალისტია" და არც „რეალისტი", არამედ „იდეალისტურად განწყობილი რეალისტია". რას შეიძლება ნიშნავდეს ეს?

ევროპულ დედაქალაქებში მისი წყალობით ფიქრობენ, რომ აშშ დაიწყებს დიდწილად ფუძემდებლური ღირებულებების, როგორიცაა თავისუფლება და დემოკრატია, მთელ მსოფლიოში წინ წამოწევის საგარეოპოლიტიკური კურსის გატარებას, რაც ამერიკულ ინტერესებს შეესაბამება.

**რთულ სიტუაციებში კლინტონი ჯანსაღად ვერ აფასებდა შექმნილ მდგომარეობას და აქტიურად გამოდიოდა ძალოვანი მეთოდების გამოყენების მხარდასაჭერად. ყოველივე ეს კი საკმარისი მიზეზია მის მიმართ კრიტიკული განწყობის შესაქმნელად.**

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ჰილარი კლინტონმა ბარაკ ობამასთან წააგო დემოკრატიული პარტიიდან კანდიდატის წარდგენის შეჯიბრებაში 2008 წელს, ერაყში აშშ-ის მიერ სამხედრო მოქმედებების წარმოების მიმართ მისი მხურვალე მხარდაჭერაა. 2003 წელს მან მხარი დაუჭირა ამ ქვეყანაში შეჭრის წინადადებას. აღნიშნულ ფაქტს ობამა მთელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქტიურად იყენებდა მის წინააღმდეგ.

სწორედ იმ მომენტში გაჩნდა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდა, რომ ერაყში შეჭრის გასამართლებლად მცდარი ინფორმაცია გამოიყენებოდა — სადამ ჰუსეინი არ ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღის უზარმაზარ მარაგს, როგორც ამას აშშ-ის ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა.

**კლინტონის პრობლემა არის ის, რომ ერაყში შეჭრის შედეგები მთელი თავისი ტრაგიკულობითა და სისასტიკით ქვეყნის ტელეარხებით გადაიცემა, როდესაც ამერიკელებს უჩვენებენ „ისლამური სახელმწიფოს" მხეცობების ამსახველ კადრებს ან უამბობენ აშშ-ის ახალი სამხედრო ოპერაციების თაობაზე ამ ტერორისტული ორგანიზაციის გასანადგურებლად.**

**რესპუბლიკელები აუცილებლად გაიხსენებენ 2012 წლის ბენღაზის ტრაგედიას, რომელთან დაკავშირებითაც ჩნდება კითხვა: შეეძლო თუ არა ჰილარი კლინტონს რაიმეს გაკეთება იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ელჩის — კრისტოფერ სტივენსის მკვლელობა? მართალია, ამ საკითხზე სენატში მოსმენებმა უკვე ჩაიარა, მაგრამ აღნიშნული ტრაგიკული ისტორია აქამდე ცოცხალია ამერიკელთა მეხსიერებაში**

კითხვები ჩნდება იმ გადაწყვეტილების მიმართაც, რომელიც 2011 წელს ლიბიაზე დარტყმას ითვალისწინებდა. ამერიკის ხელისუფლებას ეჭვი ჰქონდა ამ აქციასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. ჰილარი კლინტონი, თავის მხრივ, მომხრე იყო და სხვებთან ერთად გაეროში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის — სიუზენ რაისის მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

**კლინტონის წარმოდგენით ლიბიაზე ავიადარტყმები და მუამარ კადაფის განადგურება ქვეყანაში დემოკრატიის დამყარებას შეუწყობდა ხელს. დიქტატორი განადგურებულია, მაგრამ ლიბიაში სიტუაცია ძალზე შორსაა იმისგან, რასაც ტერმინი დემოკრატია გულისხმობს.** ქვეყანა სინამდვილეში „ისლამური სახელმწიფოს" აკვნად იქცა. ლიბიაში ჰუმანიტარული მდგომარეობა შეიძლება კატასტროფულად დახასიათდეს, ქვეყანა გამოიყენება, როგორც სატრანზიტო პუნქტი ევროპაში არალეგალური იმიგრაციისათვის. სამხედრო ექსპერტები ლიბიაში განხორციელებულ ოპერაციას სტრატეგიულ მარცხად ახასიათებენ.

**რესპუბლიკელები აუცილებლად გაიხსენებენ 2012 წლის ბენღაზის ტრაგედიას, რომელთან დაკავშირებითაც ჩნდება კითხვა: შეეძლო თუ არა ჰილარი კლინტონს რაიმეს გაკეთება იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ელჩის — კრისტოფერ სტივენსის მკვლელობა? მართალია, ამ საკითხზე სენატში მოსმენებმა უკვე ჩაიარა, მაგრამ აღნიშნული ტრაგიკული ისტორია აქამდე ცოცხალია ამერიკელთა მეხსიერებაში.**

კლინტონის რეპუტაციას არ აუმჯობესებს არც ის ფაქტი, რომელიც მის მიერ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში კერძო სერვერებზე განთავსებული ელექტრონული საფოსტო ყუთების გამოყენებას უკავშირდება. მით უფრო, რომ მან მხოლოდ იმ შემთხვევებზე ისაუბრა, რომელთაც, მისი აზრით, სამუშაოსთან ჰქონდა კავშირი. დანარჩენები უბრალოდ წაშალა. ამ ყველაფერმა ამერიკელები უნდა დააფიქროს — შეიძლება თუ არა კლინტონის ნდობა თუ ის კიდევ მალავს რაღაცას?

ბოლო წლებში ჰილარი კლინტონი მხარს უჭერდა ავღანეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანას, თუმცა დადგენილი ვადების წინააღმდეგი იყო. იგი აქტიურად მოუწოდებდა პრეზიდენტს, იარაღი მიეცა არაისლამისტი მეამბოხეებისთვის სირიაში, მაგრამ პრეზიდენტმა ეს რჩევა არ გაიზიარა. კლინტონმა, ასევე, თავს უფლება მისცა, გაეკრიტიკებინა პრეზიდენტი იმის გამო, რომ საგარეო პოლიტიკაში იგი ერთადერთი პრინციპის ერთგული რჩება — „არ ჩაიდინოს სისულელეები".

ერაყში, ავღანეთში, ლიბიასა და სირიაში ოპერაციების შემდეგ ომებით დაღლილი ამერიკის შეერთებული შტატები ბარაკ ობამას მეთაურობით ახორციელებს თავშეკავებულ პოლიტიკურ კურსს. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის სავარძელს ჰილარი კლინტონი დაიკავებს, ეს ხაზი, შესაძლოა, შეიცვალოს.

**Dagens Naeringsliv**

მოკლედ

## «ისლამურმა სახელმწიფომ» და «თალიბანმა» ერთმანეთს ჯიჰადი გამოუცხადეს

**ავღანეთის უშიშროების სამსახურს ხელთ ჩაუვარდა „ისლამური სახელმწიფოსა" და მოძრობა „თალიბანის" დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ექსტრემისტულმა ორგანიზაციებმა ერთმანეთს ომი გამოუცხადეს.** ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრეთ ავღანეთის პროვინციის ხელმძღვანელი გილმედ ნაბი ჟან მულაჰილი ავრცელებს. „ხელთ ჩამივარდა წერილები, რომლებშიც „ისლამურმა სახელმწიფომ" და „თალიბანმა" ერთმანეთს ჯიჰადი გამოუცხადეს", — განაცხადა პოლიციის უფროსმა. მისივე სიტყვებით, „ისლამური სახელმწიფოს" მეთაურმა აბუ ალ-ბაღდადიმ „თალიბანის" შემქმნელს, მულა მუჰამედ ომარს, „გაუნათლებელი მებრძოლი" უწოდა, რომელიც „ნდობას არ იმსახურებს".



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# მექსიკა — აცტეკებისა და მაიას სამშობლო


ჩიჩენ-იცა — მაიას პოლიტიკური და კულტურული ცენტრი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

მექსიკა — მექსიკის შეერთებული შტატები — ეს არის სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელიც ჩრდილოეთით ესაზღვრება აშშ-ს; სამხრეთ აღმოსავლეთით — ბელიზსა და გვატემალას; დასავლეთით გასასვლელი აქვს წყნარ ოკეანეზე; აღმოსავლეთით — კარიბის ზღვაზე.

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს აცტეკების უზენაესი ღმერთის — მექსიტლის სახელიდან.

მექსიკის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების მტკიცებულებები ჩვ.წ. აღ.-მდე XX საუკუნით არის დათარიღებული. ჩვ.წ.აღ.-მდე XII-V საუკუნეებში მექსიკის ტერიტორიაზე ყვაოდა ოლმეკების ტომის კულტურა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელ ცივილიზაციებზე. ეს იყო ტეოტიუკანის, საპოტეკების, ტოტონაკუბისა და მაიას კულტურები. მაიას კულტურის მიღწევებიდან აღსანიშნავია იეროგლიფებით დაწერილი წერილები, არქიტექტურული სტილი, ზუსტი კალენდარი, უდიდესი ცოდნა მათემატიკასა და ასტრონომიაში. XII საუკუნეში მექსიკის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ აცტეკები, რომლებმაც მძლავრი იმპერია შექმნეს. XVI საუკუნიდან კი მექსიკა ესპანელებმა დაიპყრეს, 1810 წლის 16 სექტემბერს კი მექსიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ მექსიკა ჩრდილოეთ ამერიკას მიეკუთვნება, მისი საკმაო ნაწილი ცენტრალურ ამერიკაშია.

**კლიმატი.** მექსიკაში ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატია. მთაგორიან ზონაში, რომელიც 1000 მეტრიდან 2500 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობს, ტემპერატურა ზამთარში +2-დან +15 გრადუსამდე მერყეობს, ამ პერიოდში ქვეყნის სამხრეთში ტემპერატურა +20 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოდის.

**ფლორა.** მექსიკის ფლორის მრავალფეროვნება განპირობებულია კლიმატური პირობებით. ქვეყნის ჩრდილოეთში ხარობს კაქტუსი (500 სახეობა), აგავა. ცხელი რეგიონების დიდი ნაწილი დაფარულია ტროპიკული ტყეებით, რომლებშიც ხარობს პალმა, კაუჩუკი, ზეთისხილი; მთის ფერდობებზე — მუხა, ფიჭვი, ნაძვი.

**ფაუნა.** ქვეყნის ჩრდილოეთში ბინადრობენ მგლები და კოიოტები, აგრეთვე, ავაზები, დათვები; სანაპიროებზე — სელაპი, კუ, ჩხრიალა გველი.

**უდიდესი მწვერვალია ორისაბა** (5700 მ)

**უდიდესი მდინარე: რიო გრანდე** (3034 კმ)

**ყველაზე დიდი ტბა: ჩაპალა.**

**ტერიტორია: 1,9 მლნ კვ. კმ** (მე-13 მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2014 წლის აღწერის მიხედვით, მექსიკაში 120,3 მლნ კაცი ცხოვრობს (მე-11): მეტისები (ევროპელებისა და ინდიელების შთამომავლობა) — 60%; ინდიელები — 30%; ევროპელები — 9%; სხვები — 1%. ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია: აცტეკები, მაია, საპოტეკები.


საკათედრო ტაძარი მეხიკოში

დედაქალაქი: **მეხიკო** — 8,8 მლნ (გარეუბნებით — 21,2 მლნ)

უდიდესი ქალაქები: **გვადალახარა** — 1,5 მლნ (გარეუბნებით — 4,9 მლნ); **პუებლა** — 1,6 მლნ (გარეუბნებით — 3 მლნ); **მონტერეი** — 1,3 მლნ (გარეუბნებით — 4 მლნ).

ოფიციალური ენა: ესპანური.

## მმართველობის ფორმა და რელიგია

მექსიკის შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და იყოფა 31 შტატად და ერთ ფედერაციულ ოლქად — მეხიკოს ოლქი. შტატები, რომლებსაც თავიანთი კონსტიტუცია აქვთ, თავის მხრივ, იყოფა მუნიციპალიტეტებად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. ამჟამად მექსიკის პრეზიდენტია **ენრიკე პენია ნეტო.**

**რელიგია.** მექსიკის მოსახლეობის 76,5% კათოლიკეა, 4,9% — პროტესტანტი (მათ შორის ორმოცდაათიანელები და ღმერთის ასამბლეის წარმომადგენლები — 1,4), იეღოვას მოწმეები — 1,1%, ათეისტები — 3,1%, სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები — 0,3%.

## ეკონომიკა

მექსიკა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. 1970-იან წლებში, ახალი ნავთობსაბადოს აღმოჩენის შემდეგ, მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ ნავთობმომპოვებელ ქვეყნად იქცა (მე-7). მოიპოვებენ, აგრეთვე, რკინას, გოგირდს, ვერცხლისწყალს, გრაფიტს.

მექსიკა ფლურიტის (გამოიყენება მეტალურგიაში, ქიმიურ და კერამიკის მრეწველობაში, ოპტიკური საგნების დასამზადებლად და სხვ.) უდიდესი მომპოვებელია მსოფლიოში. ქვეყანაში განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და კვების მრეწველობები.

სოფლის მეურნეობაში დიდია მარცვლეულის წარმოების წილი. მოჰყავთ: სიმინდი, ხორბალი, სოია, ლობიო, ბამბა, ყავა, პომიდორი, ხილი და სხვ.

მექსიკის მთლიანი შიდა პროდუქტი 1,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს (მე-12), მოსახლეობის ერთ სულზე — 15,3 ათას დოლარს.

**ვალუტა: მექსიკური პესო.**

**ინტერნეტდომენი: mx.**

**სატელეფონო კოდი: +52.**

**საათობრივი სარტყელი: UTC/GMT-6.**

## კულტურა

მექსიკის კულტურა ჩამოყალიბდა კოლუმბამდელი ამერიკისა და ესპანური კულტურების შერწყმის (XVI საუკუნე) შედეგად, XX საუკუნიდან კი აშშ-ის გავლენა განიცადა.

მექსიკაში პოპულარული იყო კედელზე ხატვის ხელოვნება — ფრესკა, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ აცტეკები და მაიას ტომის წარმომადგენლები. ფრესკებს ქმნიდნენ ცნობილი მექსიკელი მხატვრებიც: **დიეგო რივერა, ხოსე კლემენტე** და **დავით სიკეიროსი.** ამ ქვეყნის შვილია ცნობილი მხატვარი ქალი **ფრიდა კალო.**


მეხიკო

კოლუმბამდელი ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწია მეზოამერიკის ძირძველი მოსახლეობის ლირიკული და ეპიკური პოეზიის ნიმუშებმა. მექსიკური ლიტერატურის პირველ მხატვრულ ნაწარმოებად კი ითვლება **ბერნარდო დე ბალბუენას** პოემა „მექსიკის დიდებულება" (1604).

თანამედროვე მექსიკელი მწერლებიდან აღსანიშნავია **ხუან ხოსე არეოლა, ხუან რულფო, კარლოს ფუენტესი, ფერნანდო დელ პასო** და **ოქტავიო პასი**, რომელსაც 1990 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს.


ჩაიოტი

**ღირსშესანიშნაობები:** მეხიკოში — ეროვნული ტაძარი, მუნიციპალიტეტის სასახლე, სამი კულტურის მოედანი, ჩაპულტერეკის ციხე, გვადელუპის სახელობის ბაზილიკა, ეროვნული ისტორიული მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი; მერიდაში — ჩიჩენ-იცა — მაიას უძველესი ქალაქის ნანგრევები, არქეოლოგიური მუზეუმი, მონტერეიში — მოედანი პლაზა — სარაგოსა, ვილია — ერმისაში — მუზეუმი — ნაკრძალი.

## სამზარეულო

მექსიკაში ბევრია როგორც მაღალხარისხიანი საკვები პროდუქტები კერძების დასამზადებლად, ისე ადამიანები, რომლებიც ამ კერძების დამზადებით სიამოვნებას იღებენ. ყველა კერძში იყენებენ ცხარე წიწაკა ჩილისა და სხვადასხვა სანელებლებს.

კერძებს ამზადებენ სიმინდისგან, ტკბილი და ჩვეულებრივი კარტოფილისგან, გოგრისგან, ლობიოსგან, პომიდვრისგან ავოკადოსა და, რა თქმა უნდა, ხორცისგან.

მექსიკის სავიზიტო ბარათი წიწაკა ჩილისთან ერთად არის **ჩაიოტი** — გემრიელი ხილი, რომელიც მსხალს ჰგავს და 180-დან 360 გრ-ს იწონის.

მექსიკა განთქმულია, აგრეთვე, სასმელებითაც, მსოფლიოში ცნობილია მექსიკური ტეკილა — ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც მექსიკური შტატის — ხალისკოს ქალაქ ტეკილაში ამზადებენ ცისფერი აგავას გულისგან.



### ბურიტო

**მექსიკაში ძალიან პოპულარულია კერძი ბურიტო, რომელიც თხელ ლავაშში (ტორტილია) გახვეულ ხორცსა და სხვა ინგრედიენტებს წარმოადგენს.**

**ინგრედიენტები (4 ულუფა):**

***ტორტილია (თხელი ლავაში) — 4 ცალი;**
*** ხორცი (ღორის, საქონლის ან ქათმის) — 400 გრ.**
*** ლობიო — 100 გრ.**
*** სიმინდის მარცვლები — 100 გრ.**
*** წიწაკა ჩილი — 1 ც.**
*** ბულგარული წიწაკა (წითელი) — 1 ც.**
*** კარტოფილი — 2 (საშ. ზომის)**
*** მზესუმზირის ზეთი — 50 მლ.**
*** სალათის ფოთლები — 4 ც.**
*** მარილი — 4 ჩ/კ**
*** შავი პილპილი — 1 ჩ/კ**
*** წითელი პილპილი — 1 ჩ/კ**
*** კვლიავი —10 გრ.**

**მომზადება:**

*ჯერ მოამზადეთ ტორტილიები, რომლებისთვისაც საჭიროა: 430 გრ. ფქვილი (ხორბლის); 220 მლ. წყალი; 20 გრ. მარგარინი; 7 გრ. მარილი და 3 გრ საფუარი. პატარა თასში ჩაყარეთ ფქვილი, საფუარი და მარილი, დაუმატეთ მარგარინი და მოზილეთ, ვიდრე ცომი ელასტიკური არ გახდება. აქციეთ გუნდად და ასე დატოვეთ 15 წთ-ით. შემდეგ გააბრტყელეთ 1-1,5 მმ სისქემდე. მიღებული მასა ორივე მხრიდან (30-30 წმ) გამოაცხვეთ ტაფაზე.

*კარგად გარეცხილი და დაჭრილი ხორცი გაატარეთ ხორცსაკეპში. ფარში გადაიტანეთ ზეთმოსხმულ ტაფაზე და ცოტა შეწვით. მოაყარეთ მარილი, დაუმატეთ წითელი და შავი პილპილი (დაფქული) და განაგრძეთ წვა.

*ბულგარული წიწაკა წვრილად დაჭერით. სალათის ფოთლები გარეცხეთ. კარტოფილი გაფრცქვენით, წვრილ ნაჭრებად დაჭერით და ზეთში შეწვით. როდესაც შეიწვება დაუმატეთ მოხარშული სიმინდი და ლობიო, ასევე, ბულგარული წიწაკა და წვრილად დაჭრილი წიწაკა ჩილი. ეს ყველაფერი აურიეთ, ტაფას თავსახურავი დაახურეთ და 3 წუთის განმავლობაში მოშუშეთ. შემდეგ დაუმატეთ კვლიავი და შემწვარი ფარში. მიღებულ მასას დაუმატეთ მარილი (გემოვნების მიხედვით), ტაფას თავსახურავი დაახურეთ და კიდევ 5 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე დადგით.

თითოეულ ტორტილიაზე დააფინეთ სალათის ფოთოლი, შუაგულში დადეთ ხორცის ფარშის, სიმინდისა და ლობიოს გულსართი. შემდეგ ტორტილია დაახვიეთ, როგორც რულეტი და ბურიტოც მზად არის.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**მოულოდნელი ცვლილებების პერიოდია — მოვლენები სწრაფად განვითარდება. წარმატებას მიაღწევენ ტყუპის, კუროსა და თევზების ნიშნით დაბადებულები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ინტელექტუალურ შრომას ეწევიან.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**29 აპრ. - 5 მაისი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
21 მარტი — 20 აპრილი

ამ პერიოდში ხშირად იქნებით საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მოგიწევთ ბევრი ადამიანის გაცნობა და მათთან ურთიერთობა ბიზნესის საკითხებზე. შეეცადეთ, ხელქვეითები ისე მართოთ, რომ მათ თქვენდამი პატივისცემა და მოწიწება შეინარჩუნონ. ამისთვის კი სხვისი შეცდომებისადმი შემწყნარებლობა გმართებთ.

მარტოხელა ვერძები, შესაძლოა, შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს, რომლებსაც თავიანთ მომავალს დაუკავშირებენ. დაქორწინებულმა ვერძებმა კი მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — მშობლებს.

გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისა და ავტომობილის მართვისას, რადგან დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 29 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 4 მაისი.**

## კურო
21 აპრილი — 21 მაისი

კარგი პერიოდია ახალი გეგმების შესამუშავებლად, განსაკუთრებით — შემოქმედებით სფეროში. შეეცადეთ, უმნიშვნელო მიზეზის გამო არ განაწყენდეთ და ამით არ გააღიზიანოთ კოლეგები და ხელმძღვანელობა.

არ არის გამორიცხული, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი ისე აეწყობა, როგორც მოისურვებთ. თუმცა სჯობს, მასთან მეტი დრო გაატაროთ.

თავის ტკივილები და დაღლილობა დატვირთული სამუშაო გრაფიკითა და გადაღლილობით არის გამოწვეული, ამიტომ მეტი დაისვენეთ და დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 1 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 4 მაისი.**

## ტყუპი
22 მაისი—21 ივნისი

კარგი პერიოდია იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რომლებიც გასულ თვეს დაგეგმეთ. მით უმეტეს, რომ ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თქვენს ფინანსურ მდგომარეობას.

უარი თქვით უსარგებლო შეხვედრებსა და წვეულებებზე და ძალისხმევა დასახული მიზნებისკენ მისასვლელი გზების ძებნისკენ მიმართეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შეიძლება ბზარი გაჩნდეს, თუ თავს არ დაანებებთ უსაფუძვლო ეჭვიანობას.

ამ პერიოდში მაღალია სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ კონსულტაციებისთვის ექიმს მიმართეთ.

**დადებითი დღე: 29 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 5 მაისი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი—22 ივლისი

შესაძლებლობა მოგეცემათ, გამოასწოროთ წარსულში დაშვებული შეცდომები, რომლებმაც გავლენა იქონიეს თქვენს ცხოვრებაზე. თუ ამჟამინდელი სამუშაო არ გაკმაყოფილებთ, ახლა კარგი პერიოდია ახალი სამსახურის მოსაძებნად და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დაქორწინებული კირჩხიბების ოჯახში სიმყუდროვე და კომფორტი დაისადგურებს, თუ ისინი მეტ მზრუნველობას გამოიჩენენ შვილების მიმართ.

ამ პერიოდში მაღალია ტრამვირების ალბათობა, ამიტომ ორგანიზმი ფიზიკურად ძალიან არ დატვირთოთ.

**დადებითი დღე: 29 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 3 მაისი.**

## ლომი
23 ივლისი —22 აგვისტო

პრობლემებთან გამკლავება მარტოს მოგიწევთ, რადგან გარშემომყოფებამდე თქვენი იდეების მიტანა გაგიჭირდებათ. სასურველია, გაითვალისწინოთ კვალიფიციური სპეციალისტის რჩევები და ისე იმოქმედოთ.

მარტოხელა ლომებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ. დაქორწინებულებმა კი მეტი სიმკაცრე, სამართლიანობა და გულუხვობა უნდა გამოავლინონ ოჯახის წევრების მიმართ.

მოერიდეთ დაძაბულ, კონფლიქტურ სიტუაციებს, რადგან თქვენი ნერვული სისტემა დასუსტებულია, ისევე, როგორც იმუნიტეტი. იმუნური სისტემის გასაძლიერებლად კი მიიღეთ თაფლი, ასკილის ნაყენი და ნიორი.

**დადებითი დღე: 30 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 5 მაისი.**

## ქალწული
23 აგვ. —23 სექტემბ.

ამ პერიოდში მაღალია მოლაპარაკებების, ახალი კონტრაქტების გაფორმებისა და მოგზაურობის ალბათობა. გაფრთხილდით, რადგან დიდია მოტყუების შანსი. რეკომენდებული არ არის კრედიტის აღება ან საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება. საქმე კი თანმიმდევრულად და გულდასმით აკეთეთ.

შეეცადეთ, საყვარელ ადამიანს სიურპრიზი მოუწყოთ — აჩუქოთ რამე ან მხიარულ წვეულებაზე წაიყვანოთ. დაოჯახებულმა ქალწულებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ.

დაიცავით კვების რეჟიმი, რადგან დიდია კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადების რისკი.

**დადებითი დღე: 1 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 5 მაისი.**

## სასწორი
24 სექტ. — 23 ოქტ.

თქვენი ინიციატივები შეიძლება კოლეგებისა და პარტნიორების წინააღმდეგობას შეეჯახოს. დასახულ გეგმებსა და პროექტებზე უარის თქმამ რომ არ მოგიწიოთ, ობიექტურობა და კეთილგონიერება შეინარჩუნეთ. ახლა სჯობს, ძველი, უკვე დაწყებული საქმეების დასრულებაზე იფიქროთ და მოაგვაროთ მთავარი პრობლემა — ფინანსური.

მარტოხელა სასწორი შეიძლება შეხვდეს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა სიყვარულში გადაიზრდება.

ამ პერიოდში შეიძლება შეგექმნათ შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები, ამიტომ გამოკვლევებისთვის მიმართეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 1 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 5 მაისი.**

## მორიელი
24 ოქტ. — 22 ნოემბ.

თუ მოდუნდებით და ძველებურად გულმოდგინედ არ იმუშავებთ, შეიძლება უკვე მოპოვებული პოზიციები დაკარგოთ. კარიერაში წინსვლა კი დამოკიდებული იქნება საქმისადმი შემოქმედებითი კუთხით მიდგომასა და კონკრეტულ შედეგზე.

წვრილმანი დეტალის გამო საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებამ, შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს, ამიტომ ენას კბილი დააჭირეთ და დაიმახსოვრეთ, რომ უშეცდომო არავინ არის, მათ შორის, თქვენც.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში და ფიზიკურად დაიტვირთეთ.

**დადებითი დღე: 30 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 2 მაისი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. — 21 დეკ.

თუ ემოციებს არ მოთოკავთ, კონფლიქტი კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან გარდაუვალი იქნება. თანაც, დამნაშავე თქვენ იქნებით, რადგან უკიდურესობას კარგი არაფერი მოაქვს. შეეცადეთ ყველასთან გამონახოთ საერთო ენა და გადაწყვეტილება კომპრომისის გზით მიიღოთ.

საყვარელი ადამიანი თქვენზე იზრუნებს და თქვენც არ უნდა დარჩეთ ვალში — ნუ მოგერიდებათ, გრძნობებზე ესაუბროთ. ეს თქვენს ურთიერთობას ახალ სასიამოვნო შტრიხებს შესძენს.

მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას და ყურადღება გაამახვილეთ პროდუქტის ხარისხზე, რადგან არსებობს მოწამვლის რისკი.

**დადებითი დღე: 1 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 4 მაისი.**

## თხის რქა
22 დეკემ. — 20 იან.

სამსახურში კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან შეიძლება, უთანხმოება წარმოგექმნათ, მაგრამ თქვენი მოთმინებისა და დიპლომატიურობის წყალობით, მალე ყველაფერი მოგვარდება.

თუ შემოსავლები სტაბილური არ არის, ეძებეთ ახალი სამსახური უკეთესი პირობებით, ახლა ამისთვის კარგი პერიოდია.

გაითვალისწინეთ საყვარელი ადამიანის მოთხოვნები და მასზე ზრუნვას მეტი დრო დაუთმეთ.

ახლა მაღალია ქრონიკული ალერგიული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ გაუფრთხილდით კანსა და სასუნთქ სისტემას — ნუ გამოიყენებთ კოსმეტიკურ საშუალებებს!

**დადებითი დღე: 3 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 30 აპრილი.**

## მერწყული
21 იან. — 19 თებ.

სამსახურში რუტინული სამუშაოს შესრულება მოგიწევთ და შეიძლება გაღიზიანდეთ, მაგრამ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით. გაგიჩნდებათ დამატებითი შემოსავლის მიღების ან ახალ პროექტში მონაწილეობის შანსი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ ძველ წყენას დაივიწყებთ და ურთიერთობების გარკვევას არ შეეცდებით.

თუ ადრე კუჭის პრობლემა შეგექმნათ, ამ პერიოდში შესაძლოა, თავი შეგახსენოთ. დაიცავით კვების რეჟიმი და თავი აარიდეთ ალკოჰოლს.

**დადებითი დღე: 29 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 4 მაისი.**

## თევზები
20 თებ. — 20 მარტი

ამ პერიოდში ბევრ შემოთავაზებას მიიღებთ. დროს ტყუილუბრალოდ ნუ დაკარგავთ და დაამყარეთ ახალი კავშირები, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ. სწორედ ამ კავშირებზე იქნება დამოკიდებული თქვენი ფინანსური კეთილდღეობა.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და შესაბამისად, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებაც. დაქორწინებულმა თევზებმა, სჯობს, მეუღლესთან ერთად მოაგვარონ საოჯახო პრობლემები, ეს თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

ახლა თქვენი იმუნიტეტი შედარებით დაქვეითებულია, ამიტომ მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 1 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 5 მაისი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 125 წლის როდოდენდრონი სინტია

**უზარმაზარი და უძველესი როდოდენდრონი კანადაში, კუნძულ ვანკუვერზე, ქალაქ ლედისმითში დგას.** როდოდენდრონი მანანისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა. ეს ოჯახი 8 000-ზე მეტ ხესა და ბუჩქს აერთიანებს. როდოდენდრონები საკმაოდ მოზრდილი ბუჩქია, თუმცა 125 წლის ლამაზმანი, რომელსაც სინტია დაარქვეს, თამამად შეგვიძლია, ხედ მივიჩნიოთ მისი უჩვეულო ზომისა და ასაკის გამო.



# ზოგი რამ პენტაგრამის შესახებ





**პენტაგრამა არის 5-ქიმიანი ვარსკვლავი, ფიგურა, რომელიც გამოიყენება მაგიურ და ოკულტურ სიმბოლოდ გნოსტიკების, მასონების, კაბალისტების, მაგების, ვიკანების, სატანისტებისა და სხვათა მიერ. როგორც ჩანს, ფიგურის გეომეტრიულ აგებულებასა და პროპორციებში არის რაღაც მიმზიდველი. ყველაზე გავრცელებული აზრით, პენტაგრამის 5 ქიმი აღნიშნავს ჰაერს, ცეცხლს, მიწას, წყალს და სულს. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ პენტაგრამის მისტიკურობა სწორედ ციფრ 5-ში დევს და ამ ციფრს უკავშირებენ ქრისტეს 5 ჭრილობას (ორი — კოჭზე, ორი — მაჯაზე, 1 — ფერდზე). ზოგი ქრისტიანის აზრით კი, პენტაგრამა ეშმაკის ჩლიქის გამოსახულებაა.**



რომის იმპერატორი კონსტანტინე სწორედ პენტაგრამას იყენებდა, როგორც ბეჭედსა და ამულეტს. *პენტაგრამას ბეთლემის ვარსკვლავსაც ადარებენ. ინგლისელმა მეომარმა გავაინმა, მეფე არტურის დისშვილმა, პენტაგრამა შეარჩია თავის პერსონალურ სიმბოლოდ და საკუთარ ფარზე გამოსახა. ეს ვარსკვლავი ოქროთი იყო გაკეთებული და უკან წითელი ფონი ჰქონდა. 5 ქიმი კი გამოსახავდა რაინდის 5 თვისებას: დიდსულოვნებას, ზრდილობას, უმწიკვლოებას, სიმამაცესა და ღვთისმოშიშობას.

**პენტაგრამას დიდი ადგილი უკავია თანამედროვე მსოფლიო ხალხთა ცნობიერებასა და რწმენებშიც. ვიკას რელიგია დაფუძნებულია ანტიკურ კელტურ ღვთაებებსა და სიმბოლოებზე. მათი მთავარი სიმბოლო სწორედ პენტაგრამაა. ვიკანები თვლიან, რომ პენტაგრამა ანტიკური ღვთაება მორგანის სიმბოლოა. ბევრი ატარებს სამკაულებს, რომლებზეც ასეთი ხუთქიმიანი ვარსკვლავია, ზოგი მას გამოისახავს სხეულზეც.**

ამ სიმბოლოსადმი მიდრეკილება როკ ჯგუფებშიც შეინიშნება. ზოგიერთი ჯგუფის ალბომის გარეკანზე არც თუ იშვიათად იხილავთ პენტაგრამას. უცნაურია, მაგრამ უმეტესობა ამას მხოლოდ იმიჯის შექმნისა და პოპულარობის მოხვეჭისთვის აკეთებს.

უამრავი რელიგიური თუ სპირიტული ჯგუფები პენტაგრამას რიტუალებში იყენებენ, ხოლო ოკულტისტები პენტაგრამას, როგორც თილისმას, ეშმაკისგან თავდაცვის საშუალებად თვლიან, რომ ეს ნიშანი აძლევს მათ ოკულტურ ცოდნასა და ძალას. ისინი მიწაზეც კი ხატავენ ხოლმე ასეთ ვარსკვლავს და ზედ დგებიან, რადგან სჯერათ, რომ ასე უფრო კარგად ამყარებენ კავშირს ოკულტურ ძალებთან.

**ცნობილია პენტაგრამა, რომელშიც თხის თავია გამოსახული. მას შავ თხას, ეშმაკის თხას, თხის თავს და იუდას თხასაც უწოდებენ.** XX საუკუნეში კარლ კელნერმა და სხვა გერმანელმა ოკულტისტებმა თავიანთი ინგლისური სექციის სათავეში დანიშნეს ინგლისელი ოკულტისტი ალისტერ კროული, რომელმაც თავის მაგიურ სახელად აირჩია ბაფომეტი. დღეს ბაფომეტის ნიშანი ფართოდ გამოიყენება სატანისტურ რელიგიაშიც.

**ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი ისეთი რამ გვხვდება, რაზეც სწორედ ეს სიმბოლოა გამოსახული, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი (უმეტესწილად მაისურები), აქსესუარები, ჭურჭელი, სვირინგები და სხვ. ადამიანები მას სოციალური ქსელების ავატარადაც იყენებენ, მაგრამ ზოგჯერ არც კი იციან, რომ არსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი პენტაგრამას უკავშირებს მაგიას, სატანიზმს, სუბკულტურებსა და საიდუმლო ორდენებს.**

კიდევ უფრო ცოტამ იცის, რომ ამ სიმბოლოს აქტიურად იყენებდნენ ანტიკურ საბერძნეთში. პითაგორელები მას ბედნიერების, ჯანმრთელობის, სიმტკიცის სიმბოლოდ თვლიდნენ და მათი კავშირის სიმბოლოც სწორედ პენტაგრამა იყო.

**პითაგორელებმა აღმოაჩინეს პენტაგრამის უნიკალურობა იმ თვალსაზრისით, რომ ის ერთადერთი გეომეტრიული ფიგურაა, რომელსაც ახასიათებს „ოქროს კვეთა“ — მთელი იყოფა არათანაბარ ნაწილებად და დიდი ნაწილი ისე შეეფარდება მთელს, როგორც მცირე ნაწილი — დიდს.**

შუა საუკუნეების ევროპაში ითვლებოდა, რომ პენტაგრამას შეეძლო, დაეცვა ადამიანები ავი, ბოროტი სულების ზემოქმედებისგან, როგორც თილისმას. ამას გოეთეს ფაუსტიც ადასტურებს. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, „ქვესკნელის შვილმა“ ფაუსტის სახლში მხოლოდ იმიტომ შეძლო შეღწევა, რომ პენტაგრამა დაუდევრად იყო შესრულებული და გარე კუთხე ღია ჰქონდა, შიდა — დახურული, ამიტომაც ვეღარ გადიოდა სახლიდან მეფისტოფელი. ცნობილია, რომ გოეთეს სახლის სადარბაზო კარის წინ პენტაგრამა იყო გამოსახული.



გარდა ამგვარი გავლენისა საზოგადოებაზე, ამ სიმბოლომ და „ოქროს კვეთის“ პრინციპიდან გამომდინარე მიღებულმა მისტიურად წოდებულმა ციფრმა 0,618-მა ასახვა ჰპოვა აღორძინების ეპოქის იტალიურ ხელოვნებაშიც. მას ფართოდ იყენებდა ლეონარდო და ვინჩი. მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც კი ამტკიცებს, რომ მონა ლიზას პორტრეტი აგებულია წესიერი ხუთქიმიანი ვარსკვლავის კომპოზიციის მიხედვით, ისევე, როგორც მისი მრავალი სხვა ნახატი.

გარდა ადამიანის ცნობიერებისა და კულტურისა, პენტაგრამამ რელიგიური წარმოდგენებიც თავდაყირა დააყენა და ძალიან მალე გახდა ოკულტური სიმბოლო. ის განასახიერებდა 5 ყველაზე ძლიერი ნიშნის ერთობლიობას — ადამიანის (სულის), ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მიწის ერთობლიობას. ბოლო ოთხი ნიშანი საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოებია, მაგრამ მეხუთე სიმბოლო, რომელიც მოიაზრება სულის/ ადამიანის განსახიერებად, შეიძლება სულაც არ იყოს ადამიანი. ამ საკითხზე უამრავი მკვლევარი მუშაობს და ნაადრევი დასკვნების გამოტანას აჯობებს, მათ ვერსიებს დაველოდოთ.

**პენტაგრამა წესიერი ხუთკუთხედია, სადაც თითოეული არათანაბრად გაყოფილი მონაკვეთი ღვთაებრივი პროპორციით შეეფარდება ერთმანეთს, ანუ მონაკვეთის დიდი ნაწილის შეფარდება მთელთან ტოლია მცირე ნაწილის შეფარდებისა დიდ ნაწილთან.** ჯამი, ნებისმიერი პროპორციის შემთხვევაში, უდრის 0,618-ს. პენტაგრამის ეს თვისება პითაგორას მოსწავლემ, ჰოპასოს მეტაპონტელმა, აღმოაჩინა და მას „ოქროს კვეთა“ უწოდა, თუმცა თვით სიმბოლო გაცილებით ძველია.



პენტაგრამას საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა დადებითი სიმბოლოს დატვირთვა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო მის ძალაში და მას ეზოში, კარის ზღურბლზე, სახლში ხატავდა. ატარებდა, როგორც თილისმას და სოფლებში შესასვლელ გზებზეც კი აშენებდა ქვებით. იმის თაობაზე, თუ რატომ ითვლება ის ასეთი ძალის მქონე სიმბოლოდ, ცნობები თითქმის არ მოიპოვება. რაც შეეხება ამობრუნებულ პენტაგრამას მასში გამოსახული თხის თავით ან მის გარეშე, ის სატანისტების სიმბოლოა დაახლოებით XVII საუკუნიდან. საინტერესოა, რატომ მიაწერენ ამ ფიგურას ორ საპირისპირო ძალას და რატომ არის ასეთი არსებითი სხვაობა მის წაღმა და უკუღმა მხარეებს შორის.

სატანა ქრისტეს ანტიპოდია, იმავეს ასახავს პენტაგრამის წაღმა და უკუღმა მხარეები.

სატანიზმის სიმბოლოდ დამკვიდრებულმა პენტაგრამამ განვითარების პიკს XX საუკუნის შუა და ბოლო პერიოდში მიაღწია და აქტუალობას არ კარგავს.

მაგრამ, რადგან არსებობს კიდევ ერთი წესიერი ხუთკუთხედი, რომელსაც პლატონი ციური სხეულის მომცველ ეთერს უწოდებს და სამყაროს სიმბოლოდ მიიჩნევს, აჯობებს, საუბარი სწორედ მისით დოდეკაედრით განვაგრძოთ, რადგან მასზე შედარებით მეტი მეცნიერულად დადასტურებული ინფორმაცია არსებობს.

დოდეკაედრი 12 წესიერი ხუთკუთხედისგან შემდგარი გეომეტრიული სხეულია, რომელსაც პენტაგრამის გულში ვხედავთ (ამ ხუთკუთხედში დიაგონალების აგებით პენტაგრამა მიიღება, რომელსაც გულში ისევ წესიერი პლატონისეული ხუთკუთხედი ექნება და ასე უსასრულოდ).

პლატონი, როგორც ისტორიიდან ირკვევა, დაინტერესებული იყო წმინდა რიცხვების კვლევით. ზუსტად რა იგულისხმება წმინდა რიცხვებში, ცნობილი არ არის, მაგრამ ეს ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას, წარმოდგენა ვიქონიოთ მის დამოკიდებულებაზე ციფრებთან და გეომეტრიულ სხეულებთან. ციფრი 40 სწორედ მან შეიტანა წმინდა რიცხვთა კატეგორიაში, რაც გამეორებულ იქნა ახალ აღთქმაში, სათავეს კი ძველი შუამდინარეთიდან იღებს ისევე, როგორც ციფრი 60.

პლატონი თვლიდა, რომ ყოველი სტიქია შედგებოდა მართკუთხა სამკუთხედებისგან, ყველაზე ცნობილი მართკუთხა სამკუთხედი კი პითაგორელების ტრიადაა, რომელსაც პლატონიც ცნობდა. ის შედგება შემდეგი ციფრებისგან 3, 4, და 5. მათი ნამრავლი კი 60-ს უდრის, ისევე, როგორც თითოეული ხუთკუთხედის კუთხეების ნამრავლი მის საერთო რაოდენობაზე. 60 შუმერულ მითოლოგიაში ცისა და ცის მნათობთა უზენაეს ღმერთს — ანუს აღნიშნავდა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სტიქიების წარმოშობის ტრიადის, პლატონისეული დოდეკაედრის ნამრავლის და პენტაგრამის შინაარსობრივი და ვიზუალური მსგავსება გვხვდება, რაც შინაარსობრივად შეიძლება დავუკავშიროთ ციფრ 60-ს — ცისა და ცის მნათობთა უზენაეს ღმერთს.

თუ დოდეკაედრში დავუშვებთ დიაგონალებს და ავაგებთ პენტაგრამას, მივიღებთ წახნაგოვანი წრის ფორმას, რომელიც თავის თავში გაიმეორებს მზისა და მთვარის ციკლისა და სტიქიათა რაოდენობას. ეს პენტაგრამაში ისედაც არის. სიმბოლო პირდაპირ წრეშია ჩასმული, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ პლატონმა, უბრალოდ, დაშალა ის და სიმბოლურად გაართულა. თუ ჩავთვლით, რომ მოცემული მოსაზრება რეალურია და პენტაგრამა სწორედ ბიბლიური სოლომონის ბეჭედია, მივიღებთ უძლიერესი შეერთების სიმბოლოს – სამყაროსა და სიკეთის სიმბოლოს.

**პირველი ცნობილი პენტაგრამები თარიღდება 3500 წლით ჩვენს ერამდე. ისინი ნაპოვნია უძველესი ქალაქის ურუქის ნანგრევებში, ფირფიტებზე აღბეჭდილი. პენტაგრამა გვხვდება ძველ ეგვიპტეშიც, სადაც მას „ანუბისის ვარსკვლავს“ უწოდებდნენ.**

პენტაგრამა, ზოგადად, ცნობილი იყო, როგორც ბოროტებისგან დამცავი საშუალება, ძველ ბაბილონში იმდენად ღრმად სწამდათ მისი ძალის, რომ მაღაზიებისა და საწყობების კარებზე გამოსახავდნენ ქურდებისგან დასაცავად.

**ებრაელებისთვის პენტაგრამა ასოცირდებოდა მოსეს მიერ ღმერთისგან მიღებულ ხუთწიგნეულთან.**

**პირველ ქრისტიანთათვის პენტაგრამა ქრისტეს ხუთი ჭრილობის სიმბოლო იყო; პითაგორელებისთვის — მათი საზოგადოების ნიშანი და სამყაროს 5 საწყისი ელემენტის სიმბოლო; გნოსტიკოსთათვის — ინტელექტუალური ყოვლისშემძლეობის ნიშანი.**

ევროპელი მაგები და ჯადოქრები პენტაგრამას უწოდებდნენ „სოლომონის ბეჭედს“, რომელიც არაბულ მანუსკრიპტებში წრეში ჩასმული აღმოაჩინეს. რომის იმპერატორმა კონსტანტინე პირველმა პენტაგრამა თავის ამულეტად და ბეჭდად აქცია, რადგან თვლიდა, რომ მისი დახმარებით ჩაწვდა და მიაგნო ქრისტიანობის არსს.

პენტაგრამის საზეიმო სვლა საუკუნეების მანძილზე ინკვიზიციის ეპოქაში დასრულდა, როცა ბოროტებისგან დაცვის ეს სახალხო სიმბოლო თვითონ აქციეს ბოროტებად და ახალი სახელი — „ალქაჯის ფეხი“ შეარქვეს.

აღორძინების ეპოქაში ცნობილმა მაგმა კორნე- ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ფეხებიანი სახლი ტბაზე

**პროექტი Treehouse Solling გერმანულმა არქიტექტურულმა ბიურომ Baumraum-მა წარმოადგინა.** ეს არასტანდარტული სახლი პატარა ქალაქ უსლარში (გერმანია), შუა ტყეში, პატარა ტბაზე დგას. სახლამდე მიმავალ გზაზე, ტყეში კიდევ რამდენიმე პატარა ტბა და მდინარეა. უცნაური კონსტრუქცია მეტყევის სახლის ერთგვარი დამატებაა და მფლობელის შვილისთვის აშენდა. სახლი ხიდით უკავშირდება ტბის პირას მდგარ უზარმაზარ ხეს, რომლიდანაც ხის კიბე ეშვება.

◀ლიუს აგრიპამ პენტაგრამა შუაში ჩასმული ადამიანის ფიგურით მიკროკოსმოსის სიმბოლოდ შერაცხა, ხოლო ასტროლოგმა ტიხო ბრაგემ გამოაქვეყნა მესიის კაბალისტიკური სახელით აღბეჭდილი პენტაკლი.

რაც შეეხება გადაბრუნებულ პენტაკლს, ის ცნობილი მაგის ელფიას ლევის დამსახურებაა. იგი ამბობდა: „ეს არის მაგების ვარსკვლავი, ნიშანი სიტყვისა, რომელმაც შექმნა ხორცი და, მისი სხივების მიმართულების მიხედვით, იგი გამოხატავს წესრიგს ან უწესრიგობას, წმინდა კრავს, ორმუზდს და წმინდა იოანეს, ან დაწყევლილ თხას — მენდესს. ის ლუციფერია ან ვენერა, ცისკრის ან მწუხრის ვარსკვლავი. ის მარიაა ან ლილითი; გამარჯვება ან დამარცხება; დღე ან ღამე. ორი წვერით ზემოთ მიმართული პენტაგრამა გამოხატავს სატანას, თხის ფორმით — ბაფომეტს, ხოლო როცა პენტაგრამის ერთი წვერია ზემოთ, ის მესიის ნიშანია“.

**პენტაგრამა (ხუთქიმიანი ვარსკვლავი) თითქმის ყველა იმ სახელმწიფოთა სიმბოლოა, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შეიქმნენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, წითელი ჩინეთი და სხვ. პენტაგრამის სიმბოლო ცნობიერად თუ არაცნობიერად უამრავ რამეზეა გამოსახული: გერბებზე, დროშებზე, საფოსტო მარკებზე... ეს ის სიმბოლოა, რომელმაც საოცრად შეავიწროვა ჯვარი და უამრავ ადგილას ჩაანაცვლა კიდეც.**

ჯერ კიდევ ბაბილონის ხანაში არსებობდა პენტაგრამა, რომელიც აღნიშნავდა ღვთისგან გამოთავისუფლებულ ადამიანს, როგორც უზენაეს არსებას.

პენტაგრამა ძირითადი სიმბოლოა სატანიზმში. იქ ეს სიმბოლო თავისთავად წარმოადგენს ხუთქიმიან ვარსკვლავს, მიმართულს ბოლოთი ქვემოთ, და ჩასმულს წრეში. როგორც უკვე ითქვა, პენტაგრამის თითოეული დაბოლოება შეესაბამება თითოეულ სტიქიას: მიწას, ცეცხლს, წყალს, ჰაერს და სულს.

**სტიქია მიწა** არის დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი. ესაა ჯანმრთელობა და სექსუალობა. ესაა ბუნებრივი ინსტინქტები, მხეცი ადამიანში.

სტიქია ცეცხლი არის ძალა, რომელიც ცვლის ყველაფერს ცხოვრებაში. ცეცხლის გაჩენა, როგორც შექმნა, ასევე ნგრევაა და ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია. გარდა ამისა, ცეცხლი ფიზიკური ძალისა და ენერგიის სიმბოლოა.

**სტიქია წყალი** ყველაფერი იდუმალის, შეუცნობელის, ჩარჩოებიდან გამოსულის გაერთიანებას წარმოადგენს. წყალია იდუმალი ძალა, მოქმედება, რომელიც ერთი შეხედვით შეუმჩნეველია. ესაა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, მაგია.

**სტიქია ჰაერი** ინტელექტის ძალაა, ცოდნის ფლობის ძალა. გარდა ამისა, ჰაერი არის თავისუფლება, ღია სივრცე. ჰაერი არის ყველაფერი ახალი, ნორჩი. უკუგდება ყოველგვარი ნორმისა და საზღვრის.

და ბოლოს, **სული**, რითაც ძალიან ბევრი სპეკულირებს რელიგიაში. სატანიზმში სული არის ნების ძალა, სურვილის ძალა და თვითონ პიროვ-



ნების დაქვემდებარების პროცესი სამყაროში. სახელდობრ, სული მართავს სტიქიის ძალებს და საჭირო კალაპოტში აქცევს.

ყველა პენტაგრამის მნიშვნელობა სტიქიების ერთობლივი ქმედება და მათი სულების დაქვემდებარებაა.

კიდევ ერთი ვერსიით, პენტაგრამას სატანასა და სატანისტებთან საერთო არაფერი აქვს და ძველი ღმერთის — ვენერას ნიშანია. პლანეტა ვენერა რვა წლის მანძილზე მზის გარშემო მოძრაობის შედეგად პენტაგრამას ხაზავს ცაზე. ამ ბრუნვისას იგი 5-ჯერ უახლოვდება დედამიწას.

**ჩვენი წინაპრები მსოფლიოს ყოფდნენ ორ ნაწილად: მამრი და მდედრი. მათი შეერთებით მიიღეს პენტაგრამა, რომელიც მდედრობითსა და მამრობითს შორის წონასწორობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. იგი სრულყოფილების, სილამაზის, ნაყოფიერების სიმბოლოა.**

პენტაგრამა გამოიყენება ბევრი ეკლესია-მონასტრის დიზაინშიც, ეკლესიურად პენტაგრამის 4 ქვედა კუთხე ჰაერთან, მიწასთან, ცეცხლთან და წყალთან ასოცირდება, ხოლო ზედა კუთხე — ყველაზე მაღლა მდგომ სულიერ სამყაროსთან. წრეში ჩახატული პენტაგრამა ამ ყველაფრის ძლიერებას უსვამს ხაზს.

როგორც ცნობილია, საქართველოში იცნობდნენ „ოქროს კვეთის“ პრინციპს პროკლე დიადოხოსის ნაშრომის „თეოლოგიის ელემენტებიდან“, რომელიც ქართულადაც კი იყო თარგმნილი, კომენტირება კი იოანე პეტრიწმა (1055-1130) გაუკეთა.

„ოქროს კვეთის“ პრინციპი იმდენად დაინერგა და ფართო გამოყენების საგნად იქცა საქართველოში, რომ შუა და ცოტა ადრეული საუკუნეების კოკებიც და სურებიც კი სწორედ ამ პრინციპით არის აგებული.

**ითვლება, რომ „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული დაბალი შაირი შემთხვევით სულაც არ იყო „ოქროს კვეთის“ პრინციპით დაყოფილი.**

ვეფხისტყაოსნის 1587 სტროფიდან 863 დაბალი შაირი დაყოფილია შემდეგნაირად: 8 მარცვალი გაყოფილია ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი ხუთმარცვლიანი, მეორე კი სამმარცვლიანია. აქედან გამომდინარე, ვიღებთ შეფარდებას 3:5:8. 3:5=0.6 5:8=0.6. ზუსტად 0,618 ვერ მივიღეთ, მაგრამ ეს მარტივი მიზეზით აიხსნება — ლიტერატურაში მხოლოდ ლუწი და კენტი მარცვლები შეიძლება არსებობდეს და მათ შორის საშუალო არ არის. რომ იყოს, აუცილებლად მივიღებდით პითაგორელების მაგიურ ციფრს.

როგორც ვხედავთ, პენტაგრამის პრინციპის გამოყენება ჩვენი წინაპრებისთვის უცხო ნამდვილად არ ყოფილა და არც სიმბოლოა უცხო.

**ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ივარაუდება, რომ სოლომონის ბეჭედია, მაგრამ რადგან ამის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა არ არსებობს, პენტაგრამის სოლომონ მეფესთან დაკავშირება შუა საუკუნეების ლეგენდად უფრო ითვლება, ვიდრე მეცნიერულ შეხედულებად.**



ზოგადად, ვარსკვლავი უხსოვარი დროიდან მარადიულობის სიმბოლოს წარმოადგენდა, ხოლო მოგვიანებით მაღალი მისწრაფებებისა და იდეალების მნიშვნელობით იხმარებოდა. ვარსკვლავი მეგზურობისა და ბედნიერების ემბლემაა.

ხილულ სამყაროში არაფერი მეტყველებს ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე ისე, როგორც ვარსკვლავებიანი ცა. „ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას, და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო“ (ფსალმ. 18:2). ციდან ვარსკვლავების ჩამოცვენა მეორედ მოსვლისა და ღვთის სამსჯავროს ერთ-ერთი წინაპირობაა. „და მყისვე, გასაჭირის იმ დღეების შემდგომ, მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს, ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან ციდან და ციური ძალები შეირყევიან“ (მათ. 24:29).

კაშკაშა ცისკრის ვარსკვლავი მესიის — იესო ქრისტეს სიმბოლოა. „მე, იესომ, მოვავლინე ჩემი ანგელოზი, რათა დაგიმოწმოთ ეს ეკლესიებში. მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (გამოცხ. 22:16). ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ვარსკვლავების გამოსახულებები ზეციური მოვლენების მომასწავებელი იყო. მარიამ ღვთისმშობელს ხშირად ნახევარმთვარეზე მდგომს გამოსახავდნენ. იგი გარშემორტყმულია შარავანდედით, რომელსაც ვარსკვლავის ფორმა აქვს.

**მართლმადიდებლები ვარსკვლავს უწოდებენ ორ ერთიმეორეზე გადაჯვარედინებულ ლითონის მოღუნულ ვიწრო, თხელ ფირფიტას, რომელსაც ფეშხუმზე დგამენ იმ მიზნით, რომ დაფარნა არ შეეხოს ტარიგს და სიმბოლურად იმ ვარსკვლავს აღნიშნავს, რომელიც წინ უძღოდა აღმოსავლეთიდან მომავალ მოგვებს.**

ოთხქიმიანი ვარსკვლავი ჯვარს წააგავს. მას „ბეთლემის ვარსკვლავის“ ან „შობის ვარსკვლავის“ მნიშვნელობით ხმარობენ. ვარსკვლავის ფორმა ასოცირდება იესოს შობასთან და იმ მიზანთან, რომლისთვისაც მაცხოვარი დაიბადა.

ხუთქიმიანი ვარსკვლავიც ბეთლემის ვარსკვლავია და იესო ქრისტეს შობას გამოხატავს. „როცა იესო იშვა იუდეის ბეთლემში, იერუსალიმში მოვიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან და თქვეს: სად არის იუდეველთა მეფე, რომელიც იშვა? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათ. 2:1-2).

ძველი ჩინელი ფილოსოფოსების წარმოდგენით, ხუთქიმიანი ვარსკვლავი (პენტაგრამა, პენტაკლი) სამყაროს ხუთი ძირითადი ელემენტის ურთიერთმოქმედების მაჩვენებელია. ცეცხლი, მიწა, რკინა, წყალი და ხე ერთმანეთზე მოქმედებენ (როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად).

ექვსქიმიანი ვარსკვლავი შემოქმედის სიმბოლოა — ვარსკვლავი ძველი აღთქმისა. ექვსი ქიმი ქვეყნიერების შექმნის ექვს დღეზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, ექვსი ქიმი აღნიშნავს ღმერთის ექვს ატრიბუტს — ძალას, სიბრძნეს, სიდიადეს, სიყვარულს, ლმობიერებასა და სამართლიანობას.



# კაცი, რომელმაც უდაბნო შეაჩერა

**აფრიკელი ფერმერი აკუბა სავადოგო, უკვე 20 წელია, უდაბნოში სოფლის მეურნეობის უძველეს ტექნიკას აცოცხლებს — აუმჯობესებს ნიადაგის ხარისხს. მისი ერთადერთი სამუშაო იარაღი უბრალო თოხია და მტკიცე რწმენა, რომ ცხოვრებაში ყველაფრის შეცვლაა შესაძლებელი.**

იაკუბამ ამ ტერიტორიაზე განსაკუთრებული ზრუნვა დაიწყო 1980 წელს, როდესაც გვალვის შედეგად ნალექი იმდენად შემცირდა, რომ ხალხი საკვების ძიების მიზნით სხვა ტერიტორიებზე გადასახლდა.

წერა-კითხვის უცოდინარმა აკუბამ თანამედროვე ტექნოლოგიის გამოუყენებლად, უძველესი მეთოდით მოქმედება დაიწყო — თხრიდა პატარა ორმოებს და კომპოსტით ავსებდა. შემდეგ კი კომპოსტში მცენარეების თესლებს თესდა. ორმოები წვიმის სეზონზე წყალს ინახავდა და მშრალი სეზონის განმავლობაში ნიადაგიც ნოყიერდებოდა. ამ მეთოდით მამაკაცმა 30 აკრი ტყე გააშენა. ახლა მის ტყეში 60 სახეობის ხე ხარობს.

იაკუბა სავადოგომ საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო. მას დასავლურ გამოცემებში იცნობენ, როგორც „ადამიანს, რომელმაც უდაბნო შეაჩერა“. მის შესახებ, რამდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმია გადაღებული.



# კანიო კრისტალეს — ხუთფეროვანი მდინარე

**კოლუმბიაში, მეტას პროვინციაში, სერანია დე ლა მაკარენას მთებიდან მოედინება ხუთფეროვანი მდინარე კანიო კრისტალეს (Cayo Cristales), რომელიც მდინარე გუაიაბეროს უერთდება. მდინარეს ასევე უწოდებენ „თხევად ცისარტყელას“. კანიო კრისტალესი, მიუხედავად მოკრძალებული ზომისა, სიგრძეში დაახლოებით 100 კილომეტრია და მსოფლიოში ყველაზე ცნობილ და ლამაზ მდინარედაა აღიარებული.**

მსოფლიოს უჭრელეს მდინარეში ხუთი ფერი – წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი და შავი ფიგურირებს. წყალს წითელ შეფერილობას ენდემური მცენარის, მაკარენია კლავიხერას, სიჭარბე აძლევს. მცენარეს თავისი სილამაზის დემონსტრირებისთვის საჭირო დონის წყლის ნაკადები და მზის სხივები ესაჭიროება, ეს კი მხოლოდ სექტემბრიდან ნოემბრამდე რამდენიმე კვირის განმავლობაში ხდება. იანვრიდან მაისამდე მდინარე ტურისტებისთვის დაკეტილია, რათა ეკოლოგიური წონასწორობა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული.

კანიო კრისტალესი სწრაფი, ჭორომებით, ბუნებრივი აუზებითა და ჩანჩქერებით მდიდარი მდინარეა. მიუხედავად წყალმცენარეების სიმრავლისა, მასში თევზი არ არის, რადგან წყალში საკვები ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმების ნაკლებობაა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### მძინარე მზეთუნახავის სასახლე კალიფორნიაში

ამ სასახლის აგების შთაგონების წყარო გახდა გერმანიაში მდებარე ნეუშვანსტეინი, დღეს მძინარე მზეთუნახავის სასახლე დისნეილენდის ღირსესანიშნაობაა.



# ყველაზე ლამაზი სასახლეები



### ჰოვარდების სასახლე იორკშირში

ბრიტანეთის ერთ-ერთი გრანდიოზული პირადი საცხოვრებელი. ის 300 წლის განმავლობაში ჰოვარდების ოჯახის საკუთრება იყო.



### მალბორკის სასახლე პოლონეთში

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სასახლეა და ევროპის ყველაზე დიდი აგურით ნაგები შენობა.



### ჰოჰენშვანგაუს სასახლე გერმანიაში

აგებულია XIX საუკუნეში, მის სანახავად ყოველწლიურად 300 ათასი ადამიანი მიდის.



### ნოიშვანშტაინის სასახლე გერმანიაში

ის ლუდვიგ II ბავარიელმა ააგო, როგორც პირადი თავშესაფარი. 1886 წელს სასახლის კარი დამთვალიერებლებისთვის გაიღო და მას შემდეგ 60 მილიარდამდე ადამიანმა ინახულა.



### სასახლე ოსაკაში

იაპონიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასახლეა, აგებულია XVI საუკუნეში მტრის შემოსევის დროს თავდამსხმელებისგან თავის დასაცავად.



### კორფის სასახლე დორსეტში

აგებულია XI საუკუნეში, მისი დიზაინის ავტორი გახლდათ უილიამ I დამპყრობელი (ინგლისი).



### ჰოჰენვარფენის სასახლე ავსტრიაში

სასახლე აგებულია XI საუკუნეში, მისი ექსტერიერი გამოყენებულია ჰოლივუდურ მელოდრამაში „ახალდაქორწინებულები", რომელშიც მთავარ როლებს ეშტონ კატჩერი და ბრიტანი მერფი ასრულებენ.



### კილკენის სასახლე ირლანდიაში

აგებულია 1195 წელს უილიამ მარშალის მიერ, ახლა მას საკონფერენციო და საგანმანათლებლო ფუნქციები აქვს.



### კასტილიო დე კოკა ესპანეთში

ეს სასახლე ცნობილია, როგორც იმპერატორ თეოდიუსის დაბადების ადგილი, ახლა კი აქ მეტყევეების სკოლაა.



### კრონბორგის სასახლე დანიაში

აგებულია 1420 წელს და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ეს სასახლე უკვდავყო შექსპირმა „ჰამლეტში".



### უინძორის სასახლე ინგლისში

ეს XI საუკუნის სამეფო რეზიდენცია და ევროპის უდიდესი სასახლეა.



## ეკატერინეს სასახლე რუსეთში

მისი მშენებლობა 1717 წელს დაიწყო, ესაა ეკატერინე I საზაფხულო რეზიდენცია. 1752 წელს შენობის დიზაინი როკოკოს სტილში იქნა გადაყვანილი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შატეუ დე შამბორდი საფრანგეთში

ეს შენობა აიგო, როგორც ფრანსის I სანადირო ლოჟა. ის ფრანგული რენესანსის ხანის მკაფიო ნიმუშია. დამთვალიერებლებისთვის მისი კარი 2007 წელს გაიღო და მას შემდეგ ეს მშვენიერი სასახლე 700 ათასზე მეტმა ადამიანმა ინახულა.

## ედინბურგის სასახლე შოტლანდიაში

აგებულია XII საუკუნეში და ედინბურგის სიმბოლოდაა მიჩნეული.





## პელეშის სასახლე რუმინეთში

ეს ნეორენესანსის ტიპის სასახლე აგებულია 1873-1914 წლებში.



## შლოს მორიტსბურგის სასახლე გერმანიაში

სასახლეს სახელი საქსონიის ჰერცოგ მორიცის პატივსაცემად ეწოდა, შენობა გარშეორტყმულია ტყით, სადაც დიდებულები ნადირობდნენ.



## პრაღის სასახლე ჩეხეთის რესპუბლიკაში

ეს სასახლე გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც მსოფლიოს უდიდესი ძველი სასახლე.



## ჰაიკლერის სასახლე დიდ ბრიტანეთში

აგებულია XIX საუკუნეში.



## შატო ვერსალი საფრანგეთში

სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ანგარიში ამ დრომდეა შემონახული. თანხა, რომელიც ყველა ხარჯს მოიცავს, 25 725 836 ლივრს შეადგენს (1 ლივრი 409 გრამი ვერცხლია), რაც საერთო ჯამში 10 521 867 კილოგრამი ვერცხლია. ვინაიდან დღეს ერთი კილოგრამი ვერცხლის ღირებულება 250 ევროა, სასახლის მშენებლობა დაახლოებით 2,6 მილიარდი ევრო დაჯდა.



## კაილმორ ები ირლანდიაში

ეს სასახლე ლონდონელი ექიმის — მიშელ ჰენრის პირადი საცხოვრებელი იყო. მოგვიანებით, 1909 წელს სასახლე მანჩესტერის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ შეიძინეს, თუმცა განქორწინების შემდეგ მათაც გაყიდეს.



## შილიონის ციხესიმაგრე შვეიცარიაში

ეს სასახლე-კუნძული 100 ინდივიდუალური შენობისგან შედგება.



## ბოდიამის სასახლე დიდ ბრიტანეთში

სასახლე XIV საუკუნეში სერ ედვარდ დაილინგრინგმა ააგო საფრანგეთთან მრავალწლიანი ომის პერიოდში მტრისგან თავის დასაცავად.



## ალნვიკის სასახლე ნორსამბერლენდში

სასახლე განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც აქ ფილმი „ჰარი პოტერი“ გადაიღეს. ალნვიკში ყოველწლიურად 800 ათასი დამთვალიერებელი მიდის.



## ბურგ ჰოხოსტერვითსის სასახლე ავსტრიაში

ეს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შენობაა შუა საუკუნეების სასახლეებს შორის.



## შვერინის სასახლე გერმანიაში

მის შესახებ პირველი ცნობები 965 წლით თარიღდება, თუმცა დღევანდელი სახე მას 1845-1857 წლებში ფრიდრიხ ფრანც II-ის დაკვეთით მიეცა.

# ისევ მიშასა და «ნაცების» გვერდით?!

## ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელთა და დევნილთა უმეტესობა ისევ მიშასა და «ნაცებს» უჭერენ მხარს

**ზუგდიდში დევნილები, რამდენიმე დღეა, საპროტესტო აქციებს მართავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ დევნილთათვის ახალაშენებული ბინები არაკანონიერად განაწილდა. შეიძლება ითქვას, არის ამაში ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც დევნილებს და მათ მხარდამჭერ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს სურთ, წარმოაჩინონ.**



„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები დევნილებს ისე ექცეოდნენ, როგორც მონებს — როცა მოუნდებოდათ, გამოყრიდნენ შენობებიდან და, სადაც მოესურვებოდათ, იქ ჩაასახლებდნენ (თბილისიდან გამოყრილი დევნილები უკაცრიელ ფოცხოში ჩაასახლეს), მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დათრგუნვილ დევნილებს ზუგდიდში საპროტესტო აქციები არ ჩაუტარებიათ, მეტიც — ყველა რანგის არჩევნებში „ნაცებს“ უჭერდნენ მხარს და დღესაც დევნილთა უმრავლესობა ზუგდიდში მაინც სააკაშვილისა და მისი გუნდის მოტრფიალეა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი რამ ახალ ხელისუფლებას არ ჩაუდენია, პირიქით — უსახლკარო ოჯახებს მათთვის სასურველ ადგილებში აძლევს საცხოვრებელ ფართს. ამ ხელისუფლების პირობებში **ზუგდიდში 320-მა დევნილმა ოჯახმა პრესტიჟულ ადგილას კომფორტული ბინები მიიღო, განაცხადი კი 4000-ს აღემატებოდა. ამჟამად მიმდინარეობს 27 ოჯახის შესახლების კანონიერების შემოწმება, რადგან დევნილები ბინების არასწორად განაწილებას აპროტესტებენ.** გავრცელებული ინფორმაციით, კორუფციული გარიგებები ე.წ. ფულიან დევნილებს, სოციალური დახმარების სააგენტოსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ზოგიერთ თანამშრომელს შორის რაღაც დოზით მართლაც არსებობს. კერძოდ, დევნილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლებმა მათთვის „სანდო დევნილები“ დააკვალიანეს, როგორ მოეპოვებინათ ბინის მისაღებად საჭირო ქულები, რომლებსაც სოციალური დახმარების სააგენტოს თანამშრომლები „უპრავებდნენ“. არადა, ზუგდიდში დევნილები ერთმანეთს იცნობენ — იციან, ვის ეკუთვნის ბინა და ვის — არა, ვინ არის შეძლებული და ვინ ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღეს „ნაცები“ დევნილების მიმართ უდიერ მოპყრობაზე ალაპარაკდნენ. **სიტუაციის დაძაბვის მიზნით, "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერებმა თავიანთი ავტომანქანები, მათ შორის, ძვირად ღირებულიც, დევნილთა ახალაშენებული კორპუსების წინ დააყენეს, გადაუღეს სურათები და ატეხეს აჟიოტაჟი, — ხომ ხედავთ, როგორ მდიდარ დევნილებს მისცეს ბინები, გაჭირვებულები კი გარეთ დატოვესო.**

რაც შეეხება ზუგდიდში განთავსებულ ერთ-ერთ სტრუქტურას, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შემდეგ არანაირი ცვლილება არ შეხებია და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებითაა გამოტენილი, მას ჰქვია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობა. ამ წარმომადგენლობას სათავეში უდგას გია ბარამიას კადრი, რომელსაც, ასევე გავრცელებული ვერსიით, ლობირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი (ორივენი ძველი, ყოფილი პოლიციელები არიან).

თუ ამ სტრუქტურაში ხელისუფლების მიერ საკადრო ცვლილებები არ განხორციელდა, არ შეიცვალა დევნილთა მიმართ დამოკიდებულება, დევნილები და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა ისევ მიშასა და „ნაცების“ გვერდით იქნებიან.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“**



### ალექსანდრე ლუკაშენკო:

## კარგ განწყობას ბელარუსები ყოველთვის სიკეთით უპასუხებენ, თქვენ ამას მომავალში აუცილებლად იგრძნობთ

**„ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შეთანხმებებისა და სწრაფვების განხორციელება. თუ ჩვენი მთავრობები ეფექტიანდ ითანამშრომლებენ და ჩვენი შეთანხმებების რეალიზება მოხდება, ბელარუსის კონტრიბუცია ძალიან მაღალი იქნება.** ჩვენ გვინდა ამის გაკეთება არ მხოლოდ მეგობრებისთვის, არამედ ჩვენი ძმებისთვის. ჩვენ ვცხოვრობდით ერთ სახლში. ჩვენ, ბელარუსებს, კარგად გვახსოვს ეს“, — განაცხადა რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

ბელარუსის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტსა და ქართველ ერს სტუმართმოყვარეობისა და კეთილგანწყობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთ კარგ განწყობას ბელარუსები ყოველთვის სიკეთით უპასუხებენ. **„თქვენ ამას აუცილებლად იგრძნობთ მომავალში“,** — განაცხადა ლუკაშენკომ.




## ნოემბრიდან 20-ევროიანი კუპიურები შეიცვლება

**2015 წლის 25 ნოემბრიდან 20 ევროს ნომინალის კუპიურები შეიცვლება, ძველი კუპიურები კი მიმოქცევიდან ეტაპობრივად ამოვა. გაირკვა, რომ 20-ევროიანებს ყველაზე ხშირად აყალბებენ.**

გერმანული მედიაკორპორაცია „დოიჩე ველეს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალი კუპიურის დიზაინზე მუშაობისას ყურადღება მიექცა ანტიკურ თემას. ახალ ბანკნოტზე გამოსახული იქნება ფინიკიელთა მეფის ქალიშვილი — ევროპა. ახალ ბანკნოტებს გაცილებით ძლიერი დამცავი ნიშანი ექნება. 2013 და 2014 წლებში 5 და 10-ევროიანი ბანკნოტები შეიცვალა.

## საშიშმა ინფექციამ თბილისში 2 ადამიანი იმსხვერპლა



**თბილისში გადამდებ ინფექციას 2 ადამიანი ემსხვერპლა. პირველი შემთხვევა აღირიცხა კლინიკა „ლანცეტში“, სადაც პაციენტი მიყვანიდან 4 საათში გარდაიცვალა.**

მსგავსი კლინიკური სურათით გასულ კვირას კიდევ ერთი პაციენტი მოათავსეს კლინიკა „მედი ქლაბში“. 38 წლის ქალბატონის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ შემთხვევაშიც უკიდურესად დამძიმდა, რის გამოც ოჯახის წევრებმა პაციენტი თურქეთში გადააფრინეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერც თურქმა ექიმებმა მოახერხეს. დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, რომ ორივე პაციენტი საშიშ, გადამდებ დაავადებას — პნევმოკოკურ ინფექციას ემსხვერპლა, რომელიც მათ ორგანიზმში ბაქტერიის სახით მოხვდა და სეფსის ფორმით ელვისებურად განვითარდა. ორივე შემთხვევა ლაბორატორიულად დადასტურებულია. ჯანდაცვის სამინისტროში დაავადების მასობრივად გავრცელების საშიშროებას გამორიცხავენ, თუმცა მოსახლეობას პრევენციის მიზნით ვაქცინაციის ჩატარებას ურჩევენ. ეპიდემიოლოგების ინფორმაციით, დაავადება აირწვეთოვანი გზით გადადის და ახასიათებს სეზონურობა.



## პროევროპული ლიბია კადაფის მკვლელობიდან 3,5 წლის შემდეგ: დედაქალაქი ნანგრევებადაა ქცეული

**ლიბიის სამთავრობო ჯარები დედაქალაქ ტრიპოლის დასავლეთ რაიონებში, სამხედრო „ბაზა-27“-თან, ისლამისტურ ორგანიზაცია „ლიბიის განთიადის“ მებრძოლების პოზიციებს უტევენ.**

ამ სამხედრო ბაზის ხელში ჩაგდებით, სამთავრობო ჯარებს სურთ, ისლამისტებს ქვეყნის დასავლეთში იარაღის გატანის საშუალება მოუსპონ. ცოტა ხნით ადრე ლიბიის არმიამ გააფთრებული ბრძოლების შედეგად ხელში ჩაიგდო ტრიპოლის სამხრეთი მისადგომები, აგრეთვე, სამხედრო აეროპორტი, რომელსაც საერთაშორისო რეისების მიღება შეუძლია.

2011 წელს ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობის საერთაშორისო კამპანიის მიმდინარეობისას აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერები მსოფლიოს საზოგადოებრიობას ჰპირდებოდნენ, რომ ლიბია ევროკავშირთან მჭიდროდ ინტეგრირებული დემოკრატიული ქვეყანა იქნებოდა. მას შემდეგ ლიბიაში საომარი მოქმედებები არ წყდება, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს და ქრისტიანებს უმოწყალოდ ხოცავს.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევნების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894